

9 772298 109506


საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი



# პერილი

ფასი 3 ლარი

1134  
2022



2022  
**3** (303)

**მერაბ მამარდაშვილი**  
**„ყვანაფური ზრობაშია,  
შაჯაბია აბაო“**

პერსონა	1	ვალერი ოთხოზორია   მამარდაშვილი და მსოფლიო დრამა
	4	ზურაბ კიკნაძე   "ყველაფერი შრომაშია, შედეგია ამაო"
პროზა	11	მარი ბექაური   უპრობლემო კაცი
	15	ზაალ სამადაშვილი   რასპე
კრიტიკა	20	ლექსო დორეული   საბა 20 - თანამედროვე ლიტერატურის კრიტიკული ისტორია
	26	სალი რუნი   ნაუკითხავი შეტყობინებები ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ
თარგმანი	36	ესპანურენოვანი პოეზიის მცირე ანთოლოგია ესპანურიდან თარგმნა ზაალ ჩხეიძემ
	40	მალხაზ ხარბედია   შეთხზული "მე" - მწერალი და ავტობიოგრაფია
ესე	49	სალმან რუშიდი   ლურჯი აღმოსავლეთი ინგლისურიდან თარგმნა ბექა მარგველაშვილმა
	51	გუგა მგელაძე   დათო ქარდავას ურბანული პათანატომია

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "AriLi"

რედაქტორები

მალხაზ ხარბედია  
ლექსო დორეული  
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამალღობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.



არილი - დასასვენებელი სინფონიათა

სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდბარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი

ხალხური



ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge  
ვებგვერდი: arilimag.ge

AriliMagazine

გამოდის 1993 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია


ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით



ვალერი ოთხოზორია

# მამარდაშვილი და მსოფლიო დრამა


113



მსოფლიო დრამის ცენტრში ლიტერატურა დგას, თუმცა იქვეა ფილოსოფია და რელიგიაც. ანთროპოლოგიაც ამ დრამის ნაწილია, უკანასკნელი დანამატი. მეცნიერებაც, ყველაფერი, რაც გვამცნობს, რა იყო, რა არის და რა იქნება. მაშასადამე, მეცნიერება და ხელოვნებაც, ხელოვნება კი, განსაკუთრებით ეკუთვნის დრამას. ხელოვნებაში განსაკუთრებით - ლიტერატურა.

რატომ ლიტერატურა? იმიტომ, რომ ლიტერატურა ერთადერთი ლეგიტიმური ადგილია, სივრცეა (როგორც ფუკო იტყობდა), რომელშიც არ გამქრალა ტრანსცენდენტური ანუ მეტაფიზიკური ტრანსცენდენტური ლიტერატურას იმანენტურად აქვს. არ არის აუცილებელი, მარადისობასა და უსასრულოზე უშუალოდ საუბრობდეს ლიტერატურა. მისი 99% ამაზე სიტყვასაც არ ძრავს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლიტერატურა ტრანსცენდირების აქვს (როგორც მამარდაშვილი იტყობდა) სწადის; უერთდება სივრცეს, რომელიც არა მხოლოდ ფაქტობრივი ან ჯერარსული, არამედ ფიქ-

ტიურია, და სადაც ფიქციაა, როგორც ასეთი, როგორც თვითმიზანი, იქვეა ტრანსცენდენტურიც. ლიტერატურული ფიქცია ფილოსოფიურ ტრანსცენდენტურს ემთხვევა. სწორედ ამ აზრით იყო გატაცებული ლიტერატურით მერაბ მამარდაშვილი. მეტიც, მან სწორედ ლიტერატურაზე დაყრდნობით, ლიტერატურიდან შექმნა, მე ვიტყვოდი, შეიქმნა ფილოსოფია. რადგან მამარდაშვილის ფილოსოფია ინდივიდის ფილოსოფიაა, ფილოსოფია ინდივიდისთვის და არა კათედრისთვის. ამ აზრით, მამარდაშვილი შოპენჰაუერის, ნიცშეს და, როგორც თვითონ გვიმტკიცებს, დეკარტის გვერდით დგას, ამ სტილის გამგრძელებელია (თვითონ იტყობდა: პლატონის, კანტისა და დეკარტის...). მაგრამ შოპენჰაუერივით და ნიცშესავით მეამბოხე როდია. მაშ, შემრიგებელია? არც შემრიგებელია. კონფორმისტია? არა. ნონკონფორმისტია? დიახ. რის მიმართ არის ნონკონფორმისტი? სიკვდილის მიმართ (როგორც ყველა ან თითქმის ყველა ფილოსოფოსი).



მამარდაშვილი საუბრობს ორგვარ სიკვდილზე, ორ დაბადებაზე, ორ გაღვიძებაზე, ორ სამშობლოზე, და ერთ ჭეშმარიტებაზე... ერთია სიკვდილი ფიზიკური, მეორეა, როცა ფიზიკურ სიცოცხლეში კულტურულად მკვდარი ხარ; ერთია დაბადება ბიოლოგიური, მეორეა, როცა ბიოლოგიურ სიცოცხლეში ფილოსოფიურად იბადები (როგორც ჭეშმარიტება); ერთია გაღვიძება ფიზიოლოგიური, მეორეა, როცა აზრში იღვიძებ; ერთია სამშობლო ფაქტობრივი, მეორეა, როცა მეტაფიზიკურ სამშობლოს აღმოაჩენ... ჭეშმარიტება კი სწორედ ამ დრამას ეკუთვნის: მეორე დაბადებას, მეორე სიკვდილს, მეორე გაღვიძებას და მეორე სამშობლოს...

მამარდაშვილისთვის ყველა ფილოსოფოსი სიცოცხლის ფილოსოფოსი არ არის, არც ყველა კულტურაა სიცოცხლის კულტურა. არსებობენ ფილოსოფოსი-მანქანები და ფილოსოფია-მანქანები, და მანქანა-კულტურები, კულტურა-მკვლელები. გერმანული ფილოსოფია მამარდაშვილს არ უყვარს, რადგან მის თვალში ის ფილოსოფია-მანქანაა. ვანსა-კუთრებით არ უყვარს ჰეგელი, რადგან ის მისთვის ფილოსოფოსი-მანქანაა. არც ჰაიდელგერით აღფრთოვანდება, არ ესმის, რატომ არიან გატაცებული მისით. გერმანული კულტურაც, მამარდაშვილისთვის, არასრულფასოვანი კულტურაა, დაკომპლექსებული, პერფექციონიზმი შეპყრობილი, რის გამოც ინდივიდს თავისუფლების სივრცეს არ უტოვებს, მანქანად აქცევს. ამ მომენტს უკავშირებს ნაციზმის ფენომენს და ფიქრობს, რომ ეს მომენტი ამ კულტურას შინაგანად აქვს. საბჭოთა კულტურაც, საბჭოთა კავშირი, მამარდაშვილისთვის ერთმნიშვნელოვნად მკვლეელია, დიქტატორული კულტურაა. ის გკარნახობს, ვინ ხარ, რა გინდა, რას აკეთებ, როგორც ცხოვრობ და როგორ მოკვდები. შენი სიტყვა არსებობს შენამდე, შენი ხმა ჟღერს, ვიდრე ხმას ამოიღებ. შენი ხატი არსებობს შენამდე,

რომელშიც იბადები და გნავავენ. აი, რას ვაუბრის მამარდაშვილი! რუსულ სულზე მას გული ერევა. მიაჩნია, რომ რუსული სული გერმანული სულის კონტრაპუნქტია. თუკი გერმანული სული ვერ კმაყოფილდება მიღწეულით, რუსული სული, პირიქით, არაფრითაა კმაყოფილი. არააში მისტიკურსა და მაგიურს ჭვრეტს, ღვთაებრივად და ნმინდად მიაჩნია. ამიტომ ეს კულტურა ინდივიდის თავისუფლებას ვერ შეუწყობს ხელს, პირიქით, სპობს. მამ, რომელი კულტურებია კარგი და რომლები უწყობენ ხელს ინდივიდის თავისუფლებას?

პირველი რიგში, ბერძნული, რა თქმა უნდა; მეორე რიგში - ფრანგული. რატომ ბერძნული? იმიტომ, რომ ბერძენი მეორედ დაიბადნენ, თავისუფლებას იბადებდნენ, აზრში ჩაჯარდნენ. იმიტომ, რომ ბერძენებმა მეორე სამშობლო აღმოაჩინეს, მეტაფიზიკური სამშობლო, რომელიც ტერიტორიას არ ემთხვევა, მხოლოდ აზრის, ცოცხალი განცდის, ესე იგი ფილოსოფიის ტოლფასია. საბერძნეთში დაიბადა ინდივიდი, როგორც ასეთი, თავისუფლება ანუ აზრი. და რატომ ფრანგული? იმიტომ, რომ ფრანგებმა მოიარაღეს ბერძნული გზა, გააგრძელეს: კპარიზით, კომერციით და სალონებით (ფრანგული დრამა).

ქართული კულტურა? რას ფიქრობდა მამარდაშვილი მასზე? სხვათა შორის, დადებითად იყო განწყობილი, დადებითად აფასებდა. რატომ? იმიტომ, რომ ქართველებს უხარიათ სიცოცხლე და აქეთ ეს "უკანონო სიხარული", უკანონო თავისუფლება. ვისაც უხარია, მას ფილოსოფიურად ვერ მოკლავ. ეს აიმედებდა მამარდაშვილს. ფიქრობდა, რომ ქართული კულტურა ფილოსოფიურად გადარჩა. ის შეიძლება შეზღუდო, გარყვანა, დაამახინჯო, მაგრამ არსობრივად ვერ შეცვლი, სწორედ ამ სიხარულის გამო. სიხარულში მამარდაშვილი ფილოსოფიურ ჭეშმარიტებას ხედავდა. გახარებული ქართველი

მამარდაშვილისთვის მალა დგას რუსულ ნიჰილიზმზე, გერმანულ დესპოტიზმზე და ახლოა ფრანგულ თავისუფლებათან.

ახლა კი შევხებით მეორედ დაბადების, მეორედ სიკვდილისა და მეორე სამშობლოს (ფილოსოფიური ონტოგენეზი) კონცეპტს.

უპირველეს ყოვლისა, ადამიანი მამარდაშვილისთვის ფილოსოფიური არსებაა, ინდივიდია, რაც იმას ნიშნავს, რომ ბუნების სანაწინააღმდეგო მიმართულებით ცურავს. ბუნებით არსებას არ სჭირდება არც აზრი, არც მეტყველება. მაგრამ ადამიანი იბადება ბუნებაში, როგორც კულტურაში აღმოჩენილი; მაგრამ ამავე დროს, ის უნდა "დაიბადოს" (მეორედ!) კულტურაში, როგორც ინდივიდი, როგორც ცოცხალი ქვეშაირიტება, ცოცხალი აზრი. ეს იშვიათობაა და ეს სასწაულს ჰგავს. მაგრამ ადამიანი არის სწორედ ასეთი სივრცე სასწაულისთვის, თავისუფლების სივრცე.

დაბადების ამ პროცესს მამარდაშვილი გვიყვება პირადი გამოცდილების მექანიზმით. ეს მოხდა მოზარდობის ასაკში, როცა მას "გაეღვიძა", როგორც თვითონ ამბობს, "ცოცხალი გვაგების ტყეში" ("ცოცხალში" ის გულისხმობს ბიოლოგიურად, ფიზიკურად ცოცხალს) და ამან უკიდურესად შეაძრწუნა. ეს ისეთი დაბადება იყო, რომელიც თვითმკვლელობის სურვილს და შესაძლებლობას გამოირჩევს (ალუზია პლატონის გამოქვაბულის მითთან?).. რომელიც უკვდავებას უდრის. მას გაეღვიძა სხვაგან, სადაც აღმოჩნდება ყველა გაღვიძებული, მეორედ დაბადებული, "ადგილი", რომელსაც "მეტაფიზიკური სამშობლო" უწოდებ.

და მან აღმოაჩინა სიკვდილი, მეორე სიკვდილი, სიკვდილი საკუთარ თავში, საკუთარ ყოფაში, კულტურაში. რადგან როცა მოუნდა დაპარაკი, აღმოაჩინა, რომ "ვიღაც" საუბრობდა მის ნაცვლად, როგორც თავისი თავი; როცა მოუნდა ფიქრი, აღმოაჩინა, რომ "ვიღაცას" უკვე ნაფიქრი ჰქონდა მის ნაცვლად; როცა მოუნდა ეგრძნო რაღაც, აღმოაჩინა, რომ "ვიღაცას" უკვე ნაგრძნობი ჰქონდა მის ნაცვლად... და მან აღმოაჩინა, იგრძნო, გააცნობიერა, რომ ეს "ვიღაც" თვითონ არაა, მისი კულტურული ხატია, რომელშიც მთელი ეს დრო გამომწყვდელი ყოფილა. მან იგრძნო, რომ აქამდე მკვდარი ყოფილა, ცოცხალ-მკვდარი; ახლა კი გააცოცხლდა...

ფილოსოფიის დრამა, დრამა, რომელიც მამარდაშვილისთვის გაღვიძებისთანავე დაიწყო, სიცოცხლის დრამაა, ადამიანის, როგორც ინდივიდის, დრამაა, რომელიც გამსჭვალავს ყველა ადამიანს, როგორც შესაძლებლობა, როგორც რისკი, როგორც გამოწვევა და საჩუქარი (სასწაული); რომელიც უნივერსალურია და მსოფლიო დრამას წარმოადგენს.

მამარდაშვილმა აღმოაჩინა, რომ ეს არის სიცოცხლის, ქვეშაირიტე სიცოცხლის შესაბამისი, ესე იგი ქვეშაირიტება; მაგრამ კულტურაში "აკრძალული". აღმოაჩინა, რომ ამ ქვეშაირიტებას არა მხოლოდ საფრთხე ემუქრება გარედან, არამედ შიგნიდან, თავად ინდივიდში: მას შეიძლება თავისი "სიცოცხლე" დაავინყდეს, ან დაეკარგოს. ამიტომაც

ინდივიდმა უნდა იშრომოს, არ უნდა დაისვენოს, ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს, ვიდრე ქვეშაირიტებას ხედვას, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა არსებობის სინათლე, აზრის სინათლე, სინათლე. მამარდაშვილმა აღმოაჩინა, რომ მარტო არ ყოფილა და უამრავი ადამიანი წარსულიდან და აწმყოშიც იმავს ცდილობს, ამ გზას მიყვება; რადგან ქვეშაირიტება, სინათლე ერთია და ვინც იქაა, ყველა ერთ გზაზეა. ასე აღმოაჩინა მამარდაშვილმა ქვეშაირიტების ერთადერთობა და ამგვარად ჩაუღრმავდა ფილოსოფიასა და ლიტერატურას.

ფილოსოფიაში, უპირველეს ყოვლისა, დეკარტმა გააკანცა. დეკარტმა იგრძნო ყველაზე ცოცხლად ის, რომ აზრში მეორედ დაიბადა, მეორე სამშობლოში დაიბადა, როგორც უკვდავება და სხვებსაც წარმატებით აჩვენა, როგორც ხდება ეს. და გააცნო იგივე პლატონმა, კანტმა და პრუსტმა. და მამარდაშვილმა ყველა მათგანი გულით შეიყვარა.

და დანყო მამარდაშვილმა იმის სწავლება, ქვეშაირიტება რა არის: მეორე სიცოცხლე, მეორე სიკვდილი, მეორე დაბადება, მეორე გაღვიძება და მეორე სამშობლო. და ასწავლიდა მამარდაშვილი სინათლეს და იმას, რომ სანამ სინათლეა, უნდა იმუშაო. და აჩვენებდა ამას პრუსტთან, კანტთან, დეკარტთან და პლატონთან. და ამტკიცებდა, რომ მეტაფიზიკური სამშობლო უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფიზიკური სამშობლო, და რომ ქვეშაირიტება მეტაფიზიკურ სამშობლოს ეკუთვნის და ფიზიკური სამშობლო ვერ დამიორჩილებს მას. და ზოგიერთები, ამას რომ ისმენდნენ, უყვიროდნენ: "როგორ ბედავ?" ის კი პასუხობდა: ვბედავ და ყოველთვის გავბედავ, რადგან ქვეშაირიტებას არ ეშინია, ასეთი თვისებაა ქვეშაირიტება ანუ სინათლე. გამოქვაბულში მცხოვრებთ შეიძლება შეუმჩნეოთ სინათლის, რადგან ასეთებს აბრმავებს, მაგრამ მზეში მოყოფთ სინათლის ვერ შეუმჩნეობათ. და ამაზეც ისინი უყვიროდნენ: "როგორ ბედავ?" მამარდაშვილს გული რომ გაუსკდა, ისინი მაინც იმავეს ყვიროდნენ: ერთმანეთსა და სხვებს უყვიროდნენ. კარგი არაფერი გამოვიდა ამ ყვირილიდან, ცუდი - მრავალი.

მამარდაშვილი იყო კაცი, რომელმაც ფილოსოფია გააცოცხლა საქართველოში; კაცი, რომელმაც სიცოცხლე გააცოცხლა ქართველ ადამიანში. ასე იყო ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, თვითონ იყო. მან დატოვა კვალი, ცოცხალი გრძნობის, ცოცხალი აზრის, ცოცხალი უკვდავების, ცოცხალი ენის, ცოცხალი სამშობლოს, ცოცხალი ქვეშაირიტების კვალი; კვალი, რომლის წყალობითაც ქვეშაირიტებას მარტივად ვეღარ დაივწყებენ. მამარდაშვილი იყო მოვლენა, სიცოცხლის მოვლენა და ეს სასწაული "უკანონოდ მზიარულია" სამშობლოში!

ილია ჭავჭავაძის შემდეგ, მამარდაშვილი იყო ის, ვინც ხელახლა გააცოცხლა აზროვნება, გააცოცხლა ქართველი ადამიანი. მამარდაშვილი იყო ის, ვინც ჭავჭავაძე ინდივიდში არსებული მსოფლიო დრამის ჰორიზონტი (ჩვენგან დავიწყებული და წაყრუებული), მსოფლიო სინათლე. მამარდაშვილმა მსოფლიო მოვლენების ჩვენში შემოსვლას საბედისწეროდ დაასწრო. მან დავიკოვავა შანსი...

ბურაბ კიკნაძე

# “ყველაფერი შრომაშია, შედეგია ამაო”



პერაკლიტეს ცნობილი თქმით - და ეს უქვეყნაა, ადამიანი მდინარის ერთსა და იმავე ნაკადში ორგზის ვერ შედის. სხვა შორს წავიდა: არათუ ორგზის, ერთგზისაც კი შეუძლებელია შესვლა. ამით მან თუ დასცინა პერაკლიტეს ან აბსურდამდე განავითარა მისი აზრი? ყოველი მეტაფორა აბსურდამდე მივა, თუ პრაგმატულ-უტილიტარული აზრით გავიგეთ. აბსურდია ღვარძლის დატოვება ყანაში მოსავლის აღებამდე იმის შიშით, ვაითუ ყანის გამარგვლისას ღვარძლს ჯვრულივც ამოყვეს. მაგრამ ქრისტეს იგავი ზედმინეებით ზუსტია, მკაფიო და ცხადი.

ასევე მდინარეში ერთგზისაც კი შეუსვლელობა არ მოგვეჩვენება აბსურდად, თუ გამოვიყენებთ მას იმის სათვალსაწიწოდ, თუ როგორ იაზრებდა მერაბ მამარდაშვილი აზროვნებას, როგორც პროცესს. ერთ-ერთ ლექციაზე (და, ალბათ, სხვაგანაც, სხვადასხვა ვარიაციებით, განსხვავებული პრობლემის გამო გამოუთქვამს მსგავსი რამ, იმჯერად კი ერის მონოდებაზე ლაპარაკობდა ახალ ისტორიულ ეტაპზე, უფრო კი, დასაწყისზე ამ ისტორიისა) მან თქვა:

“შეუძლებელია მოინდომო და დაიწყო აზროვნება, შეუძლებელია მოინდომო და დაიწყო ტრადიცია, თუ უკვე თავად არ ზიხარ ტრადიციაში...”. დრო მიდის, მიედინება, ხანიერია, ვერ გააჩერებ, როგორც მატარებელს გიჩერებენ, რომ ახვიდე. მამარდაშვილი კითხულობს, “შევძლებთ თუ არა, ისევე აღვადგინოთ ისტორიის, ტრადიციის, ჩვენი ისტორიული დანიშნულების და მონოდების ძაფი”. თუ ისტორია, ტრადიცია - ამბობს ის - შეუქცევადია (როგორც მდინარის ნაკადი, ჩაუურთავთ ჩვენს), მაშინ პრობლემატური უნდა იყოს განვრძობა ტრადიციისა, რომელიც შეწყდა და დრო, როგორც მდინარის ნაკადი, გავიდა. შემდეგ რასაც ფილოსოფოსი ამბობს, სრულიად უპრეცედენტოა ჩვენ პუბლიცისტურ ლიტერატურაში. აი, სიტყვები, რომელთა ისტორიოსოფიული სიღრმე შეუმჩნეველი არ უნდა დარჩენილიყო: “ერთი ცხადია: საკუთარი ძალებით ამას ვერ შევძლებთ. ისტორიისა და ტრადიციაში წყვეტა არ უნდა დაგვეშვა. მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ რაღაც წერტილსა და მომენტში მსოფლიო მისტერიის მეშვეობით, თუ ზეადამიანური ძალის აქტით მოხდეს ჩვენი ხელახალი ჩართვა ისტორიისა და ტრადიციაში”.

ხელახალი ჩართვის ამ სიძნელეს დღეს ძნელად თუ ვინმე იზრებს. განყვეტილის გამთლიანების, განყვეტილ ტრადიციაში ჩართვის ამ ახალი ტრადიციის დანყვების სიძნელეს, რომელსაც მხოლოდ სიზოფონის შრომას თუ შევადარებდით. თუ წარემართავთ საუბარს ამ მეტაფორის (მდინარეში ორგზის შეუსვლელობის) ეროვნულ-პოლიტიკურ ასპექტზე, - იგი აზროვნებისა და მოთმონდების, არა მხოლოდ მონოდების, როგორც ასეთის, ფენომენსაც მოიცავს, - რაც დღესაც (აღბათ, უფრო დღეს) აქტუალურია, გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, თუ რატომ ახსენებს მამარდაშვილი ამ კონტექსტში "მსოფლიო მისტერიას" და "ზეადამიანურ ძალას". არსად სხვაგან ეს კონცეპტები არ განმარტებულა. არც კითხვა ყოველი დასმული ლექსიანზე მათ განსაკრებავად. ასე რომ, თეცხალი სიტყვის ნაცვლად დარჩა ჰერმენევტიკის მომლოდინე ტექსტი, რომლის უშუალო სმენისას, თუნდაც ლექტორის მიმართ კითხვაც არ დასმულიყო, ჰერმენევტიკა საჭირო არ იქნებოდა. ჰერმენევტიკა ტექსტს ესაჭიროება, რომელიც აღარ მოძრაობს, რაკი ავტორი დუმს.

ვფიქრობ, "მსოფლიო მისტერია" და "ზეადამიანური ძალა" იმას ნიშნავს, რომ ისტორიაში ვართ და, ამიტომაც, ისტორია მხოლოდ ჩვეთვის არ არსებობს, როგორც ხშირად დღემდე წარმოგვიდგენია. ამ ცნებებთან ისიც არის ნათქვამი, რომ ისტორია არ არის ადამიანთა თვითნებური ჩხირკედლაობის პროცესი. ის მოითხოვს მართლაც ზეადამიანურ ძალისხმევას. ისტორია დროუაშუღი ფენომენია, დრო კი მტიკონეულად განიცდება. ბერძნული ამბობს: "Время есть болезнь к смерти. И есть смертельная печаль в этой болезни, болезни времени. Течение времени безнадежно печально". სად არის საშველი? საშველი დროში ძალისხმევაა. დროში ძალისხმევა, როგორც სიცოცხლის ნიშანი, პრუსტის აზრია, რომელიც მამარდაშვილმა აიტაცა, რუსული ვერსიით მოკყავს პრუსტზე რუსულ ლექსიკის დასახელებივე "жизнь - усилие во времени"<sup>1</sup>. ეს არის ბერგსონის საკვანძო კონცეპტი élan vital "სასიცოცხლო ძალისხმევა (ან ნახტომი)". ისტორია თუ არის დილორთი ლმერთისა და ადამიანს შორის (მ. ბუბერის), ეს ლმერთის ნებისა და ადამიანის ძალისხმევის შეტაკებაა. ამიტომაც გრძელდება ისტორია, მხოლოდ ლმერთი რომ დარჩეს აქტორად, ერთ ნაშში დასრულდება. მაგრამ ადამიანი ხომ საბედისწეროდ არის ჩართული ისტორიის პროცესში. ლმერთკაცებრივ ქმედებას გულისხმობს სწორედ "მსოფლიო მისტერია", რომელიც ყოველთვის ხორციელდება ჩვენს თვალწინ. და მამარდაშვილი ამბობს, რომ ამ პროცესში, რომელიც ლმერთკაცებრივია და საიდუმლოებრივი (მისტერიული), საჭიროა ჩართვა. ხასიდი ამბობს, რომ ებრაელი ყოველ დღით უნდა ამოდიოდეს გევიპტიდანი. მაგრამ როგორ მოახერხებს ამოსვლას, თუ მზად არ არის, თუ იმთავითვე მუნაშული ზღვის ნაკადში ჩართული არა არის? ასეთი კითხვა პირ-

წმინდად მამარდაშვილისეულია. როგორ ჩაერთვები მისტერიაში, თუ თავიდანვე განდობილი არ ხარ? განდობა კი შენზე არ არის დამოკიდებული. როგორ შეიძლება ადამიანმა დაიწიოს რაიმე, თუ უკვე დაწყებული არა აქვს? როგორ შეძლებს ადამიანი რასმე, თუ უკვე შეძლებული არა აქვს? როგორ დაიწყებს ფიქრს ადამიანი რაიმეზე, რაც ჯერ ნაფიქრი არა აქვს? ან როგორ შევა აზროვნების ნაკადში, თუ უკვე მასში არ იმყოფება? როგორ აღმოცენდება მუხა, თუ იმთავითვე რკოში არ არის? და ა. შ. დაუსრულებელიც - ის გაიგებს, ვისაც დაუსწავია. საბოლოოდ, ეს პარადოქსი შეიძლება "მონოდების ფენომენა" გაკეთივალსაჩინოს, რითაც მამარდაშვილმა დაიწყო თავისი ლექსია 1990 წლის 29 ნოემბერს, დღის სამ საათზე (ანუ წელიც იყო, დღეც, თვეც და საათიც, და, რა თქმა უნდა, ავდილიც).

მართლაც, რა არის მონოდება? ის არის ან არ არის. თუ არის, უკვე არის და მას დანყება არ ესაჭიროება. თუ მონოდება არ არის, მხოლოდ ზებუნებრივ-ზეადამიანური ჩარევით თუ მოხდება მისი შემოსვლა ადამიანის ცნობიერებაში. ანუ ძალისხმევით, ნახტომით - élan, ძალისხმევით, ნახტომი. მონოდება ამ შემთხვევაში სასწაულქმედება ადამიანში, როგორც მისტერია. მისტერია სწორედ ის არის, რომელშიც გარედან ვერ შეხვალ. ბოლოს, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ აუცილებელია élan, რომელიც მოხსნის ზენონის აპორიას - არნივი გაუსწრებებს კუს, რადგან არნივი ფრენს, კუ კი მხოლოდ სივრცის წერტილიდან წერტილამდე გადაადგილდება. არსებობს ჩვენს სამყაროში ალუდას ნახტომი, რომელიც გამოიწვია მონოდებამ. საიდან დაიბადა ალუდას მონოდება, თუ ადრე არ იყო მასში? მისი ეს გამოცდილება უნიკალურია და ტრავიკული თავისი უნიკალურობით. მონოდებას, როგორც ბედისწერას, ეწირება ადამიანი. მაგრამ განა შესაძლებელია სხვანაირი გამოსავალი? ალუდასნაირთა წინაშე ორი ამოცანაა და მათ გამოეხატავთ მამარდაშვილის ორი გამონათქვამით - "უნდა გაბედი შეუძლებელი" და "ჩვენს წინაშე დგას ისტორიული შემოქმედების ამოცანა". მამარდაშვილი გრძნობდა აზროვნებისა და ისტორიის პროცესის და მონოდების საიდუმლოს, საიდუმლოს, რომელიც "მსოფლიო მისტერიას" იღებს სათავეს. ნახევრადსეკულარულ ენაზე რომ გადავიტანოთ, უნდა მოვიხმოთ ვიგი მარგველშვილის ცნება-კონცეპტი "ეგზისტენციალური შეტყობინება", როგორც მონოდება, რომელიც საფუძვლიანად გარდაქმნის ადამიანის მდგომარეობას.

## II

დეკარტმა იგი მოიხიბა, ალბათ, იმ ცნობილი გამონათქვამით: "ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ". დეკარტის ეს ფორმულა მას შეეძლო გადმოეკეთებინა ასე: ვაზროვნებ, მაშასადამე, ვცოცხლობ. რისი ძალიც - დროში ძალისხმევით. დეკარტს შემდეგ არასოდეს არ მოსცილებია. კანტს მოსცილდა, დე-

1 დრო არის სიკვდილის ავადმყოფობა. და არსებობს სასიკვდილო მწუხარება ამ ავადმყოფობაში, დროის ავადმყოფობაში. დროის ნაკადი უემიედოდ მტიკონეულია.

2 სიცოცხლე დროში ძალისხმევაა.

კარტს - არა, სამუდამოდ მასთან დარჩა. თავისივე აღიარებით, ფილოსოფიის ფრანგულ ვარიანტს მიანიჭა უპირატესობა, რომელიც ფილოსოფოსებს კი არ შეუქმნიდა, არამედ შექმნეს ადამიანებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ. ფრანგი ფილოსოფოსები კი, განსხვავებით გერმანელებისაგან, სწორედ რომ ცხოვრობდნენ. თუმცა, შესაძლოა, ფრანგული ფილოსოფიად იწყებოდეს სიცოცხლის ფილოსოფია, მაგრამ ფუნდამენტური ნაშრომები ამ სფეროში მაინც გერმანულ ენაზე დაიწერა. ეგზისტენციალიზმის სიტყვიერ-ცნებით არსენალი მათგან მოდის. მაგრამ პირველი ეგზისტენციალისტი მამარდაშვილისთვის იყო დეკარტი, მეორე კი, თქვენ წარმოიდგინეთ, იყო არა ფილოსოფოსი, არამედ მწერალი მარსელ პრუსტი, რომლის იმ ზემოთ მოყვანილი ერთი ფრაზის გამო, როგორც თავად აღიარებს, ფრანგული ისწავლა. პრუსტის ეს აზრია, ხშირად რომ იმეორებს სხვადასხვა ვარიაციით: "სიცოცხლე, ეს არის ძალისხმევა დროში". რ არის ეს ძალისხმევა? ძალისხმევა არის აზროვნება და თუ აზროვნებ, ცოცხალი ხარ. ამას მივაბამ მეორე თეზისს: მთავარი პროცესი, არა მაინც და მაინც შედეგი. ჩვენი ფილოსოფოსი პლატონს და განსაკუთრებით სოკრატეს ხშირად ასხეუნებს. რა ნიშნით იზიდავს მას სოკრატე და პლატონი და შემდეგ მარსელ პრუსტი, რომელსაც, ერთი შეხედვით, რა საერთო უნდა ჰქონდეს ბერძენ ფილოსოფოსებთან? პლატონი "ფედონში" წერს, თითოა (სიბრძნისა და მეცნიერების ღვთაებამ ძველ ეგვიპტურ მითოლოგიაში) რომ ანბანი გამოიგონა, თქვენ გგონიათ, ეს სასიკეთოა? არა, ეს არ არისო სასიკეთო. დაიწერება წიგნი, მოწყდება ავტორს, ყველგან მიდის ეს, კითხულობს მას ის ადამიანიც, ვისთვისაც არ დაწერილა. მაგრამ დამწერლობა არსებობს და წიგნი იწერება მრავალ-თავისი წასაკითხად. აი, ეს პრობლემა დღევანდელ, ძველად, ტრადიციულ საზოგადოებაში პერგამენტზე წერდნენ, ის ძვირი იყო და, ალბათ, უფროთხილდებოდნენ, ჰაიპირად არავინ მოინდომებდა მასზე თავისი ნაფიქრალის დაწერას, თუ მას მნიშვნელოვნად არ მიიჩნევდა (უხილავ ცენზორს არ ეძინა). ახლა საწერი მასალა - ქაღალდი იაფია და რაც გინდა, დაწერე. ქრისტე რომ ამბობს, იუდაყვით ღორებს მარგალიტებსო, აი, ეს არის ისე ქაღალდის პრობლემა. ამ სიიადით ხდება მნიშვნელოვანი ნააზრევის პროფანაცია, მისი უკუღმართად გაგება.


მამარდაშვილი კანტს ანიჭებდა უპირატესობას ჰეგელის წინაშე, რომელთანაც ტოპოლოგიური მსგავსება უნდა გვრძნო. ჰეგელის ფენომენი მილიონად აზროვნების პროცესია. მიედინება აზრი, უკანაც ბრუნდებოდა ახალი თეზისების წამოსახვეტად, მაგრამ ერთ ადგილზე არასოდეს ჩერდება. დინება არ წყდება. ის მუდამ გზაზეა. მამარდაშვილი ამბობს, რომ ჭეშმარიტება იბადება არა სურვილით და მონდომებით, არამედ გზაზე. აი, ეს არის ამ დინების საზრისი: "ქნადაობა მთავარი, შედეგი ამაოა". ვერსად ნახავთ რეაქციულ ადომონისმგვარ რამეს მამარდაშვილის ლექციებში, ანუ აზროვნების შედეგად მიღებულ დასკვნას და წერტლს, როგორც კვლევის, შედეგს. მისი აზროვნება, თავად პროცესი აზ-

როვნებისა, არ არის გამიზნული რაიმე ჭეშმარიტების აღმოსაჩენად. მას უკვირს, როგორ შეიძლება საკითხი ასე დაისვას: მინდოდეს რაღაცის აღმოჩენა და მეორე ის აღმოვაჩინო, რაც მინდა. რომ აღმოვაჩინო, უკვე ხომ უნდა ვიციოდეს ის, რაც აღმოსაჩენია, და მაშინ მას აღმოჩენა აღარ სჭირდება. "თუ არა ხარ აზროვნებაში, მასში ვერ შეხვალ". პარადოქსია. მაგრამ როგორ შეიძინარ აზროვნებაში? შეიძინარ მადლით. არის შენში რაღაც, რაც შეგეყვანს ამ აზროვნების ნაკადში. სხვანიარად იქ ვერ აღმოჩნდები. ეს იმას ჰგავს, რომ მდინარეში ვერ შეხვიდე, თუ მასში უკვე შესული არ ხარ. მამარდაშვილი ეუბნება მსმენელებს, მე მსურს თქვენ ჩავთარიოთ აზროვნების მსვლელობაში. ჰეგელის წიგნებზე არის აზროვნების მსვლელობა, რომელსაც არ უნდა ჰქონდეს დასასრული რაღაც კონკრეტული შედეგის სახით აქტუალურ ეონში. კიკეხავდ შეგელს, რომ აბსოლუტურმა სულმა, რომლის ტრანსფორმაციებს და წინსვლას ვესწრებით მასთან ერთად, თავის განხორციელებას, თავის საბოლოო შედეგს პრუსტის სახელმწიფოში აღწევს და იქ დაივანებს. პრუსტის სახელმწიფო მხოლოდ სიმბოლური რაობაა, რომელსაც მხოლოდ ემპირიული შეგებისთვის ჰქონდა ღირსიორციელებას. ჰეგელის რომელი მიმდევრობა იტყვის, რომ მისი აზროვნების მთელი პროცესი, რომელშიც ჩართული ხარ მთელი შენი ეგზისტენციათი, ამ საეჭვო, წარმავალი შედეგისთვის არის მონოდებული და მას, ამ პროცესს, თავისთავად მნიშვნელობა არ გააჩნია? რა არის მის ფილოსოფიაში მნიშვნელოვანი - თავად პროცესი თუ შედეგი? ცხადია, დიალექტიკა... პრუსტს ვიღას აინტერესებს... აი, რას ამბობს მამარდაშვილი: "შრომა ყველაფერი". მაგრამ ჩვენ უკეთესად შეგვიძლია ვთქვათ: "შემოქმედება ყველაფერი". "შრომა" მხოლოდ საშუალო შემოქმედებისთვის. მოველოდი, რომ ეს თეზისი ჰუმოვრდა განვითარებას, მაგრამ ის გზაში დარჩა უშედეგოდ. შედეგი არაფერია...

"შრომა ყველაფერი, შედეგი ამაოა. სად არის პირამიდები, სად არის ალექსანდრეს იმპერია?" შეკითხვის ეს კატეგორიულობა მისგან მოულოდნელოა, ცოტა არ იყოს, ნაქქარევიად დაბსმული კითხვაა, მისივე აზრის საწინააღმდეგოა. პირამიდები დგანან, თუმცა მისი შენების პროცესი ჩვენივე მიუწვდომელია, მხოლოდ შედეგი ჩანს. თუმცა ეგვიპტელთა შრომის ეს შედეგი ამაოა იმ აზრით, რომ "УСИЛИЕ ЖИЗНИ ВО ВРЕМЕНИ" მკვლარია ამ შედეგში და დღემდე ეგვიპტოლოგია თავს იტებს იმის ვასარკვევად, თუ რა იდუმალმა ჩანაფიქრმა წარმართა ეს პროცესი. პირამიდა დგას და ალექსანდრეს იმპერიაც დგას ანუ არსებობს იმ აზრით, რომ მისი ძალისხმევით დაწყებულმა სწორედ პროცესმა და არა იმდენად შედეგმა, რენე გენონის სიტყვით რომ ვთქვათ, პროცესის სოლიდოციკაციაა ელინიზმის სახით შეცვალა მსოფლიო ისტორია.

ჩვენი ფილოსოფოსი კიდევ ამბობს, განაგრძობს: "შექმნილი და მიყვრული კი არ უნდა გაყვარდეს, ქნადად უნდა გიყვარდესო, არა - ღვთიერი, არამედ - ღმერთიო... ეს მითითება იმ ყოფიერებაზე, რომელიც მუდმივ შექმნაშია... არაფერი დასრულებული





არ არისო...” აი, ეს არის უდიდესი ქეშმარიტება, იმიტომ რომ, ღმერთმა თუმცა ერთხელ, დროჟამის წინარე, “უნინარეს ყოველთა საუკუნეთა”, შექმნა სამყარო, მაგრამ ის ყოველწამიერად იქმნება. ფიზიკის ზოგი თეორიის თუ ჰიპოთეზის თანახმად, სამყარო ფართოვდება, ახალი სივრცეები იქმნება, სივრცე ფართოვდება დროში ძალისხმევით, სხვაანირად, დრო და სივრცე ერთმანეთს ასპარეზს აძლევენ.

მამარდაშვილს სურს უყუროს სამყაროს და, კერძოდ, თავისი აზროვნების მეთოდს - *sub specie temporis* (დროის ნიშნის ქვეშ). ეს ბიბლიური ხედვაა. ბიბლიაში დროა გადამწყვეტი, არა - სივრცე. ებრაელების ეგვიპტეში ყოფნა ტერიტორიაზე, სივრცეში ყოფნა კი არ არის, არამედ დროში ყოფნაა, ეგვიპტეში ყოფნა გამოცდილებაა, გამოცდილება კი დრო-ჟამული ფენომენია. ბიბლიური სამყარო მედინაა, მიმდინარეობს, მიედინება ან რაღაც საზღვრამდე, ან დასასრულისკენ. ებრაელი კაცი, ბიბლიის პერსონაჟი, ყოფნას დროში განიცდის. განსხვავებულია ელინური კოსმოსის აღქმა. კოსმოს - ეს შესანიშნავი, ბრწყინვალე, მწყობრი, მონესრიგებული, ზევის თავიდან ამოსული ერთხელ ქმნილი სრულყოფილება სამუდამოა. არ იცვლება, არაფერი არ ემატება, არაფერი აკლდება, არც უმჯობესდება, არც უარესდება. არ არის შემთხვევითი, რომ მამარდაშვილი თავისი აზროვნების მეთოდში ებრაელ მოაზროვნეებს თანაუგრძობოს. პრუსტი თავის მწერლობას, ანრი ბერგსონის ფილოსოფიას ასევე დროის ნიშნით წარმართავნ.

პრუსტი ეძებდა დაკარგულ დროს, ალბათ, ბერ-

გსონისეული ხანიერებას აზრით, მაგრამ მის ცვალს სივრცეში მადლენის ნამცხვრის გემოს გახსენებით აღიდგენს. ვფიქრობ, ეძებდა არა დროში მომხდარ ფაქტებს, ხდომილებებს, არამედ განვლილი დროის პროცესს, რომელიც თავის სურნელებს და გემოს ინახავს, და ადამიანი ამ შეგრძნებებით მოიძიებს ანუ გააცოცხლებს დროს ისევ და ისევ სივრცეში და სივრცულ წარმოდგენებში.

პრუსტის “დაკარგული დრო” უნდა ნიშნავდეს განუცდელ, უქმად, ძალისხმევის გარეშე გასულ დროს და ადამიანის მოწოდებაა მისი მოძიება. რთულია. არ მგონია, რომ განვლილი დროის ეს ძიება მართლაც ადამიანის მოწოდება იყო. ასე მგონია, მარსელ პრუსტი თავისი რომანების სერიას სახელს რომ არქმევდა (დაახლოებით “დაკარგული დროის ძიებაში”), ანრი ბერგსონის თავისებურად გაგებულ იდეებით უნდა ყოფილიყო შთაგონებული. ბერგსონისთვის მას შეეძლო მოესმინა ხალხმრავალ აუდიტორიაში, ნაკითხა მისი ნაწერები, შეეძლო შინაურულად ესაუბრა მასთან, როგორც მოყვრულ ნათესავს (ცნობილია, რომ ბერგსონს ცოლად პრუსტის ბიძაშვილი ჰყავდა ცოლად, რომელთა ქორნილოში, ჭაბუკი მარსელი მყარად იყო), “შე-შენის” ურთიერთობით, გაეთავისებინა მისი *élan* და *durée*. (ერთი გადახვევა: ფილოსოფოს ანრი ბერგსონს ლიტერატურაში მიენიჭა ნობელის პრემია, მამარდაშვილმა კი მწერალ პრუსტში ფილოსოფოსი აღმოაჩინა და, გარკვეულწილად, მასზე დააფუძნა თავისი ფილოსოფოსობა). იქნებ არ გზხიბლავდეს პრუსტის მწერლობის სტილი, მაგრამ პრუსტის მამარდაშვილისეულმა ანალიზმა და იმ ლექციებმა,



შესაძლოა, გაგიტაცოს. ჩამოკიდებს ერთ, თუნდაც ტრივიალურ (არცთუ იშვიათად), თუმცა მისთვის რალაც საზრისიან გამონათქვამს, რათა კვლავ და კვლავ დაუბრუნდეს მას და მასზე აავსოს თავისი სა-კუთარი აზრების ჯაჭვი, აზროვნების პროცესი, გზა. ხანდახან პარადოქსის ჯუნგლებში შეჰყავხარ, საე-ლი გზიდან გადაგახვევინებს, ახალ ბილიკზე გაგიყ-ვანს და იმასაც მიგატოვებინებს. კითხვაზე პასუხს ელი, კითხვას ღიად დაგიტოვებს. მაგრამ ფიქრობ, რომ ასე სიარული უმჯობესია, ვიდრე ნალახ შარაგ-ზაზე. თავდაც აღიარებს: "ჩემი ლაპარაკი სულ მიხ-ვეულ-მოხვეულად მიდის, მაგრამ ასე სჯობია. ჩემთვის ფილოსოფია და ფიქრი ცხოვრებაა. სი-ცოცხლეა. რაც უფრო დაულაგებელი და სპონტანუ-რია". თუმცა უნდა შეინიშნოს, რომ გზას იგი მაინც და მაინც არ აღიქვამს დროუქმულ განზომილებაში. სივრცეს, თუმცა მან "ძალისხმება" საკვანძო სიტყვა-ცნებად გაიხადა, ვერ მონყდა. ეს თუნდაც პრუსტის ლექციების სათაურებიდან ჩანს: *Психическая топология пути*, რაც იმას უნდა მია-ნიშნებდეს, რომ ადამიანის სულის შინაგანი მოძრა-ობა სივრცეშია (ტოპოს) საძიებელი. თავად პრუსტი დაეთანხმებოდა, მისთვის, როგორც მამარდაშვილი შენიშნავს, ერთმანეთის ეკვივალენტურია "ფსიქო-ლოგია სივრცეში" და "ფსიქოლოგია დროში", მაგ-რამ არი ბერგსონი, რომელსაც სძულდა ხანიერების გამყინავი სივრცე, არ მიიღებდა ამ სა-თაურს, სადაც გზა დროუქმული მახასიათებლისგან დაცილილია. ამ ტოპოლოგიუბულ გზაზე მხოლოდ კი თუ ვადიანაცვლებს ნერტილებში, არნივი არ ვერ თეს. თუმცა ეგზისტენციალურად მისთვის უცხო არ არის ბერგსონისეული ხანიერების (duree) გან-ცდა. ამას აღნიშნავს ის პრუსტის მეთორმეტე ლექ-ციის დასაწყისში: "Мы говорили о том, что есть какая-то внутренняя длительность, или длящееся действие, или вечный акт, скрытый..."<sup>4</sup>

მამარდაშვილი ამბობს, პირველად რომ წაე-კითხე პრუსტის ფრაზა, რომ "სიცოცხლე დროში ძა-ლისხმევაა", აღმოჩნდა, ეს მე უნდა მეთქვია. მისივე ცნობით, ეს იმას ჰგავს, სარტრი და ბოხუარი და კი-დეე ვილაც მესამე რომ ისხდნენ და იტყვა, ფილოსო-ფიის ამოცანაა, ვარდი აღინეროს, მეტი არაფერი, ვარდი, როგორც ფენომენი, აღინეროს, სარტრი გაფიქრდა, შურით მოეულმა სახე: ხალხო, ეს მე უნ-და დამენერაო. აი, ასეთი ამბავია. მამარდაშვილის ფილოსოფიური გზა, როგორც თავად გვაუწყებს, სასიცოცხლოდ არის დავალებული პრუსტისგან. ერთგან აღიარებს, რომ პრუსტმა მას მეტი მისცა ფენომენოლოგიაში, ვიდრე ჰუსერლმა. ლექციას ვერ მოსმენთ, რომ პრუსტის ხსენება არ იყოს. ან-ტიკურ ფილოსოფიაზე ნაკითხულ ლექციებშიც კი უხილავი ძაფებით აბამს კავშირებს, ზოგჯერ არ-ცთუ ადევილად მისახვედრს, ამბობს, რომ ცნობი-ერებას ერთი წყარო აქვს და ერთი თვისება, რომ ადამიანის ცნობიერებაში აქვს სათავე და ის ერთბა-ნებოვან სიმრავლედ არის დანაწევრებული სხვა-

დასხვავან, სხვადასხვა გონებაში. ეს მაგონებს იოანე პეტრინის შესანიშნავ ფრაზას, რომლითაც ქართულად გამოთქვამს პროკლე დიადოხოსის აზრს: "ყოველივე სიმრავლე უზიარების რაითამე ერ-თსა". ყველა ცნობიერება ერთი ცნობიერებაა და ერ-თი ფილოსოფიაა, გვაუწყებს ძალიან ხშირად მამარდაშვილი.

დაუბრუნდეთ სათაურში წარმოდგენილ თე-ზისს, რომელიც ასეც გამოითქმის: მიუღწეველი უნ-და გიყვარდეს, და არა - მიღწეული. დაბეჯითობით გვაუწყებს ჩვენი ფილოსოფოსი. შემოქმედების პროცესი, ისევე და ისევე duree, უნდა გიყვარდეს, ვიდ-რე მისი ნაყოფი. შემოქმედება ხანიერებაშია, შედე-გი სივრცეშია განვინილი. უფრო მეტიც: შემოქმედებით აქტი ნუმენური აქტია, იგი მიმდი-ნარეობს ეგზისტენციალურ დროის ხანიერებაში, მაგ-რამ მისი შედეგი ფენომენურ სამყაროს ეკუთ-ვნის, სადაც ის სავანად არის ქცეული, სხვა საგნების გვერდით ვითარდება, რომელიც სხვადასხვა, მაგ-რამ ერთი და იმავე შინაარსის ტერმინებით გამოით-ქმის: ბერგსონისთვის ეს არის სულიერი ინტენსივობის ანუ დროუქმული განზომილების გამ-ლა, განივთება ექსტენსიურობაში; ბერდიაიევი მას ობიექტივაციას (ნომენურის გასაგნებას), ექსტერიო-რიზაციას (ნომენურის გარეთ გამოტანას), კრისტა-ლიზაციას, "გაქვალებას" (окостенение) უწოდებს; რენე გენონი ამ შედეგს რეალობის გამყარებად, გა-ყინებად (solidification) სახელდება და მთელი აქტუა-ლური ეონის ყოფიერების, რაოდენობრიობის იდეალთა სასუფევლის ნიშნად მიიჩნევს, რომლის საბოლოო მდგომარეობა სივრცედ გარდაქმნილი, შედეგებული დროა. და ასე, შემოქმედებით პრო-ცესი, თავისი არსით სულიერი, შედეგს ნივთიერ სამ-ყაროში იძლევა, რომელიც შემოქმედებითი ცეცხლის მიხლოდ ნაცარია, იშვიათად თუ გადობა-ტავს ჩანაფიქრს. თუნდაც გენია იშვიათად თუ არის კმაყოფილი თავისი შემოქმედების ნაყოფით. ჩანა-ფიქრი, რომელიც შემოქმედებით ხანიერებაში იკ-რება ძალას, თავისი რეალყოფილებით არასოდეს ხორციელდება. რა შეუძლია ჩვენს საცოდავ ენას, წუნს მამარდაშვილი, "ჩვენი ენა არის მხოლოდ ენა და არაფერს ვამკეთებელია. ჩვენი უბედური, საწყა-ლი ენა... თითქმის შეუძლებელია დანერო ის, რაც იგულისხმება".

ჩვენს სათაურში გამოფენილი პარადოქსული თეზისი ექვსი ათეული წლის წინათ ამგვარი სახით აქვს გამოთქმული გურამ რჩეულიძისგან: "ვენების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკობა-ში" ("ალავერდობა"). ავარდება ჭაბუკი ტაძრის გუმ-ბათზე, იქიდან გადმობედავს ქმნილებას და იბრუნობს, როგორ იქმნებოდა ალავერდის ტაძარი. ახლა კი დგას ალავერდზე, როგორც ნივთი სხვა ნივ-თთა შორის, ის კი, რომელიც ცოცხალი პროცესის წყალბოთი შეიქმნა, მკვდარია ან ხალხისთვის, მის ქვემოთ, მის გარშემო არს ღრეობს. მამარდაშვილის კვალზე დაეძენ: გზა უნდა გიყვარდეს უფრო მეტად,

3 გზის ფსიქოლოგიური ტოპოლოგია  
 4 ჩვენ ვსაუბრობდით იმის თაობაზე, რომ არსებობს რალაც შინაგანი ხანგრძლივობა ან განგრძობადი აქტი, ფარული...

ვიდრე მისალნევი ადგილი. გზაზე უნდა მოახდინო დროში ძალისხმევა, რომ არც ერთმა წამმა ფუჭად არ ჩაიაროს. ამ გზაზეა შენი გამოცდილება. ზა მიზნისაკენ გულისხმობს და თავადაც მიზანია, უფრო მეტიც: თვითმიზანი. დიდი ქრისტიანი მამა გრიგოლ ნოსელი ამბობს, რომ აქაც და იქაც ადამიანი არის მგზავრი, რომელიც ვერასდროს ვერ მივა საბოლოო მიზანმდე, რადგან საბოლოო არ არსებობს. მის წინაშე სულმუდამ ჰორიზონტებია, სათიკენაც, რისკენაც ადამიანი მიდის, ის შეუცნობადი და მიუღწევადი რამ არის. მთელი ქრისტიანული თეოლოგია ამაზეა აგებული. ნიკოლაუს კუხელდა თქვა, მიუწვდომელი თავისი მიუწვდომლობით მიიწვდომებაო (ამ ფრაზის ლათინური დედანი *attinigr inatingibile inatingibiliter* ენის გასატყვივით უღერს), ე. ი. მიწვდომის შეუძლებლობა მისი (ღმერთის) არსებითი ბუნებაა. ჩვენ ეს გავიგეთ. რა გავიგეთ? გავიგეთ, რომ ვერ ვწვდებით. გავიგეთ, რომ ღმერთი მიუწვდომადია. ამაზე მეტის გაგება ადამიანს არ შეუძლია. ეს უკანასკნელი ცოდნაა. ეს გზონისია...

დავუბრუნდეთ, მიხედვით გზას, როგორც პროცესს. არის ერთი გერმანელი თეოლოგის, ჰუგო რაინერის, წიგნი "მოთამაშე ადამიანი" და ამ მოძიებო ნიშნში არის თავი "მოთამაშე ღმერთი". რა ნიშნავს ეს - მოთამაშე ღმერთი? მკრებელობა ხომ არ არის? არა. ღმერთმა სამყარო თამაშით შექმნა... როგორც ბავშვს თამაშს არავინ აიძულებს, ეს მისი თავისუფალი ნების აქტია, მისი შინაგანი მოთხოვნილებაა. ასევეა შემოქმედი ღმერთი, რომელმაც რაც შექმნა, თავისუფალი ნებით შექმნა. ანალოგიას ბოლომდე ვერ მივიყვანთ: თუ ღმერთის თამაშს აქვს იმანიტური მიზანი სამყაროს შექმნა - ბავშვისთვის მიზანი თამაშია, მას თამაშის პროცესი იზიდავს, ის შედეგზე არ ფიქრობს. მას შეუძლია ქეიმაზე სამყაროები ააგოს, მაგრამ ისიც შეუძლია, რომ ეს სამყაროები დაუნანებლად წაშალოს და თავიდან დაიწყოს შენება. ეს არის თამაში თავისი წმინდა სახით, თამაში - თამაშისთვის. თამაში ასეთად შეიქმნა, როცა შეიქმნა, და მხოლოდ პრაგმატიკულმა გონებამ შესძინა მას ანგარებიანი მხარე. შედეგმა, რომელიც გამარჯვებას და ჯილდოს მოითხოვს, თითქმის დამარცხება თამაშის აზარტით გამოიწვეული სიტუებებია. აზარტით, როგორც თვითმიზნური თამაშის არსებითი თანმხლები, თავისუფლების სამყაროდან აუცილებლობის სამყაროში ინაცვლებს.

აი, აქედან დავუბრუნდეთ ძირითად თეზისს, რომ მოთავარია ქმნადობა, შედეგი კი ამაო. ვერ ვიტყვივით ასე კატეგორიულად, რომ შედეგი ამაოა, მაგრამ ქმნადობა შედეგზე მეტად მნიშვნელოვანი რომ არის, ეს განსაკუთრებით სწავლა-სწავლების მაგალითზე ჩანს. ახლა გავრცელებულია ლოზუნგი: შედეგზე ორიენტირებული სწავლა! ეს ლოზუნგი მოუწოდებს იმ მანიკერებისკენ, რომელიც ისედაც განსატყვივებული იყო და არის ჩვენს სკოლაში: მონაფე სწავლობს იმისთვის, რომ მიიღოს ნიშანი. სწავლას მოსწავლისთვის უტილიტარული დანიშნულება აქვს. ეს იცის ყველამ, სკოლამ და მშობლებმა, იცის მოსწავლემაც, ვისთვისაც სწავლის შედეგი მის გარეშე, მისგან გაუცხოებული პროდუქტია, რომელიც

დაუყოვნებლივ "გასხისდება" უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად და იქვე დაიწყება მიცემა. მაგრამ ცოდნის პროცესში მიღწეული შედეგის გარდა, რომელიც უღკოვდ ფასეულია თავისთავად, არსებობს და უფრო მნიშვნელოვანია ცოდნის მოპოვების, სწავლება-სწავლის პროცესი, ცოდნის მოპოვების გზა, რომელიც არ უნდა იყოს აუცილებლობით ორიენტირებული შედეგზე, არამედ თავად უნდა იყოს მიზანი, მეტიც, თვითმიზანი - სწავლა სწავლისთვის. როგორც მამარდაშვილი ამბობს: "მე მინდა ჩაგითრიოთ ჩემს აზროვნებაში", მასწავლებელმაც ასე უნდა ჩაითრიოს სწავლების პროცესში ბავშვი, რომ ბავშვმა თვითონ აღმოაჩინოს ცოდნა, და არა ისე, რომ დაუდრო მას გამზადებული ცოდნებით ყუთი. სწავლის გეგმი, მისი სიტყვა უნდა გაიგოს ბავშვმა. ეს ყველა პრობლემას გადაწყვეტს. თუ ამაზე აენჯობა მთელი სკოლა, ჩვენი სწავლება და დაივიწყებენ შედეგზე ფიქრს, და ნაცვლად ლოზუნგისა, რომელიც შედეგისთვის მოწოდებს, მოწოდება უნდა აპელირებდეს სწავლის პროცესზე, რომელიც მარადიულია და არ მთავრდება. სწავლა სიბერემდე? რატომ სიბერემდე, სიბერეც ხომ სიცოცხლეა... სწავლა სიკვდილამდე...

სწავლის შედეგი სწავლის პროცესის ყოველნა მიერ მომენტშია. და მთლიანად სწავლის პროცესია შედეგი. უსმენთ მუსიკალურ ნაწარმოებს. სად არის მუსიკალურ ნაწარმოების შედეგი? შედეგი პროცესშია, თავად პროცესია. ვილჰელმ ჰუმბოლდტის განჭვრეტით, მუსიკის არსი მის მიმდინარეობაშია (ხანიერებაში), არა დასრულებულ შედეგში; მუსიკა არის უფრო ენერჯია ანუ ქმედება, როგორც ენა, და არა ერვონი, როგორც ქმედების ნაწარმოები - ქმნადი, არა ქმნილი... პლატონის რამდენ ქეშმარტებას აქვს ვასული ყავლი. დღეს არავინ ისურვებს, პლატონის სახელმწიფოში ცხოვრებას, მაგრამ "სახელმწიფო", როგორც ენერჯია, დიალოგის სახით, სასუდამოდ დარჩა. დარჩა ქეშმარტების ძიების მეთოდი, რომლის სემანტიკაში გზა - ჰოდოს (მეტა ჰოდოს → მეთოდოს) არის არსებითი, გზაზე დაყენება, რასაც ემსახურებდა მამარდაშვილი თავის ლექციებში. ხომ ამბობდა, როგორც სოკრატე იტყვოდა, აზროვნების პროცესში მისურს ჩაგითრიოთ. ეს ჩათრევაა, როგორც თანამგზავრობა, სწორედ სწავლების მეთოდი.

ამ შუქზე შესაძლებელია სიზიფოსის მითოსის განახლებული ინტერპრეტაცია. სიზიფოსი, როგორც შემოქმედი, ლოდის აგორების პროცესში ბედნიერია, თუმცა მის უანგარო შრომას შედეგი არა აქვს. სიზიფოსის მითოსი ვგანსავლის, რომ შედეგი არაფერია, ამაოა. მაგრამ თავად პროცესი ლოდის ათრევისა მთის მწვერვალზე ღირებულება. ამიტომაც, მიუხედავად შედეგის ამაოებისა, სიზიფე კვლავ და კვლავ ეჭოდება ლოდს. პრაგმატიკულმა გონებამ სიზიფოსის გარჯა სასჯელად მიიჩნია და დღემდე ასე ფიქრობდა. მაგრამ სიზიფოსი თავისი ქმედებით ამბობს, რომ სიცოცხლე არის დროში ძალისხმევა. არ უნდა გამოხვიდე დროდან, ამაო შედეგის მიუხედავად, სვლა უნდა განაგრძო...

# გამორეშვითობა აქტის მიერ უკვე გამორეშული და მიმდინარე თარგმანები

## მერაბ მამარდაშვილის ნიგნები

**დექივაბი  
 ანტიკურ ფილოსოფიაში**

---

**მიმდინარე თარგმანი**  
 10 ივლისი, 2022

**ფილოსოფიის  
 შესავალი**

---

**მიმდინარე თარგმანი**  
 25 დეკემბერი, 2022

**ვიდენუსის დექივაბი  
 სოსილურ ფილოსოფიაში**

---

**მიმდინარე თარგმანი**  
 25 თებერვალი, 2023


**მერაბ  
 მამარდაშვილი**



**სუბიექტივა და სიმბოლიზმი**


**მერაბ მამარდაშვილი**  
 რატონდორთის კლასიკური  
 და არაკლასიკური ნიგნები

**მერაბ მამარდაშვილი**  
 კარტეზიანული მანერა



მარი ბექაური

# უპრობლემო კაცი



მებზე წუნუნებდა, ანტონიოს კი არანაირი პრობლემა არ გააჩნდა.

მაგრამ ერთხელაც რაღაც მოხდა, რამაც ანტონიოს სულიერი სიმშვიდე დაარღვია და დიდი ქარიშხალი გამოიწვია. ეს რაღაც იმნაირი რაღაც იყო, ვერას დიდებით რომ ვერ დაბრალებოდა ვერც პოლიტიკას და ვერც მასონებს...

გაზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს, როცა მზე მთებს ეფარებოდა და, ალბათ, ჩიტიც ფრინდებოდა ხიდან ხეზე, ანტონიოს მოულოდნელად ბოსტნის მხრიდან ჩუმი, მოგუდული ძახილი მოესმა:

“ანტონიო... ანტონიო...”

ანტონიომ სწრაფად მიატრიალა თავი უკან, მაგრამ ვერაფერი დაინახა. იფიქრა, მომესამო და ისევ გაირინდა, თუმცა, ორი ნუთიც არ იყო გასული, რომ მოგუდული ხმა განმეორდა.

- ანტონიო... ანტონიო...

- ვინ ჩემი ყელ ხარ?! - გაბრაზდა უცებ ანტონიო და ფეხზე წამოიჭრა. თან გაშმაგებული ატრიალებდა თავს აქეთ-იქით, მაგრამ ირგვლივ კაციშვილი არ ჩანდა და ანტონიოც პირდაპირ ბოსტანში შევარდა.

ბოსტანში არავინ იყო. მხოლოდ მწვანელები და კიტრები, და ნუ, რაღა დასამალია, შედარებით მოფარებულ ადგილას - მარისხუნაც, იგივე მოსანევი, პლანი იგივე.

ვერავინ რომ ნახა, ანტონიომ იფიქრა, ეტყობა, დავიდალეო და მარისხუნას ერთი-ორი ფოთოლი ნაანყვიტა, - უცებ გავაპრობ და გავუკიდებ, ღამე კარგად დამეძინებო, და იმ ღამეს მართლაც მშვენივრად ეძინა. თუმცა, დილას, როცა მთებს შუის პირველი სხივები ეფინებოდა და ანტონიო სრული ნეტარებით აყოლებდა თურქულ ყავას პირველ დურ სიგარეტს, ბოსტინიდან კვლავ ჩუმი ძახილი გაისმა:

“ანტონიო... ანტონიო...”

ანტონიომ გარუჩავა უცებ დაიძაბა, მაგრამ ასევე უცებ იფიქრა, მოდი, აბა, კრინტს არ გავიღებ, მივაყურადებ ერთი, ვის რა უნდაო, და ძვრაც არ ქნა.

ხმასაც არ დაუყოვნებია:

“ანტონიო, გამომხედე, ანტონიო...”

არა, ნამდვილად არ მელანდებო, - გაფიქრა ანტონიომ და უფრო გაიყურა.

“მომისმინე, ანტონიო. ეკლესიაში წადი და ოცი ლარი დადე გვერდითა კარის ქვეშ. შესაწირია ეგ ჩემი...” - აგრძელებდა ხმა და უცებ ანტონიოს ელდა ეცა, რადგან ამ ხმის პატრონში თავისი ან უკვე ოცი წლის მკვდარი მეზობელი, კონსტანტინე - კოსტა ხოფერია შეიცნო.

- კოსტა?!

ნამოსცდა უნებურად და სწრაფად შეტრიალდა უკან, თუმცა, ბოსტანში კვლავ მხოლოდ მარისხუნა და მწვანელები შრიალებდნენ.

ხმა ჩაჩუმდა. ანტონიო კი დაძაბული წამოდგა.

ბომ ამბობენ, უპრობლემო ადამიანი არ არსებობს, მაგრამ არსებობდა. იყო კაცი და ერქვა - ანტონიო გარუჩავა. ანტონიოს ანტონიო იმიტომ კი არ ერქვა, რომ ზოგიერთ ქართველ მწერალს, დაუდგენელი მიზეზით, პერსონაჟებისთვის უცხოურ სახელების დარქმევა ხიბლავს, მაგალითად - თომასი, მატეო, რეჯინა თუ რიჰანა, არამედ მას მართლა ანტონიო ერქვა და მართლა იყო უპრობლემო კაცი.

საკმე ისაა, რომ ანტონიო გარუჩავამ ცხოვრების საკმაოდ მთავარი საიდუმლო იცოდა:

1. ყველაფერი კარგი, რაც ხდებოდა, ღვთის ნება იყო.
  2. ყველაფერი ცუდი - სხვისი. მაგალითად, მთავრობის, დიდი ქვეყნების, მასონების, როკფელერების, როტშილდების, სოფელში - თავმჯდომარის, სამსახურში - დირექტორის, ქუჩაზე - მეზობლის, სახლში კი - მშობლის (ანტონიოს ცოლი არ ჰყავდა, თორემ, ცხადია, ქართული უანრის კანონის თანახმად, ეს ფუნქცია მშობლიდან ცოლს გადაეცემოდა.)
  3. ყველაფერი - კარგიც და ცუდიც - აუცილებლად გაივლიდა.
- მოკლედ რომ ვთქვათ, ანტონიო გარუჩავა ნამდვილად განსაკუთრებული კაცი იყო, რადგან ამ დუსტერი ნუთისოფელში ყველა საკუთარ პრობლე-

ერთხანს დაეჭვებულმა უცქირა ბოსტანს, მერე კი სახლში ავიდა და ტახტზე გაქავდა.

დიდხანს იჯდა ტახტზე ანტონიო. იჯდა, კედელს უყურებდა და ფიქრობდა. გონებაში მსჯელობდა, წონიდა და ჭმუნავდა. მერე თქვა: თურმე, რა ყოფილა, პრობლემა რომ შეგექმნება კაცსაო, და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, გადამწყვიტა, კონსტანტინე-კოსტა ხოფერიას თხოვნა დაეკიდებინა.

წინა ღამიდან შემორჩენილი მოსაწევი გაახვია, რამდენიმე ნაფაზი ამოარტყა და ერთი კარგად გამოიძინა.

მომდევნო სამ დღეს აღარაფერი ყოფილა და ანტონიო გარუჩავამაც თითქოს მივიწყა მომხდარი. თუმცა, მეოთხე საღამოს, როცა ჩვეულ რიტუალს ასრულებდა - სახლის წინ იჯდა და მთებში მზის ჩასვლას უყურებდა, მოგუდულმა ხმამ ანტონიო სკამზე შეახტუნა.

- ეს რა გამიკეთე, ანტონიო! - გაისმა უცაბედად, - ოცი ლარი დაგეხანა მკვედრისთვის?

- რომელი ხარ?! - წამოიჭრა ანტონიო, მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად იცოდა, ოცი წლის მკვედარი კონსტანტინე-კოსტა ხოფერია რომ ეძახდა.

- ვითომ არ იცი! - დაამუნათა კოსტამაც და უცნაურია, მაგრამ ანტონიო გარუჩავას რაღაცნაირად შერცხვა.

თავი დახარა და დიდი, ლურჯი ფლოსტებიდან გამოყრილ ფეხის თითებს ჩააშტერდა.

- ოცი ლარი რა გაგიცხა, ბიჭო. ნაღი, დადე. იქნებ, მომასვენონ ეშმაკებმა! - თქვა ისევ კოსტამ ცოტა საწყალი ხმით და ისიც ანტონიოსავით გაიწინდა.

ანტონიომ ერთი კი იფიქრა, სიგიჟეაო, მაგრამ ძველებისგან სმენოდა, მკვედრებს რომ აწუნებთ ხანდახან რაღაც და მაგიტომ, ისიც იფიქრა, იქნებ, სულაც არაა სიგიჟეო.

ცოტა ხანს კვლავ ჩუმად იდგა, ფიქრიანი, პოეტური სახით. მერე კი თვითონაც რაღაცნაირი, მოგუდული ხმით იკითხა:

- კოსტა?
- ჰა? - არ დააყოვნა მკვედარმა.
- ტრაკში ქეა! - მექანიკურად წამოსცდა ანტონიოს.

- სადა მაქვს, ბიჭო, ტრაკი! - მიუგო კოსტამ.

- კაი, - თქვა ანტონიომ და სახლში ავიდა. მართალია, ნამეტანი ესიკვდილებოდა, მაგრამ ანტონიო გარუჩავამ იმ დღეს ოცი ლარი დადო ეკლესიის გვერდითა კარის ქვეშ.

იქიდან წამოსული, ბილიკს რომ დაადგა, ერთდროულად სვედას და სიხარულს გრძობდა. სვედას - შაერთში გასროლილი ოცი ლარის, სიხარულს კი იმის გამო, რომ ბოლოს და ბოლოს, ეს არსაიდან გამოტყორცნილი პრობლემა მოიშორა.

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, სულაც ვერ მოიშორა და ნაადრევად უხაროდა უპრობლემო კაცს.

ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ მკვედარი დაბრუნდა და სახლის წინ მგდომარე ანტონიოს ბოსტნიდან, ჩვეული ხმით დაუძახა:

- ანტონიო...
- "არ არსებობს!" - ჯერ გაიფიქრა და ელდა მერე

ეცა ანტონიოს.

- ანტონიო...

ანტონიო გარუჩავა ხმას არ იღებდა. მიუხედავად იმისა, რომ უპრობლემო კაცი იყო, ამ ცხოვრებაში ავიც ენახა და კარგიც და ამიტომ ზუსტად მიხვდა, კონსტანტინე-კოსტა ხოფერია არა მადლობის სათქმელად, არამედ ისევ ფულის სათხოვნელად რომ დაბრუნდა.

- კიდევ ერთხელ დადე ოცი ლარი, ანტონიო, - გამოსახა მკვედარმა და ანტონიომაც გონებაში იყვირა:

- "ჰა!"
- გამანამეს ეშმაკებმა. კაცად აღარ ვვარგავარ!
- ანტონიო გარუჩავა არ შერხეულა. გაუნძრევლად იჯდა და ისეთი სახე მიეღო, თითქოს არაფერი ესმოდა. თან ფიქრობდა, რაღაცას ხიზანდროსს ესო. მკვედარი კი, რაღა ცოცხალი ან რაღა თავით, მაგრამ ჯიუტად არ ნებდებოდა:
- რას აკეთებ ახლა ვითომ? ვითომ არ გეხმის, არა?!

ანტონიო უცებ გაბრაზდა.

- და შენებს რატომ არ სთხოვ, მე რომ მომადექი?! - მიბრუნდა უკან.
- ვინ ჩემებს, ბიჭო! ტრაკამოხეული რომ დანდის ჩემი შვილი, ოცი ლარის გამძლეობა ეგ?! სულ რომ ლუციფერმა ჩამხაროს ქვაბში, ხუთ ლარსაც ვერ შემიძირავს!

- მე ხო რას ამბობ, ფულები მიწყვია ლიბის ქვეშ! - არ დათმო მაინც ანტონიომ.
- კი, მესმის, მარა...
- ან რა ვიცი, რომ რაღაცას არ მაიმუნობ!
- რას უნდა ვამიმუნობდე, მაგას როგორ მკადრებ, ანტონიო! - აღშფოთდა მკვედარი.

- მე რა ვიცი! - ხელები გაშალა ანტონიომ და თეატრალურად აზიდა წარბები, - საერთოდ, რატომ გადაგვიკიდნენ ეშმაკები, ამ მკვედარი თუ ხარ, რანაირად მელაპარაკები?!

- არ გრცხვინია, ბიჭო?! - უფრო აღშფოთდა კოსტა, - შენ გგონია, გატყუებ?!

ანტონიო გარუჩავამ მხრები აიჩქრა და აღარაფერი თქვა. კონსტანტინე ხოფერია კი საეჭვოდ გაჩუმდა. სიჩუმე იმდენ ხანს გაიწინდა, ანტონიომ იფიქრა, ნავიდაო და თვითონაც სახლში დააპირა ასვლა, თუმცა, როგორც კი კიბისკენ გადადგა ნაბიჯი, კოსტას ხმა გაისმა:

- გურანდა ცხვიტავა დაჭიპეს. იკითხე სოფელში და დარწმუნდები.
- დაჭიპეს? - მიბრუნდა ანტონიო.
- ჰო. თვითონ დაიჭიპა, უფრო სწორად... გადი, გაიკითხე. ნახავ, მე მხოლოდ სიმართლეს გელაპარაკები.

კოსტას ხმაში რაღაცნაირი გატეხილობისა და შურაცხყოფის ნაზავი იგრძნობოდა და ანტონიოს, უკვე მიგრად, უჩვეულოდ შერცხვა. თუმცა, ამ სირცხვილზე მეტად გურანდა ცხვიტავას დაჭიპვის ამბავმა დააინტერესა, მითუმეტეს, რომ ვერაფერი გაეგო, რა დაჭიპავზე იყო საუბარი.

კოსტასთვის აღარაფერი უთქვამს. სახლში ავიდა, გამოიკვალა და სოფელში გავიდა.

იფიქრა, "ბირჟისკენ" გავივლი, ვითომც ისე, უბ-



რალოდ, და თუ დამხვდა იქ ვინმე, ცხვიტავაზე ვკითხავო.

დახვდა კი არა, დახვდა!

ვინმე კი არა, ჯარი!

“ზირუაზე” ლამის მთელი სოფელი შეკრებილიყო და გურანდა ცხვიტავას ამბავს განიხილავდა. თურმე რა მომხდარა:

ამდგარა ეს სულელი ქალი და თბილისში ნასულა ვაქციინის გასაკეთებლად (იმ ხანებში რალაც პანდემია იყო. ერთმა ნუნკალმა ჩინელმა ლამურა ჭამა და ვირუსი შეეყარა. ადგა მერე და მთელს მსოფლიოს გადასდო. კომენდანტის საათები დაწესდა, ათასობით ადამიანი დაიღუპა, ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, ხალხს დედა მოეცვნა).

ჰოდა წამალს რომ ვერ მიაგნეს, ვაქცინა გამოიგონეს, ვითომ ვირუსისგან გიცავდა და სინამდვილეში კი გჩიპავდნენ. სითხე შეყავდათ, რითაც მერე მარტივად სამართავი ხდებოდი და თან ათას უბედურებას იწვევდა: შეიძლებოდა, უცებ სამშობლოს მოღალატე ან გეი გამხდარიყავი.

ეს ტუტრუცანა ქალი კი, ვითომც მოგონილია ეგო, ადგა და დაიჩიპა.

გავიჭებული იყო ხალხი, ეს რა გავგიკეთაო. თურმე, დაჩიპულს ორ მეტრში თუ ჩაუვლიდი, თავის ქირს გადაგდებდა. მაგალითად, ცხვიტავა რომ გალესბოსელეებულიყო, ორი მეტრის დისტანციაზე სხვასაც გააღესბოსელებდა.

მოკლედ, დაღუპა სოფელი.

სიმართლე რომ ვთქვათ, ანტონიო გარუჩავას

მთელი ეს ალიაქოთი სულ ფეხებზე ეკიდა და მართო იმის დაზუსტება უნდოდა, კოსტა ხოფერია სიმართლეს თუ ამბობდა. ჰოდა, რადგან დარწმუნდა, რომ ამბობდა - უბრალოდ, ტერმინი შეეშალა ცოტა (ოცი წლის მკვდარი იყო მაინც და მაშინ სად იყო დაჩიპვა) - უსიტყვოდ შეტრიალდა და სახლში გულ-დამძიმებული წავიდა.

მეორე დილას ანტონიო გარუჩავამ ხელის კანკალით დადო მეორე ოც-ლარიანი ეკლესიის გვერდითა კარის ქვეშ. მერე ეკლესიაში შევიდა და სანთელი დაანთო. თქვა:

- დედა ღვთისმშობელო, გეხვეწები, დაიფარე კონსტანტინე-კოსტა ხოფერია. იმას ეშმაკები მოაშორე და მე კიდევ - კოსტა! აღარ ვიცი, დამაწყდა ნერვები!

ცოტა ხანს სანთელს მიშტერებული იდგა, მერე კი პირჯვრის წერით დატოვა ტაძარი.

მომდევნო დღეებში ანტონიო გარუჩავამ თავის ძვირფას რიტუალს უღალატა და არც დილას, არც საღამოს, გარეთ აღარ დამჯდარა. მკვდრის დაბრუნების შიშით, აღარც მზის ამოსვლა ახარებდა და აღარც ჩასვლა.

ხომ გესმით, მთელი ცხოვრება უპრობლემო კაცი იყო და ახლა, პრობლემა რომ შეექმნა, აირია. დაფრთხა.

ასე, დამფრთხალი იჯდა - ძირითადად ტახტზე და სახლიდან ყოველი გასვლისას სწრაფად ჩარბობდა კიბეზე, რათა შემთხვევით ბოსტანადან კოსტა ხოფერიას ძახილი არ გავეგნა.

ერთხელ კი, ასე ორი კვირა იქნებოდა გასული, ანტონიო გარუჩავას მთელს ამ სიტუაციაზე უცებ ნერვები ძალიან მოეშალა.

“მაგის შიშით ცხოვრება ველარ უნდა შევირგო?” - გააფიქრა ტახტზე ჯდომისას.

“ბოსტანში ველარ შეესულვარ კაცი!” - გააგრძელა ფიქრი და ადგა.

“ორი კვირაა, პლანი არ მომიწევია!” - დაასრულა ფიქრი და რაღაცნაირად, გაგულადებულმა სახლის კარი ფართოდ გააღო.

კიბე მტკიცე ნაბიჯით ჩაიარა. ურყევი, მამაცი სახით შევიდა ბოსტანში და მარიხუანას რამდენიმე ფოთლი ნაანყვიტა.

მკვდარი არ ჩანდა და ანტონიოსაც, საკუთარი გამბედაობით აღფრთოვანებულს, გულში წამოსცდა:

“აი, ეგრე! იშ!”

თუმცა, ბოსტნის კარს რომ იხურავდა, მოსახდენი მოხდა.

- ანტონიო! - გაისმა კოსტა ხოფერიას ხმა, თითქოს ისიც მტკიცე და ცოტათი მკაცრიც.

ანტონიოს გული გაუსკდა, მაგრამ ამის შემჩნევა არაფრით არ იქნებოდა.

- ანტონიო!

ანტონიომ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

- ანტონიო! - ლამის იყვირა მკვდარმა და ანტონიოსაც ნერვებმა უმტყუნა.

- რა?! რა?! - გაცოფებული მიბრუნდა ბოსტნისკენ, - რა ჯანდაბა გინდა?! რატომ არ მაყენებ?! რა გამიტრაკე საქმე?!

- ხომ იცი, რატომაც? - გასაწყლდა უცებ კოსტა.

- აღარ მაქვს ამდენი ოცი ლარი! ჩემი გამჭირვება! სად პროჭიდან გამოვიღო?! - მაგრამ, გამანამეს ეშმაკებმა... - უფრო გასაწყლდა კოსტა.

- ხოდა მაგათი დედაც მოგტყან! - ანტონიო ბოლომდე გაცეცხლებულიყო.

- ამენ, ამენ! - მკვდარიც დაეთანხმა, მაგრამ მერე ოცი ლარი მაინც სთხოვა.

- არა მაქვს-მეთქი, კოსტა! შენ რომ მოკვდი ოცი წლის წინ, მაგის მერე მარილი ათჯერ გაძვირდა, იცი?! იცოდი?!

კოსტამ არ უპასუხა, თუმცა, ანტონიომ რაღაცნაირად იგრძნო, რომ უარის ნიშნად თავი გააკნია.

- ამ პანდემიის გამო კიდევ, ოცდაათი თეთრი რომ ღირდა ტუალეტის ქაღალდი, ოთხმოცდახუთი ღირს ახლა!

კოსტა ხმას არ იღებდა.

- ოთხმოცდახუთი, ბიჭო! კოსტა დუმდა.

- მასონების და იმ ჩინელის დედა მოგტყან! - დააბოლოვა ანტონიომ და კიბისკენ წავიდა. ლამის ირწმუნა, მორჩა, დამანება თავიო, მაგრამ მკვდარმა მოულოდნელად თქვა:

- მაშინ ეგ მომეცი.

- რა? - კიბესთან გაშუქდა ანტონიო.

- პლანი.

- პლანი რათ გინდა? - გაუკვირდა.

- მომეცი. აქ დადე, ბოსტნის ლობესთან.

ანტონიო ხმისკენ მთელი სხეულით შეტრიალდა.

და.

- რას მეუბნები, მკვდრებიც ენვეით, კაცო?

- ტყუილად მოგცეცა იმედი, - მიუხედა კოსტა, - შესანიშნავი რომ ვერ აკეთებ, რღაც ხომ მინდა “გრევა”.

- აბა, ეშმაკები ენვეიან?! - გულწრფელად დაინბა ანტონიო.

- ბევრი კითხვას სვამ, გარუჩავა. უბრალოდ, დადე; - პირველად მიმართა გვარით და ანტონიო მიხვდა, რომ კონსტანტინე ხოფერია არ ხუმრობდა.

ცოტა ხანს გაუნძრევლად იდგა, მერე კი ბოსტანში შევიდა და ლობესთან მოსაწვევი დადო.

მკვდარს ხმა არ გაუღია და აღარც ანტონიოს უთქვამს რამე. ფიქრით კი გაიფიქრა, “შე მამამიჯ-მულა, ერთი მაღლობა მაინც გეთქვა, გალიდავად გამოტანილი, ასე სათუთად გაზრდილი და ნალოლიავეები პლანი მოგეციო”.

მაგრამ, ეტყობა, მკვდრებმა არ იცოდნენ მაღლობები.

სამაგიეროდ, ხელფასის დღე სცოდნიათ...

უკვე ნამდვილად რომ ირწმუნა, ბოლოს და ბოლოს, თავი დამანებო, ანტონიო გარუჩავასთვის ბოლო პარასკევს (ამ დღეს ირიცხებოდა ხელფასები) კონსტანტინე ხოფერია ისე გამოეცხადა.

- ანტონიო, - გაისმა ბოსტნიდან.

ანტონიო მართლა აღარ ელოდა და ალაღად შეხტა (სკამზე იჯდა ჩვეულებად, სახლის წინ).

- ანტონიო, ციცი, რომ ხელფასი ჩავერიცხა დღეს, - მკვდარი პირდაპირ საქმეზე გადავიდა, - ჰოდა, იქნებ, ის ქანა...

- რა ვქნა? - შეტრიალდა სანახევროდ ანტონიო.

- ხომ იცი...

- არა!

- ძალიან ვთხოვ...

- არა!

- აბა, რა ვქნა?!

- მე რა ვქნა?! - ნარბეტი შექმუნა ანტონიომ, - ან ფიზიკულტურის მასწავლებლის ხელფასი რა გგონია?!

- ნუ ატრიაკებ, ოცი ლარი არ დაგატყვევს.

- შენი საქმე არაა, რა დამატყვევს და რა არა! - ანტონიო უკვე ბრაზდებოდა.

კოსტა ცოტა ხანს ჩაჩუმდა. აცადა.

- ანტონიო, - დაიწყო მერე.

- რა?!

- ვთხოვ, დადე ოცი ლარი ეკლესიის კარის ქვეშ...

- არა!

- ამ ერთხელაც...

- არა-მეთქი! არა! - იყვირა ანტონიომ, სწრაფად წამოდგა და სახლში გიჟივით ავარდა.


- არა უშავს, ხვალ მოვალ, - თავისთვის ჩაიჩურჩულა იმან, ბოსტნის იქითა ეზოში, ლობესთან ჩაკუნცხულმა და ხეს ამოვარებულმა. ბოლომდე დარწმუნდა, რომ ანტონიო ნამდვილად ველარ დაინახავდა და მხოლოდ მერე, სახლისკენ წავიდა თვითონაც:

კონსტანტინე-კოსტა ხოფერიას თორმეტი წლის შვილიშვილი, როგორც რომ უნოდებენ - “განდონი ბავშვი” ბუჩიტო ხოფერია, რომელსაც ვაი, რომ ხშირ მიზაბეის ბრწყინვალე ნიჭი აღმოაჩნდა.



ზაალ სამადაშვილი

# რასპე



რაზე უნდა დანერო, იცი?

იმ დროებაზე, შენ და ყურშა კლასელებიც რომ იყავით და მეზობლებიც, გვერდი-გვერდ ეზოებში რომ ცხოვრობდით, იმ ქუჩაზე, რომელზეც ტრამვაი დადიოდა, ორი ტაძარი იდგა და ერთ-ერთიდან ორგანის ხმა გამოდიოდა ყოველ კვირადღეს. მეტსახელი "ყურშა" ყურების ზომასთან რომ არ იყო დაკავშირებული და ასე იმიტომ მოიხსენიებდნენ, რომ მზერა ჰქონდა ბოხვერა ნავაზის, თავს რომ ჩამოედებს თათებზე და ამოგყურებს გულუბრყვილოდ, ჯანიანიც რომ იყო, თექვსმეტკილოიან გირს ცალი ხელით ოცჯერ მაინც რომ სწევდა მხრის სიმალიდან თავზემთი.

კლასელობასთან და მეზობლობასთან ერთად, კინოს სიყვარულიც რომ გაახლოებდათ, ისეთი ფილმების ნახვის სურვილი, რომლებზეც ბევრს ილაპარაკებდით და დაიმახსოვრებდით ფრაზებს, გადამწყვეტ მომენტებში რომ წარ-

მოთქვამდნენ მოქმედი პირები.

ერთხელაც, "სასწავლო ნაწილი" ბიჭი რომ შემოგიყვანათ რომელიღაც გაკვეთილზე და გითხრათ, დღეიდან ეს თქვენი კლასელი იქნებაო, თქვენხელა, ცამეტი წლის ბიჭი, რომელსაც ოფოფის ქორორივით აფშეკოდა თმა, ცოტა ხანში, მთელი სკოლა რომ ლაპარაკობდა მასზე, უცნაური, დაუჯერებელი ამბების მოყოლით რომ გამოიჩინა თავი და ხანდახან უფროსკლასელებიც რომ ჩერდებოდნენ ხოლმე დერეფანში მის მოსასმენად. კინო მასაც რომ უყვარდა თურმე, განსაკუთრებით ეკრანიზაციები, წიგნების მიხედვით გადაღებული ფილმები, ასეთები თქვენც, შენც და ყურშასაც რომ მოგწონდათ, მაგრამ მისგან განსხვავებით ვერ ამბობდით - წიგნი ჯობიაო, რადგან ნაკითხული არ გქონდათ არც "თხუთმეტი წლის კაპიტანი", არც "ინჟინერ გარინის ჰიპერბოლოიდი" და არც "ადამიანი - ამფიბია".

კითხვის სიყვარული მის მიერ მოყოლილ ამბებსაც რომ ეტყობოდა, ყველასი არა, მაგრამ უმეტესი მათგანის პერსონაჟები საყოველთაოდ ცნობილი წიგნების გმირები რომ იყვნენ, მაგალითად - შერლოკ ჰოლმსი, რომელიც ჩვენი ახალი კლასელების მტკიცებით, თბილისს სტუმრობდა ერთი დიდად გახმაურებული მკვლელობის გამოსაძიებლად.

რასპე რომ შეარქვა ამ ბიჭს ვილაცამ, “ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავლების” ავტორის სახელი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არავინ რომ არ იცოდა, რას ნიშნავდა ეს სიტყვა და, მიუხედავად ამისა, ყველამ ამ მეტსახელით რომ დაუნყო მიმართვა.

გაკვეთილების შემდეგ, სკოლას, უფრო სწორად, მის შემოგარენს, უმცროსკლასელების მშობლების გარდა, ქუჩის ბიჭებიც რომ სტუმრობდნენ, ყველაზე ხშირად ერთ-ერთ მათგანს რომ ხედავდით, თქვენზე ორი-სამი წლით უფროსს, პატარა, მრგვალი თვალებითა და წვრილი ტუჩებით რომელიღაც ჯიბვირს რომ ჰვავდა “პარიზის საიდუმლოებებიდან”, იმ მოსწავლეებს რომ ერჩოდა, ფულს სძალავდა ან რაიმე ნივთს - თუნდაც პასტის კალამს, ვისგანაც ხიფათს არ ელოდა.

სწორედ მას რომ გადაეყარა ცუდად ეს თქვენი რასპე, “თქვენი” იმიტომ, რომ მანამდე, დანარჩენ კლასელებს შორის შენ და ყურმა გამოგარჩიათ და თავისი საიდუმლო გაგანდით, შინისაკენ მიმავლებს აგედევნათ და ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ ვითხრათ - სკოლაში ყოფნა მირჩევნია სახლში ყოფნას, იქ სულ დავიდარაბაა, მამა ხშირად სვამს და დედა ლულ ეჩხუბება, გოცბულები რომ დატვრავთ თავისი გულახდილობით და გათქმევენათ, ეს რა უცნაური ვინმე ყოფილაო... ამის შემდეგ რომ მოხდა ის, რაც მოხდა, ორი-სამი დღის მერე წვრილტუჩებზე ჯეეღმა, რომელიც სკოლის მოპირდაპირე შენობის კედელთან იყო აყუდებული, მოსწავლეების ჯგუფში ჩამდგარ რასპეს ქაქანს რომ მოჰკრა ყური, თხრობის დასრულება რომ დააცადა, თითით რომ მიიხმო თავის თან და უთხრა ის, რაც უთხრა... ვინც იმ დროს იქ იყო, უკლებლივ ყველამ რომ დანიხა, როგორ გაუფუჭდა ხასიათი თქვენ კლასელს და როგორ წირნამხდარმა დატოვა იქაურობა.

მეორე დღესაც, სკოლაში მოსულს, აშკარად რომ შეეტყო უგუნებობა, შესვენებებზე ერთხელაც რომ არ გადაგა ფეხი საკლასო ოთახიდან, კრინტი რომ არ დაძრა, არაფერი რომ არ მოყვა, შენც და ყურმასაც, ვისაც გული გადაგიშალათ, როდის-როდის, ცალ-ცალკე ჩაიცვიების შემდეგ რომ ვითხრათ, რა შეემთხვა. ერთი კაცის ამბავი რომ მოუყოლია, კინოაფიშების მხატვრის, რო-

მელსაც სხვა მხატვრებით რამდენჯერმე კი არა, ფილმის ერთხელ ნახვაც რომ ჰყოფინებოდა თურმე, რათა ლამის ფოტოგრაფიული სიზუსტით გამოესახა მთავარი გმირები უზარმაზარ, ქალაქის ყველაზე დიდი კინოთეატრის მთავარი შესასვლელის თავზე გადმოსაკიდებელ აბრაზე, ვილაცას რომ უკითხავს, ყველაზე მეტად ვაკვირვებულს - მებსიერებზე ხატვის ასეთი უზარა, ვინ არის ეგ კაციო, ამას რომ უთქვამს: მამაჩემო და აი, ამ პასუხს რომ ჩასჭიდებია წვრილტუჩება.

კედელზე აყუდებულს თავისთან რომ მიუხმია, დაუზუსტებია, მართლა მამამისი ხატავდა თუ არა აფიშებს, პასუხით რომ დაკმაყოფილებულა, ქება რომ დაუწყია მისი, უთქვამს, აბა, ეგ იქნება მთავარი კაცი იმ კინოთეატრში, დირექტორზე უფრო მთავარიო, რასაც რასპე თავის კანტურით დათანხმებია და იმავენუთას ისეთი რამე უჯახებიათ მისთვის, რასაც მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის შთაბეჭდილება მოუხდენია, წვრილტუჩებზე თვალები რომ მოუწკურავს და უბრძანებია, ჰოდა, რაკი ეგრეა, მაგისთვის დიდი არაანებია იქნება ბილეთების დადება, მიხვალ, ეტყვი და ხვალ ამ დროს აქ მომიტან ორ ცალსო...

რასპეს მამა მართლა მხატვარი რომ ყოფილა, ოღონდ არა კინო-აფიშების, თავიდან ბოლომდე გამოგონილი ამბის მოყოლისაა რომ გასჩინია სურვილი - საკუთარი მამისთვის მიეწვინა განსაკუთრებული უნარი, ახლა რომ ამბობდა, არ ვაპირებდი ამას, არ ვიცო რამ მიზიბებოდა.

ბილეთები ფილმზე - “ბაბეტა მიდის ომში”, სადაც უმაგრესი ქერა გოგო - ბრიჯიტ ბარდო თამაშობდა, რომ არ იმოუგებოდა და მათი მოპოვება მხოლოდ გადაამყიდველებთან რომ შეიძლებოდა, ამისათვის კი ფული რომ უნდა გქონოდა, ბილეთის ნამდვილ ღირებულებაზე სულ ცოტა ოთხჯერ მეტი.

დახმარება რომ გადაწყვიტეთ, ოღონდ ყურმას სხვანაირად რომ წარმოედგინა ეს საქმე და შენ - სხვანაირად, ის რომ ამბობდა, მივიდეთ იმ ტიპთან და ვუთხრათ, შეეშვასო, შენ რომ იძახდი - ბილეთები ვუშოვოთო, რომ შეთანხმდით, რის ვაი-ვანგლახით რომ დაიყოლიე ყურმა, რომელსაც გულზე არ ეხატებოდა ქუჩის ბიჭები, რასპე ლეკვივით რომ შემოგცქეროდათ ხან ერთს, ხან მეორეს.

ფულიც რომ იშოვეთ და ბილეთებიც, ფული - ბუკინისტისგან, რომელსაც აღექსეი ტოლსტოის ხუთტომეული ჩააბარეთ ათ მანეთად, ბილეთებზე კიდევ ოქროსუბნელ გადაამყიდველს რომ დაადექით შინ, ოთხ ენაზე აყაყანებულ ეზოში, გოგონის ქუჩაზე და აბუზღუნეთ - აქ რატომ მაკითხავთ, რა გინდათ, რას უნდა ინსპექტორი დამაკითხონ მეზობლებმა?!

დათქმულ დროს, დათქმულ ადგილას მარტო რომ გაუშვით რასპე, თუცა თქვენ შორიახლოს რომ დადექით, მოფარებულში, წვრილტუჩება ისევ კედელთან რომ იდგა, ოღონდ მარტო არა, ამაღა რომ ახლდა თავისწაირების, შენ ვერა და ყურშა რომ მიხვდა, რატომ მიყუდებოდნენ გათლილი ქვებით მოპირკეთებულ კედელს "პარიზის საიდუმლოებების" სხვა მოშავო პერსონაჟებიც, რომ ავიხსნა, უზნელ ქუჩის ბიჭებს უნდა რომ აწინეროს, რა მაგარია, როგორ მოაქეთ მასთან "შეწერილი" ბილეთებიო, ამასობაში რასპემ წვრილტუჩებას რომ გადასცა ის, რისი მიტანაც აიძულეს, გამობრუნება რომ დააპირა და შეაყოვნეს, წვრილტუჩებამ რომ შეაყოვნა, რალაც უთხრა, კარგი რომ არაფერი, უკვე თქვენკენ წამოსულის გამომეტყველებით რომ მიხვდით.

"კარჩეო", დღეიდანო, კვირაში ერთხელ მოიტან ორ ბილეთსო, საღამოს სუანსზე, სასურველია რვა საათიანზეო, უთქვამს, უთქვამს კი არა, უბრძანებია მისთვისო.

"სასურველია"-ზე რომ გაჭყდა ყურშამ, ამ სიტყვამ რომ მოჭრა ყური, ის რომ მოეჩვენა დამცირებისა და უტიფრობის მთავარ გამოხატულებად, რამდენჯერმე რომ იკითხა, მართლა ეგ სიტყვა ახსენა და პოო, რომ მოისმინა ორჯერ, სამჯერ, წამომყვეითო რომ გითხრათ და დანინარდა, ჩქარი, ბრახიანი ნაბიჯებით რომ გადაჭრა ქუჩა, წვრილტუჩებას რომ დაუდგა წინ, თვალი თვალში გაუყარა და აჯახა, ბილეთები დაბრუნე, ბიჭოო... ბიჭოთი მიმართვა მაგარი შეურაცხყოფელი რომ იყო ნებისმიერი, განსაკუთრებით კი, ქუჩის ბიჭისთვის, თანაც ქუჩის ბიჭებისვე თანდასწრებით.

მზერისთვის მეტი სიმკაცრის მისანიჭებლად თავი წინ რომ წაივლო წვრილტუჩებამ და წარბებსქვემოდან ახედა ყურშას, შენი "ბიჭო" ვინ არისო? კბილებს შორის რომ გამოსცრა და მარჯვენა ხელი შარვლის უკანა ჯიბისკენ წაიღო, ამ მოძრაობამ, რომელსაც დასაკეცი დანის ამოღება და გაშლა უნდა მოჰყოლოდა, ოდნავადაც რომ არ დააფრთხო, პირიქით უფრო რომ გააბრაზა მის წინ მდგომი ბიჭი და გააკეთებინა ის, რასაც არავინ ელოდა, რომ დაავლო, დაავლო კი არა - შემოაჭლო ორივე ხელი წვრილტუჩებას, მკლავებში რომ დაეჭირეკა, ასწა და ჰაერში რომ ასასავიებინა ფეხები, მისი თანმხლებები უცნაურად რომ მოიქცნენ, ერთი პირობა რომ აიჯავგრნენ, ყურშაზე რომ გაინიეს თითქოს, მაგრამ მერე შეჩერდნენ, დაელოდნენ, როგორ მოიქცეოდა მათი ამხანაგი, დაემორჩილებოდა თუ არა, ასხმარებალებული და აყვირებელი - გამიშვი, ბიჭოო, ყურშას სიტყვებს, მცირე პაუზებით გამეორებულებს - მოხოვე და გაგიშვებო...

რომ დაემორჩილა, სთხოვა და ყურშამაც რომ

მაშორა სალტეებივით შემოჭდობილი მკლავები, შენ ჰაიპარად შემოხსნილი და მარჯვენა ხელის მტევანზე დახვეული ქამრის გამოყენება რომ აღარ დაგჭირდა, აღარ დასჭირდა რასპესაც, რომელმაც შენ მოგბაძა - მასვე ეკეთა სასკოლო ფორმის ლითონის ბალთიანი ქაშარი...

პირველად იმ დღეს რომ დალიეთ ლუდი, ფული რომ გქონდათ, ალ. ტოლსტოის ხუთტომეულში ბუკინისტისგან აღებული, გადაამყიდველთვის ბილეთების გამორთმევის შემდეგ მორჩენილი ხუთი მანეთი, უზნის რომელიმე დუქანში კი არა, ალექსანდრეს ბალთან, სასტუმრო "თბილისის" სარდაფში რომ ჩახვედით, ნახევარლიტრიანი კათხები ბოლომდე ვაასვებინეთ და სანამ შეკვეთილი ხინკლები წასაღებად დაგობდადეთ თეთრჩაჩიანი მებუფეტეც, მასვერამდე რომ ჩაცალეთ ისინი, რასპეს პირველივე ყლუპის შემდეგ რომ შეეცყო, დიდად რომ არ ესიამოვნა მუქი ქარვისფერი სასმლის მომწაფო გემო, მაგრამ რომ არ ჩამოგრანათ შენ და ყურშას, მედგრად რომ გაავარძელა ლუდის ყლურება.

რომ ალაპარაკდით, შენ რომ უთხარი ყურშას, სწორად მოიქეცა, ბილეთები რომ აღარ მოთხოვე, ისე იყო გაფარჩაკებული, კიდევ დამატება აღარ სჭირდებოდაო, რომ გითხრა, ბილეთები სულ აღარ მახსოვდა ბოლოსკენ, მარტო ის მინდოდა მეთქმევიებინა - გთხოვ, გამიშვიო, წვრილტუჩებას გაფარჩაკებაზე რასპემ რომ თქვა, ბრიჯიტ ბაროს ყურება გადაატანინებს მაგ ამბავსო და მოაყოლა, მე მაგ ვოგოს შიშველი ფოტო მაქვს ნანახი, რომ დგას და ხელში ლეოპარდის ტყავი რომ უჭირავსო...

არ ეშვენი ხო, ტყუილების ლაპარაკს, რომ გაგეცინათ შენც და ყურშასაც, შიშველი კი არა, ჩაცმული კინოვარსკვლავების ფოტოების ნახვას ძლიერ რომ ახერხებდით და ამასაც მხოლოდ მაღლულად, საგაზეთო კიოსკებში ორმად ფასად ნაციდი ყურნალების, ჩეხური "ეკრანისა" და პოლონური "ფილმის" მეშვეობით, რასპეს თურმე სხვა ყურნალი ჰქონდა დათავლიერებული - ალბომივით სქელი, ფერადი, პრიალა ფურცლებიანი, შორეულ ქვეყანაში გამოცემული, ზღვისპირა ქალაქის პორტში უცხოელი მეზღვაურისგან ნაციდი, მყიდველი მეზობლის, მისი ტოლი ბიჭის უფროსი ძმა რომ ყოფილა, ზღვისპირა ქალაქებში მივიღინებებით მოსიარულე ახალგაზრდა კაცი, გადამალული რომ ჰქონია ეს ყურნალი რამდენიმე კოლოფ "ფილმის მორისთან" ერთად, მაგრამ უმცროსი ძმას მაინც რომ მიუგნია და იმის საჩვენებლად, როგორ განძის მფლობელი იყო, რასპესთვის რომ დაუთვალაიერებინებია...

თამბაქოს ბოლითა და ცხელი ხინკლების ოხშივრით გაბულული სარდაფიდან ამოსულემმა, გრძელი გზით რომ არჩიეთ შინ დაბრუნება, რომ

ჩაუარეთ კინოთეატრ "სპარტაკს", "იმელის" შენობას, ელბაქიდის დაღმართით ჩახვედით ხიდან, გადაიარეთ, აუყევით მარჯვანშივლის ქუჩას და გაუხვიეთ მარჯვნივ, პლენხანოვზე, ყოფილი ვორონცოვის, იმჟამად კარლ მარქსის მოედნისკენ...

რომ მიაბიჯებდით სამი ბიჭი გრძელ გამზირზე, რომელიც ბოლოსკენ ვიწრო და მყუდრო იყო ძველ ქუჩასავით და არ ფიქრობდით იმაზე, რა კარგად აღწერდა რასპეს მიერ მოყოლილი ბოლო ამბავი (რომელშიც დაუფურეებელი არაფერი იყო გარდა იმისა, რაღა მას ჰყავდა ასეთი მეზობელი) და მთელი ეს "იმელ-პლენხანოვ-ვორონცოვ-კარლმარქსები" ქვეყანას, სადაც ცხოვრობდით და კიდევ მეოთხედი საუკუნე მოგნივდით ცხოვრება...

\*\*\*

გარეგნულად გადასხაფურეებული, შფოთიანი, დამოუკიდებლად ცხოვრების მოსურნე ქვეყნის მოქალაქეებად რომ მოუკაკუნეთ ორმოც წელს შენ და ყურშამ, ისევ განუყრელი მეგობრები რომ იყავით, ისევ გვერდი-გვერდ ეზოებში რომ ცხოვრობდით, კვირაობით ისევ რომ გამოდიოდით ორგანის ხმა თქვენს ქუჩაზე მდებარე ტაძრიდან, ოღონდ ტრამვაის რკინის ბორბლები რომ აღარ ღრჭიალებდნენ მოსახვევებში, რელსები აყრილი, სადენები ჩამოსხნილი რომ იყო საყოველთაო განუკითხაობის ფამს...

რასპეს იშვიათად რომ ნახულობდით, წელიწადში ერთხელ, შემთხვევით თუ გადაეყრებოდით სადმე მცირე ხნით, სკოლის დამთავრების შემდეგ თქვენი გზები რომ გაიყო, მან უნივერსიტეტში რომ გააგრძელა სწავლა, ისტორიკოსის დიპლომი აიღო და მასწავლებლობას ჟურნალისტიკაზე ამჯობინა, გაზეთში დაიწყო მუშაობა; თქვენ კიდევ, სასურველი ხელობის შესასწავლად ტექნიკუმებიდან ტექნიკუმებში წონილის, დიდ და მცირე მშენებლობებზე ბეტონის ზეღვისა და სახიდრების თერვის, საუკუნის ბოლო ათწლეულში აზვირთებულ სახალხო მღელვარებისა და გამაღებულ ომებში მონაწილეობის შემდეგ, მეორადი საბურავების ყიდვა-გაყიდვას რომ მიჰყავით ხელი და ქალაქის მთავარი ბაზრობის ერთ მოზრდილ ფარდულში დაიდით ბინა... იქ, იმ ფარდულში რომ გაიგეთ რასპეს წარმატების ამბავი, შემთხვევით რომ მოხდა ეს, შებინდებულზე, მოშვიებულებმა, ძეხვი და პური რომ მოატანინეთ ურიკის დამტარებელ ბიჭს და გაზეთი, რომელიც მწირი საცემი იყო გახვეული, მაგივის მავიგრობის გამწვევ ტაბურეტს რომ გადააფარეთ, ხელი რომ გადაუსვი ზედაპირს და მჭიმუჭუნულობის გასასწორებლად და მოულოდნელად, ყოფილი კლასელის ფოტომ რომ შემოგანათა სვეტებად დაყოფილი გვერდიდან...

ფოტოს ტექსტიც რომ ახლდა, სადაც ეწერა, ჟურნალისტიკა, აქამდე მახვილგონივრული სტატიებით რომ გვანებივრებდა, მწერლობა სცადა და ჩვენი ლიტერატურისთვის უჩვეულო, იდუმალელებით აღსავსე რომანი შემოგვთავაზო, ყურშამ რომ თქვა, ამ ამბავს აღნიშვნა უნდაო, მტვირთავი ბიჭი რომ აღარ შეანუხა და თავად მოარბენისასმელი, ბოლო დროს სულ მიზეზებს რომ ეძებდა ასი-ორასი გრამის ჩასატყვემლად და შენ რომ ეჯავჯანებოდი, გალოთდებო, ამჯერად, ვეღარაფერი რომ ვერ უთხარი და შენც რომ ჩინი გულ-მუცელი ვითომ ქარხნული და სინამდვილეში, ვინ იცის, სად, რომელ სარდაფში "გამოხდილი" კონიაკით...

მეორე დღესვე რომ გაიქეცი რასპეს წიგნის საყიდლად, ნაძალადევი, გადასასვლელ ხიდან, ძველისძველ, გაპარტახებას და გასხვისებას გადარჩენილ მაღაზიაში რომ მიაგენი, უხეიროდ აკინძულ, წვრილი შრიფტით დაბეჭდილ ეგზემპლარს, გზამუხე რომ დაიწყე მისი ფურცლი, დეზერტერების ბაზრის ხმაურიანი შემოგარენის გავლით დიდუბისკენ მიმავალმა, მთელი დღე რომ იკითხე ერთმანეთზე ახორხოლავებული საბურავების ძირში მოკალათებულმა...

წიგნის წინასიტყვაობის ავტორის, რომელიც ცნობილი ლიტერატორისგან განსხვავებით, სულაც რომ არ მოგეჩვენა ძალიან უცნაურად რასპეს მიერ მოყოლილი ამბავი, პირიქით, რომ გეცნაურა, გავასხენდა ბავშვობაში მისგან მოსმენილი, ერთი-მეორეზე დაუჯერებელი ისტორიები, კითხვისას ის ინტერესად რომ ამოიფხო თითქოს, რომელიც წარსულსა და აწმყოს შორის არსებობდა, თითქოს ამ ინტერვალის გარეშე გავაგრძელებ ყოფილი კლასელის ყურისგდება...

ორმოცი წლის რასპე ლოტკინის მთის ბოშათა დასახლების, იქმცხოვრებელი, კონტრბანდული სიგარეტებით მოვაჭრე მკითხვეი ქალის, მისი მწერი ქოხის შიდა კარის შესახებ რომ ჰყვებოდა, სხვა ქოხების კართავან არაფრით გამორჩეულის, სიძველისგან გაყავისფრებული ფიცრებით შეკრულის შესახებ, რომლის სრულიად შემთხვევით შედეგების შემაგებ, "მარლობობს" ან "ქემელის" საყიდლად მისული ახალგაზრდა, ერთობ ჭკუამხიარული კაცი, მეთექვსმეტე საუკუნის ესპანეთში, მადრიდან ახლოს დაბანაკებულ ბოშებთან ხვედებოდა, ცხენებგამორეგულ, წრიულად განლაგებულ ფურგანებს შორის აბორიალებულ, კბილებში ყალიონგაჩრილ კაცებსა და თმაგაშლილ, კაბების ბოლოებაფრიალებულ ქალებთან, ბანაკში, სადაც მოსალაბობებულზე, როცა კოცონები დაინთებოდა, თვალმდებარიალ გოგოს - პრესიოზას მოსანახულებლად ახალგაზრდა იდაღო - მიგვლდე სერვანტესი მოვიდოდა...

ამ მცირე რომანს თუ ვრცელ მოთხრობას, სხვა

არანაკლებ თავშესაქცევ და ფიქრების აღმძვრელ ოსზულეებებს რომ მოაყოლებდა რასპე და წლენის შემდეგ ისევ რომ შეგახსენებდათ თავს შენ და ყურშას, რომელიც ასევე გულმოდგინედ ნთავდა მის წინგებს, უღიმღამო ბროშურებიდან ფერადდვიან, მიმზიდველ დამოცემებზე გარდაქმნილებს...

წლების შემდეგ დაჭმუჭნული გაზეთის ნაცვლად, ტელევიზიით რომ შეიტყობდით ახალ ამბავს, შავ-თეთრი "კორფუჯის" მეშვეობით, რომელსაც საბურავებით სავსე ფარდულში შემოტანისა და მოთავსების წუთიდან იგივე დანიშნულება მიენიჭებოდა, როგორც თქვენი ბავშვობისდროინდელ "ხაზის რადიოს" - ჩართული ყოფილიყო და ესმაურა დიდიდან საღამომდე...

რასპე რომ გამოჩნდებოდა ეკრანზე, თმაშეთხელებული, წვერმოშვებული, რომელიცაღ გადაცემის ნაწყვეანთან მოსაუბრე, ცოტას რომ ღლაპარაკებდა, მაგრამ სულ დასამახსოვრებელ რამეებს, თავმდაბლობას რომ გამოვალენდა, მის მიმართ გამოთქმული საქებარი სიტყვების პასუხად რომ იტყოდა, მე მწერალი არა ვარ, მთხზველი ვარო, ერთი ცნობილი კაცის გამონათქვამს რომ გაიხსენებდა - ბავშვობაში დაუფერებულ ამბებს თუ თხზუ, მატყუარას გეძახიან, ხოლო დიდიბაშიც იგივე საქმით თუ ხარ დაკავებული, მწერალსო... და დაამატებდა, მეც ბავშვობაში დანყებულ საქმეს ვაგრძელებ და ამას მეგობრებს ვუმაღლი, კლასიკებს, ორ უშიშარ ბიჭს, ისინი რომ არა, გამონათქვამის თხრობას დიდი ხნის წინ შევწყვეტდი, ისინი გამოემსარწლებ, მათ დაამალევიგნეს შიში მაშინ, როდესაც დასჯა მომინდომეს სრულიად უწყინარი, საკუთარი შეცდომის გამოსასწორებლად მოგონილი ტყუილისთვისო...

ერთმანეთს რომ გადახედეთ და მიხვდით, ვის გულისხმობდა "ორ უშიშარ ბიჭში", ათას ჭირვარამ გამოვლილი გულები რომ აგიჩუყდათ, ყურშას, რომელიც ცოტა ნასვამი იყო, ცრემლი რომ ჩაუდგა თვალში, შენ რომ იყოჩაღე და გაახალიხე, ის რომ გაახსენე, როგორ აფხარკალბდა ფეხებს მინას მოწყვეტილი, შემოჭილი წვრილტყრება, რასპეს დასჯის მოსურნე, რომელმაც მოგვიანებით, უკვე მიონფულმა ქუჩიდან მილიციაში რომ გადაინაცვლა პირდაპირ და ქუჩის ბიჭებისადმი გამოვლენილი დაუნდობლობით სტაჟიან "ოპერებს" გადაასწრო...

თავის, ცოტა არ იყოს, ირონიული მოწონების შემდეგ - თურმე ნუ იტყვი, მწერალი გადავიჩინეა მომავალი თაობებისთვისო, იმ სიტყვებს რომ ჩაეძიეთ, რომლებითაც რასპე წვრილტყრებასთან დაპირისპირების გამომწვევე ამბავს აფხსებდა და "შეცდომის გამოსასწორებლად მოგონილს" უწოდებდა, გონების გვარიანი დაძაბვა რომ დაეჭირდათ მათ ასახსნელად, ნასვამობის

მიუხედავად, ყურშამ რომ გაჯობა მესხიერების სწორი მიმართულებით ამუშავებში და ის დღე აღდგინა, როცა რასპემ მოუღონდენი გულახდილობით გაგაკვირვათ და მოხდა ისე, რომ სწორედ ამ გულახდილობას მოჰყვა ამბის გამოგონება მამაზე, შენც რომ გაეცხსნა ტვინი, რომ თქვი, რასპეს გამოგონილ ამბებს შორის ეს ერთერთი იმ იშვიათთაგანი იყო, რომელიც რეალურ, არალიტერატურულ პერსონაჟს ეხებოდა და ამის მიზეზად ნახსენები გულახდილობა დაახახელებ - მამის სმის მოყვარულად მოხსენიება თქვენთან, ახლადგაცნობილ ბიჭებთან; შენი ღრმარწმენით, ამას რომ უთვლიდა შეცდომად საკუთარ თავს რასპე და მის გამოსასწორებლად, მის საპირწონედ თხზავდა ამბავს დამახსოვრების არაჩვეულებრივი უნარით დაჯვადოებულ, კინოაფიშების უბადლო მხატვარ მამაზე...

იმ საღამოს, გვერდი-გვერდ ეზოებში, თქვენთქვენ სახლებში დაბრუნებულებმა შინაგარეობით რომ შეაფიქრინეთ უჩვეული ქცევით, დადლიობის მომიზეზებით საძინებლებს რომ არ მიაშურეთ პირდაპირ, მარტოებმა რომ არ იგახშმეთ სამზარეულოებზე დადაკავებულ პატარა შუშაბანდებში, ოჯახის წევრები რომ მოისვით გვერდით და ელაპარაკეთ ყველაფერზე, რაც მათ აინტერესებდათ, თქვენი ტიხრებით დაქსელილი ფანჯრებიდან გვიანობამდე რომ გამოდიოდა თბილი, მოყვითალო შუქი...

ქალაქის განაპირას მდებარე კორპუსის ერთ პატარა ბინაში ასეთივე შუქი რომ ანათებდა მწვანე მაუდგადაკრულ სანურ მაგიდას, მაგიდასთან რასპე რომ იჯდა წვერნამახული ფანქრით ხელში და წვრილი, დაფერდებული ასოებით რომ ავსებდა მოზრდილი ბლოკნოტის ცალხაზიან ფურცლებს, მორიგე ჩანაფიქრის განხორციელებას რომ შედგომოდა, ვატერლოოსთან, "ასი დღის" ბოლო საბედისწერო ბრძოლაში სასწაულებრივად გადარჩენილ ძველი გვარდიელების, ქვემეხების ცეცხლისა და რუსეთის ყინულებში ნანრთობი ორი გრენადერის თავგადასავლის აღწერას, ბურბონების მიერ სასიკვდილოდ განიხრულ მარშალ ნეის გადარჩენას რომ დაისახავდნენ მიზნად და ვერ შეძლებდნენ, საფრანგეთიდან გაქცევა რომ მოუწევდათ ამის შემდეგ და მარსელიდან თურქულ გემს რომ გაჰყვებოდნენ უცხო მხარეში, ხანგრძლივ, ხიფათებით აღსავსე მოგზაურობას შავიზღვისპირეთის ერთ პატარა, მთავორიან ქვეყანაში რომ დაასრულებდნენ, მის მთავარ ქალაქში დაფუძნდებოდნენ და თავიანთი ცხოვრების თანმდეგ ფათერაკებში მორიგ თავის გაყოფამდე, ოღორიორი გზებზე ჯაყყაყათ გავერანებული ეტლების ბორბლების შეკეთებით გამოცვლით დაკავდებოდნენ...

ლექსო დორელი

# საბა 20 - თანამედროვე ლიტერატურის კრიტიკული ისტორია



ს ა ე კ ე თ ე ს ო

ლიტერატურული  
კრიტიკა

ს ა ბ ა 20

ს ა ბ ა 20



ს ა ბ ა თ ბ ა ის

## კრიტიკა არც-არც

ფრანგ ფილოსოფოსს, ლიტერატურის თეორეტიკოსსა და კრიტიკოსს, როლან ბარტს თავის საკულტო ნიგნ "მიოლოგიებში" შემოაქვს საინტერესო ტერმინი-კონცეფცია - **კრიტიკა არც-არც**.

ბარტის ინსპირაციად იქცა ყოველდღიური "ლექსარესის" ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილი სტატია, როგორც ის ცინიკურად უწოდებს - "განონასწორებული რიტორიკის შესანიშნავი ნიმუში" - რომელშიც საუბარი იყო, რომ ლიტერატურული კრიტიკა არ უნდა ჰგავდეს "არც სალონურ თამაშს და არც ნაგვის გატანას".

ტექსტის ანონიმურ ავტორს მხედველობაში ჰქონდა, რომ კრიტიკა, როგორც ნაწარმოების ნაკიბების და შეფასების ინსტრუმენტი, უნდა გავათავისუფლოთ წინასწარი იდეოლოგიური თუ ესთეტიკური განწყობებისგან, აღქმის სოციალურად განსაზღვრული და ტრადიციით განპირობებული ჩარჩოებისგან.

სწორედ ამ ფრაზაზე ირონიული რეფლექსიით ბარტი გვთავაზობს "კრიტიკა არც-არც"-ისა და

"არც-არც კრიტიკოსის" გაგებას. მისი აზრით, ეს მიდგომა მცდარია, რადგან "შეუძლებელია ლიტერატურაზე მსჯელობა, თუ არ არსებობს რაიმე წინასწარი აზრი ადამიანსა და ისტორიაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, საზოგადოებაზე და ა. შ."

როლან ბარტს, მეოცე საუკუნის უდიდესი გაელენის მქონე ლიტერატურის კრიტიკოსს, იდეოლოგიურ სახელმწიფოში არ უცხოვრია, მისი მემარცხენე იდეები ტექსტის ინტერპრეტაციისა და ნარატოლოგიის შესახებ, მართალია, საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, მაგრამ სივრცულად - მის მიღმა, პარიზში ჩამოყალიბდა.

აი, საბჭოთა საქართველოში კი ლიტერატურული კრიტიკა ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური და იდეოლოგიზებული სფერო იყო; დასჯის, განადგურების, რეპრესიის სასტიკი მანქანა, რომელსაც არა ლიტერატურული ტექსტის ინტერპრეტაცია, მხატვრული ანალიზი, არამედ მისი პოლიტიკურ, რეჟიმის ხმატან მიმართების დადგენა, განსაზღვრა და ამის შესაბამისად მოქმედება ევალებოდა. ლიტერატურის ჟანრებს შორის კრიტიკა, ალბათ, ყველაზე მეტად გაირყვნა და გადაე-



ვარდა და ეს ლოგიკურიც იყო.

სწორედ ამიტომ, პოსტსაბჭოთა საქართველოს ლიტერატურას სწორედ "არც-არც კრიტიკა" და "არც-არც კრიტიკოსები" ესაჭიროებოდნენ, რომლებიც ავტორს კი არ დასჯიდნენ და ტექსტს - გაასამართლებდნენ, არამედ გაიზარებდნენ და გაანალიზებდნენ მას მხოლოდ ესთეტიკური მოტივაციებითა და მიზნებით.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, კრიტიკას მხოლოდ ესთეტიკური ანგაფირებულიობის უფლება ჰქონდა და არავითარ შემთხვევაში - იდეოლოგიური.

ლიტერატურულმა პრემია "საბამ", განზრახულად თუ უნებლიედ, სწორედ ეს მიზანი დაისახა - ახალი, თავისუფალი, ანტიიდეოლოგიური კრიტიკის დაბადების ხელშეწყობა და საბჭოთა ტრადიციასთან დაპირისპირება.

უნდა ითქვას, ეს არც ისე მარტივი პროცესია რამდენიმე არსებითი მიზეზის გამო და, ვფიქრობ, ჯერაც არ დასრულებულა. შეიძლება, აღარ არსებობს პირდაპირი პოლიტიკური და იდეოლოგიური ინტერესი ლიტერატურის შეფასების და დახარისხების თვალსაზრისით. ტექსტებმა მოიპოვეს ლიტერატურული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის უფლება და შესაძლებლობა. მაგრამ ეს ჯერ არაფერს ნიშნავს. პირველ რიგში კი, არ არის გაარანტი იმისა, რომ იდეოლოგიური დავალებებისა და მითითებებისაგან გათავისუფლებული კრიტიკა სწორი მიმართულებით განვითარდება. კრიტიკის ჟანრის, კრიტიკის როგორც რეალობის აღქმისა და გააზრების მეთოდის ბუნებაში, არსში საბჭოთა გამოცდილებამ რაღაც გადამწყვეტი შეცვალა და დაამახინჯა. შეიცვალა თავად კრიტიკის გაგება, მისი

ფუნქცია, მხატვრულ ტექსტთან მიმართების პოლიტიკა.

ამდენად, "საბას" უნდა ეცადა და, როგორც ყველაზე პრესტიჟულ და გავლენიან პრემიას, გარკვეულნილად, ბიძგი მიეცა ლიტერატურული კრიტიკის, როგორც ჟანრის, ხელახლა დაფუძნებისა და აღმოჩენისთვის. კრიტიკას თავიდან უნდა ეპოვა საკუთარი როლი და ფუნქცია ლიტერატურასთან მიმართებით და დაედგინა მასთან ურთიერთობის შესაძლებლობები და საზღვრები.

გარდა ამისა, მკითხველიც უნდა დაერწმუნებინა საკუთარ საჭიროებაში და მისი ნდობა ხელახლა მოეპოვებინა.

უნდა ითქვას ერთი მნიშვნელოვანი რამ - "საბამ" ის შანსი მისცა კრიტიკას, რაც მისთვის სხვა ლიტერატურულმა კონკურსებმა ვერ გაიმეტეს - ეპოვა საკუთარი თავი, ხმა, განვითარებულიყო და, გარკვეულნილად, "დასწოლდა" თავად მხატვრულ ლიტერატურას. ამ წლების განმავლობაში სხვა კონკურსებიც დაარსდა, რომელთაგან ნაწილს ცუდია, რომ არსებობის შეწყვეტა მოუწია, ზოგის ბედი კი დღესაც გაურკვეველია. უნდა ითქვას, რომ მათ თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობაში, სამწუხაროდ, ვერ მოიძებნა დამოუკიდებელი ადგილი ლიტერატურული კრიტიკისთვის, როგორც ჟანრისთვის. "საბა" კი იჩინა საჭირო სიკაიუტეს - სიხარულით ხვდება და ახალისებს მის (კრიტიკის) წარმატებებს, ზოგჯერ უმკლავდება და იტანს ჩავარდნებსა და სუსტ პერიოდებს, ამხნევეს და წლიდან წლამდე აცხადებს ნომინაცია - წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა.

### კრიტიკა ჟანრული საზღვრების ძიებაში

თუ კრიტიკოსის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებები გულწრფელობა და სამართლიანობაა, სწორედ გულწრფეობა და სამართლიანად უნდა ითქვას, რომ კრიტიკის ნომინაცია, "საბას" 20 წლიან ისტორიას თუ შევაჯამებთ, ნამდვილად არ ყოფილა ყველაზე კონკურენტული და მდიდარი. სრულიად პირობით - ის, ნომინაცია - წლის საუკეთესო პიესასთან ერთად, ყოველთვის მცირერიცხოვანი მონაწილეებით გამოირჩეოდა.

თუმცა, ნამდვილად იყო რამდენიმე წელი, როცა ჟიურის არ გაუაღდვილებოდა გადანაცვითლების მიღება.

კარგი იქნებოდა და ეს ახლაც არ არის დაგვიანებული, თუ საქართველოს წიგნის ბაზარზე მოქმედი მსხვილი გამოცემლობები უფრო მეტად გაიზარებდნენ და გაითავისებდნენ კრიტიკის ჟანრის მნიშვნელობას ლიტერატურის განვითარებაში და დაინტერესდებოდნენ ლიტერატურული კრიტიკის გამოცემითა და მხარდაჭერით.

პრობლემებზე საუბარს თავს ნუ ავარდებთ - სამწუხაროა, რომ წლების მანძილზე ამ ნომინაციაში წარდგენილი და გამარჯვებული წიგნების კონტექსტში, როგორც წესი, არ ფიგურირებს დიდი და პოპულარული გამოცემლობები. არის სასიამოვნო გამოკვლევებიც, მაგრამ კრიტიკას, ძირითადად, მხოლოდ მცირე საგამომცემლო სახლები ბექდავენ, ზოგჯერ - ავტორის პირადი ფინანსებით. ამაზე სტატისტიკა მარტივად მეტყველებს - გამარჯვებული წიგნების გამოცემლობებს შორის გვხვდებიან: "საუნჯე", "საგამომცემლო ცენტრი", "ოლიე-ლი", "აზრი", "კალმოსანი" და ა. შ. და ძალიან იშვიათად - "დიოგენე", "ინტელექტი", "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" (ამჟამად - სულაკაურის გამომცემლობა) და "პალიტრა L".

უნდა აღინიშნოს, რომ თავად ლიტერატურული პრემია "საბა" დამოუკიდებელ ნომინაციადა წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკას კიდევ ერთხელ, 2011 წლიდან გამოცემის. მანამდე ის, პირველი სამ - 2003, 2004 და 2005 წელს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ამ ავტონომიურობის ფუნქციებით არ სარგებლობდა და ესეისტიკისა და დოკუმენტური პროზის ჟანრებთან ერთად იყო გაერიანებული.

თუმცა, აუცილებლად უნდა გავსვას ხაზი იმ გარემოებას, რომ კრიტიკის ჟანრმა იმ წლებშიც მოახერხა სერიოზული კონკურენცია გაენია ესეისტიკისა და დოკუმენტური პროზისთვის, როცა დამოუკიდებელ ნომინაციაში არ განიხილებოდა და რამდენჯერმე სწორედ იმ წიგნებმა დაიმსახურეს პრემია "საბა", რომლებიც მკაფიოდ სწორედ კრიტიკის შეგვიძლია მივაკუთვნოთ.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია საბა 2009-ის გამარჯვებული ლევან ბრეგვაძის "მოთხრობები ლიტერატურაზე", რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ავტორის მიუთითებს: "რასაც აქ წაიკითხავთ, არც კრიტიკული წერილებაა, არც რეცენზიები და არც ესეები, ესენი მოთხრობებია იმის შე-

სახებ, თუ რა გრძობები ეუფლებოდა წინამდებარე წიგნის ავტორს ამა თუ იმ ნაწარმოების კითხვისას" - მინიჭ უფრო კრიტიკის ჟანრს მიეკუთვნება, ვიდრე ესეისტიკის ან დოკუმენტური პროზის.

საქმე ისაა, რომ ლევან ბრეგვაძე კრიტიკის მხატვრული ლიტერატურის ჟანრად წარმოჩენით ცდილობს, დავგანრწმუნოს მის ესთეტიკურ ავტონომიურობაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმაში, რომ კრიტიკულ ტექსტს შეუძლია არსებობა იმ ნაწარმებებთან პირდაპირი მიმართების გარეშე, რომლებსაც ის თვითდამოხატვისთვის იყენებს. ეს საქმეაოდ მნიშვნელოვანი კონცეპტია - კრიტიკას დამოუკიდებლად ფუნქციონირების საშუალება უნდა ჰქონდეს, მას მხოლოდ ლიტერატურის გაგების, გააზრებისათვის კი არ უნდა ვკითხულობდეთ, არამედ განვიხილავდეთ და ვეყურებოდეთ როგორც თავად ლიტერატურას.

კრიტიკა არ არის მხატვრული ლიტერატურის დანამატი, თანმხლები, გვერდითი მოვლენა, რომელსაც "ძირითადი" ტექსტის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია. არა, ეს თავად არის ძირითადი ტექსტი - აი, მოსტახატოთა საქართველოს ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია და მიზნება. დიახ, ნამდვილი ლიტერატურა შეიძლება სულაც წიგნის ამიებზე მინერილი კომენტარებით იქმნება.

უფროსი თაობის კრიტიკოსმა, ლევან ბრეგვაძემ მანამდე და მას შემდეგ კიდევ ორჯერ მოიპოვა ჯილდო. ეს სულ პირველი "საბაზე" მოხდა - 2003 წელს, ბოლოჯერ კი 2012 წელს, როცა ჟიურიმ მისი წიგნი "ლიტერატურული (გამო)ძიებანი" გამოარჩია.


### კრიტიკა და თანამედროვეობის პრობლემა

"საბა" წარმოშობს დებატებს, პოლემიკას იმასთან დაკავშირებით, თუ, ზოგადად, რა არის კრიტიკის ჟანრის მახასიათებლები და ნიშნები. რა თვისებების ანალიტიკური ტექსტი შეგვიძლია მივიჩნიოთ კრიტიკულად; მთავარი - რა მიმართება უნდა ჰქონდეს მას თანამედროვე ლიტერატურასთან. ეს მნიშვნელოვანი ამბავია - ჟანრების სიცოცხლისუნარიანობის შესახებ სწორედ ისიც მიუთითებს, რამდენად ხშირად იცვლება მისი საზღვრები, როგორ ფართოვდება და იცვლება მისი გაგება, შინაარსი.

კითხვა, რომელიც ამ თვალსაზრისით ჩნდება, შედგენიანად შეიძლება ფორმულირდეს: აუცილებელია თუ არა, რომ კრიტიკამ ინტერპრეტაციის, გააზრებისა და შესწავლის ობიექტად მაინც და მაინც თანამედროვე, მისი დროის ლიტერატურა აირჩიოს? იქნებ ის ზღვარი, რომელიც კრიტიკასა და მის მომიჯნავე ჟანრებს შორის გაივლება, სწორედ თანამედროვე ლიტერატურაზე გადის?

თანამედროვე გერმანელი ფილოსოფოსი და კრიტიკოსი, ნორბერტ ბოლცი ესეში - "ვის ეშინია ფილოსოფიის?" - წერს, რომ "კრიტიკა თავის დონეს კარგავს, როცა მას დაბუღდება არ სჭირდება. ეს განმანათლებლობის ვალდებულებების ერთი დეტალია: კრიტიკის ნახალისება კრიტიკის კორუმპირებას ნიშნავს".





სჭირდება თუ არა კლასიკურ ტექსტებთან და პრობლემებთან მუშაობას ის "გაბედულება", რაც ასე აუცილებელია თანამედროვე ლიტერატურის გააზრების კონტექსტში? ხომ არ კარგავს კრიტიკა მთავარს - შეფასების უფლებას დ პრივილეგიას, როცა მას იმ ტექსტებთან უწევს მუშაობა, რომლებმაც უკვე დაიკავეს თავისი ადგილი ლიტერატურის ისტორიაში?

შეიძლება ითქვას, რომ პრემია "საბამ" არსებობისა და გამოვლენის საშუალება კრიტიკის ორივე სკოლას მისცა - იმას, რომლის მზერაც წარსულისკენ არის მიმართული და მასაც, ვინც თავის მიზნად ლიტერატურული ანმეოს გაანალიზებას ისახავს.

2005 წლის "საბას" გამარჯვებულმა, **ზაზა შათორიძის ნიგნმა "გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა"** სრულიად ინოვაციურად და ახალი პერსპექტივით გაიაზრა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება, მისი პოეტიკური, ლექსმცოდნეობითი და ესთეტიკურ-მსოფლმხედველობრივი ასპექტები. ნიგნს საკმაო აკადემიური გამოხმაურება და, შეიძლება ითქვას, გავლენაც ჰქონდა. პოეტის ხატი და ლირიკული ქრონოტოპოსი, გალაკტიონის პოეზიის გრამატიკა, უარის პოეტიკა, დოსტოევსკი და გალაკტიონი და ა. შ. - ეს ის თემებია, რომელთა ფუნდამენტური დამუშავებასაც ეძღვნება ნიგნა.

ზაზა შათორიძის მიერ გამოთქმული იდეები და ინტერპრეტაციები მკვეთრად განსხვავდება და შორდება იმ ტრადიციას, რომელიც ქართულ ლიტმცოდნეობაში გალაკტიონის კვლევის თვალსაზრისით ჩამოყალიბდა.

მონოგრაფიული ხასიათისაა **ელგუჯა თავბერიძის ნაშრომიც - "კოლიმგრაფი"**, რომელიც "სა-

ბა - 2013"-ის ლაურეატი გახდა.

"ქართული გულაგინა" - თავად ასე უწოდებს ავტორი სივრცეს, თემას, რომლის ნაწილიც მისი ნიგნია.

გულაგის - ადგილის, სადაც საბჭოთა პატიმრები სასჯელს გაუსაძლის პირობებში იხდიდნენ კვლევას, ქართული (და არა მხოლოდ) ისტორიის დაწერა იყო ელგუჯა თავბერიძის მიზანი. მას ამ საქმეში მეგზურობა ნიგნის "მთავარმა პერსონაჟმა" - ვარლამ შალამოვმა გაუწია. ნაშრომში ავტორი სწორედ შალამოვის შემოქმედების გააზრებას და ამ გზით საბჭოთა ლაგერის სურათის კიდევ ერთხელ ადგენას ცდილობს.

"კაცი წვერის პარსვისას სარკეში იხედება, ერთი ჩვევის შორის ჩამშვებია, ეუბნება იქიდან მოცქირალს" - შალამოვის მიერ მოთხრობილი ეს ანექდოტი მძაფრი სიზუსტით აღწერს მდგომარეობას, როცა ადამიანი საკუთარ თავსაც კი არ ენდობა. ელგუჯა თავბერიძე კი დოკუმენტური და ანალიტიკური ლიტერატურის ზღვარზე აღადგენს წინა საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე შემზარავ ამბებს.

უწარსლო კრიტიკის საინტერესო მავალითაა **თამაზ ვასაძის "20 ქართული მოთხრობა"**. უწარსლო - რამდენადაც ნიგნში საკუთრივ პროზის ერთი უწარსლო, მოთხრობის ნიმუშებია განხილული.

2016 წლის "საბას" ლაურეატ ნიგნში, ერთი მხრივ, ყურადღება გამახვილებულია თავად მოთხრობის სტრუქტურულ, პოეტიკურ და ნარატოლოგიურ ელემენტებზე, მეორე მხრივ კი, ეს თეორიული პერსპექტივა დაფუძნებულია კონკრეტულ ნაწარმოებთა ნაკითხვა-ინტერპრეტაციის შედეგებზე.

კრიტიკოსის თვალსაწიერიმ ექცევა როგორც



ცნობილი და აღიარებული, ისე ნაკლებად ყურადღებამიქცეული ტექსტები.

ვასილ ბარნოვი, დავით კლიაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, გურამ ჩრეჭლიშვილი, ნოდარ წულეისკირი და სხვები - სწორედ მათი ტექსტები არიან ნიგნის "პერსონაჟები".

ლიტერატურის ანშოპსკენ, თანამედროვეობისკენ არის მიმართული "საბას" ორგანოს ლაურეატის, **მალხაზ ხარბედიას** ნიგნები - "პირადი ბიბლიოთეკა" და "ტექსტი და სიმართლე". ამ თვალსაზრისით ისინი კრიტიკის ყველაზე აქტუალურ და "ნამდვილ", თუმცა იშვიათ შემთხვევებს წარმოადგენენ.

როგორც ავტორი აღნიშნავს, "პირადი ბიბლიოთეკა" მისთვის ანტიამეზობა იყო, რომლის დაწერითაც ლიტერატურის დავიწყების პროცესს გაუწვინა ნინააღმდეგობა - მოძებნა ფორმები, რათა საზღვრად ჩაებეჭდა გონებაში სხვადასხვა, ქართული და უცხოური ლიტერატურის სიუჟეტები და სცენები გონებაში.

"ტექსტი და სიმართლეში" კი, რომელმაც 2015 წელს დაიშასხურა ჟიურის აღიარება, ძირითადი ცნებები და კონცეპტები სიმართლე და პასუხისმგებლობაა.

"აქ ათეულობით ავტორს შეხვდებით, რომლებიც დადეს ახალ ლიტერატურას ქმნის და ცდილობენ გააქმნონ არასწორი და ზერელე წარმოდგენები, მკითხველთა აკვირებები იმის შესახებ, რომ ქართულ ენაზე მხოლოდ ერთი ან ორი მწერლის ნაკითხვად ღირს. ეს ზერელე და საქმის გამარტივება თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესის მთავარი სენია, რადგან მკითხველთა უმრავლესობა (და გამომცემელთა უმრავლესობაც) მხოლოდ ე.წ. "მეინტრიმს" კითხულობს, მასში ტრიალებს და არაფერს ეძებს ახალს, ვერანაირად ვერ უწყობს ხელს ახალი ხედვების გაჩენას. სწორედ ამიტომ, შევეცადე თანამედროვე ქართულ მწერლობაში, თარგმანში და ლიტერატურის პოლიტიკის ასპარეზზე მიმდინარე ძალზე საინტერესო თუ სახიფათო მოვლენების რაც შეიძლება ფართო სურათი მეჩვენებინა" - ასე განსაზღვრავს მალხაზ ხარბედიას ნიგნის მიზანს და შინაარსს.

ლიტერატურათმცოდნე და ლიტერატურის კრიტიკოსმა, **ნანა ტრაპაიძემ** ორი მცდელობიდან ორჯერ მოახერხა "საბას" დაუფლება - 2017 და 2021 წელს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ავტორმა ტექსტის ანალიზს და ინტერპრეტაციის თეორიული, პოსტსტრუქტურალისტური ტრადიციის გასაღრმავებლად ბევრი რამ გააკეთა.

"**ლიტერატურა და ლიტერატურა**" - ასე ჰქვია ნანა ტრაპაიძის ნიგნს, რომელშიც ავტორმა განხილული ნაწარმოებებისადმი აბსტრაქციების და კონცეპტუალიზების მეთოდი აირჩია. მისი ანალიზის და, ფართო გაგებით, ტექსტის ადექსის პრინციპია, რომ ის ისეთ მდგომარეობაში ჩააყენოს, რომ პასუხი გასცეს, ზოგადად, ლიტერატურის თეორიას და ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს და მარადიულ კითხვებს. ყოველმა ტექსტმა თავიდან უნდა გასცეს პასუხი კითხვას: რა არის ლიტერატურა?

კრიტიკოსი არ უწყობს ტექსტს სამსჯავროს, არ

ასამართლებს და, მეტიც, არ აფასებს მას. ნანა ტრაპაიძე მათ პრობლემატიზებას ცდილობს. ეს "პოლიტიკა" კიდევ მეორე რადიკალური და აბსოლუტური ხდება უფრო ზიგნში - "**ლიტერატურა ლიტერატურის შესახებ**", რომელიც საბა 2021-ის ლაურეატი გახდა. ამ ნიგნიდან, შეიძლება ითქვას პირველადი ტექსტი საერთოდ ქრება, უჩინარდება და ავტორი ტექსტს ლიტერატურის თეორიის კრიტიკულ სახელმძღვანელოს, რომელშიც ისტორიის და თანამედროვეობის პრობლემები ძალზე პროფესიონალურად და, ამავე დროს, სუბიექტურად არის გადასწავებული.

"როცა რაიმეს განიჭებენ, გამარჯვებას მოიპოვებ, ცხადია, ეს სასიამოვნოა. მით უფრო, როცა ფართო კულტურული მნიშვნელობის პრემიაზეა საუბარი და რომლის მფლობელები ქართული ლიტერატურული ცხოვრების შემქმნელები არიან.

მაგრამ, ვფიქრობ, ინტელექტუალური, ასე ვთქვათ, წარმატება მარტო სიამოვნების და გამარჯვების საკითხი არ არის. ნიგნის მთავარი შედეგი მისი უკუქმედების ძალაა (ამაში იგულისხმება თუნდაც ის, რომ ნიგნი დარჩეს შეუმჩნეველი ან უარყოფილი). უკუქმედება ნიშნავს იმას, რომ ის ქმნის გარკვეულ გრავიტაციულ ველს, ინტელექტუალურ ენერჯიას. ეს არ არის ცალმხრივად ნიგნის უნარი და ფუნქცია. ეს სამიზნე საზოგადოების უნარი და ფუნქციაა. მოკლედ რომ ვთქვა, ნიგნი სპორტულ წარმატებად კი არ უნდა დარჩეს, როგორც გამარჯვებულის კარიერული მიღწევა, არამედ როგორც ველი, რომელზეც რაღაც ხდება.

ვფიქრობ, რომ საჭიროა, თუ შეიძლება ასე გამოითქვას, შედეგების მეტი პროცესუალიზაცია და ამისთვის ინსტიტუციური მხარდაჭერა.

უამისოდ აღიარება კარგავს მის მთავარ არსს - აღიარების სიმართლეს, როგორც არა მარტო გამარჯვებულისთვის, არამედ საზოგადოებისთვის გამიზნულ სიკეთეს. ამის გარეშე ვერ იქნები დარწმუნებული, რომ არსებობ და ვერც იმამი გადაარწმუნებ თავს, რომ ცხოვრება შოუ არაა, ის, პირველ რიგში, ყოფია. აღიარება კი ყოფის საკითხი მგონია და არა სახანაოების, თან სპორტულის. ამ თვალსაზრისით, სულაც უმნიშვნელოა გამარჯვება/არგამარჯვების საკითხი, მთავარია, რომ ხარ, წერ, ქმნი ყოფაში ანუ ზემოქმედებ მასზე. აღიარება ხელშეწყობაა ამ საქმეში. ამ აზრით, "საბას" აქვს დიდი მნიშვნელობა" - ასე აფასებს "არილთან" საუბარში ნანა ტრაპაიძე საკუთარ წარმატებებს "საბას" პრემიასზე.

კრიტიკა კი, თუ საბას ბოლო წლის ტენდენციას გავითვალისწინებთ, ამით საერთოდ სწყდება თანამედროვე ქართულ ლიტერატურას და ფოკუსის ისტორიის კვლევის და არქეოლოგიისკენ მიმართავს. სწორედ ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს ამ წლის მეორე გამარჯვებულის, **ნინო დიანისაშვილის** ნიგნი - "შემოღიო სიმშავე თუ შავი შემოღიოლა?" ლისამანია ვერძობებს ტრავადიებში: "ბაკე ქალები", "ჰერაკლე", "ორსტესი", რომელიც ენობრივი პოზიციით, მეთოდოლოგიით, უანრული კანონიკის პრინციპებით, არსებითად, უფრო სამცენიერო ნაშრომია, ვიდრე კრიტიკა.



“საბა” ევრიპიდესთვის... ბევრი წლის ფიქრის და კვლევის ყველაზე ღირებული შედეგი, უმაღლესი შეფასება. ეს არის ჯილდო, რომელსაც აქვს მინარტება როგორც წარსულთან, ასევე მომავალთან. პასუხისმგებლობა ჩემთვის “საბა”, მომავლის განმსაზღვრელია, მომავალი საქმიანობის. და ზოგადადაც, არა მხოლოდ ჩემთვის, მოტივაციის შემქმნელია ლიტერატურის კრიტიკოსებისთვის (ამ ნომინაციას ვგულისხმობ), რომ მოამზადონ წიგნები, რომლებსაც წარადგენენ “საბაზე” და მოიპოვონ მდგომარეობა, რომელიც მუდამ გემასხვრება, რომ შენ ფლობ “საბას” - ამბობს ავტორი “არილთან” საუბარში.

მანამდე, 2020 წელს კი “საბა” ცნობილმა ლიტერატურისმცოდნემ, პროფესორმა **რამაზ ჭიაიამ** დაიმსახურა, რომლის წვლილი, ზოგადად, ლიტერატურის განვითარებაში მხოლოდ “პოეტიკური ჩანაწერებით” არ განისაზღვრება და, ძირითადად, უნივერსიტეტში მის სტუდენტებისთვის დაუციყარ მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული.

“პოეტიკური ჩანაწერები” მნიშვნელოვანი ნამუშევარია რამდენიმე თვალსაზრისით. ერთი მხრივ, არსებითია ქალაქის პოეტიკის, ურბანისტული ლიტერატურის შესახებ ავტორის დაკვირვებები, მეორე მხრივ კი, ლიტერატურის ახალგაზრდა მკვლევართათვის ბევრის მთქმელია ის უზარმაზარი ბიბლიოგრაფია, რომელიც წიგნს ერთვის და რამის მთლიან მოცულობის მესამედ იკავებს.

### სად არის კრიტიკა?

სად არის ლიტერატურული კრიტიკა? ხშირად მოისმენთ რიტორიკულ შეკითხვას, რომელიც ფარისევლურად, თუ გულახდილობით აღნიშნავს სურვილს, რომ ის გააქტიურდეს, გამოცოცხლდეს და კიდევ მეტად განვითარდეს.

“საბა” აგრძელებს ამ არც ისე პოპულარული ჟანრის მხარდაჭერას. კონკურსის ისტორია გვაჩვენებს, რომ ერთადერთხელ მოხდა, როცა, სამწუხაროდ, ლიტერატურული კრიტიკის ნომინაციაში პრემია არ გაიცა - 2019 წელს. და ეს ჟიურის გადაწყვეტილებით, წიგნების არარსებობით იყო განპირობებული.

მაგრამ რატომ არ ჩანან კრიტიკოსები? ვფიქრობ, უნდა გვესმოდეს, რომ კრიტიკა დიდი ხანია, აღარ არის ჩაკეტილი ვინაშე პროფესიულ ჩარჩოებში და მსოფლიო ლიტერატურული კრიტიკის ტრადიციას თავად მწერლები, ცნობილი პოეტები, პროზაიკოსები და მთარგმნელებიც ქმნიდნენ. თომას მანი, ტომას სტერნზ ელიოტი, ხორხე ლუის ბორხესი, უმბერტო ეკო, იტალო კალვინო... - დაუსრულებელია იმ მწერალთა სია, რომლებიც, ამავე დროს, ლიტერატურის კრიტიკოსებიც იყვნენ. და დღეს კიდევ უფრო მეტად, როგორც არასდროს - თანამედროვე მწერლები თავად ამდიდრებენ ლიტერატურული კრიტიკის ტრადიციას.

იყო ბენიამინი და საინტერესო გამოწაკლისი “საბას” ისტორიაშიც, როცა მწერალმა **შოთა იათაშვილმა** სწორედ ლიტერატურული კრიტიკის ნომინაციაში მოიპოვა გამარჯვება წიგნით “დალაგება” და ეს შესანიშნავი პრეცედენტი მაგალითის ძალას თუ შეიძენს, ქართული ლიტერატურისთვის მხოლოდ კარგი იქნება.

უნდა გავიაზროთ, რომ კრიტიკა არ არის მხოლოდ ლიტერატურის კრიტიკოსების, თეორეტიკოსების საქმე. კრიტიკა ლიტერატურის ცნობიერებაა, როგორც ქართველი ფილოსოფოსი, მერაბ მამარდაშვილი იტყობა - ნაკითხვის გაფართოებული აქტი და თუ ლიტერატურა საკუთარ თავზე რეფლექსიას არ ახდენს, ის მალე შეწყვეტს არსებობას. კრიტიკა კი ლიტერატურისთვის სწორედ საკუთარ თავზე ფიქრის მექანიზმია.

სალი რუნი

# ნაუკითხავი შეტყობინებები

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძე



ოთხშაბათს, თორმეტ საათსა და ოც წუთზე, დუბლინის ცენტრში, ოფისში, მაგიდასთან მჯდარი ქალი მონიტორს მისჩერებოდა. უკან გადავარცხნილი შავი თმა კუს ბაკნის სარჩით დეჰმაგრებინა. მუქი რუხი ფერის სვიტერი შვე შარვალში ჰქონდა ჩატანებული. ხელი გაქონილ "თავუნახე" ედო და ტექსტის ვინრო სვეტებზე თვალბეს აცეცებდა, ზოგჯერ "თავუნახს" ანკაპუნებდა და ტექსტში სიმბოლოები შეჰქონდა ან შლიდა. ხშირად სვამდა ორ ნერტილს სახელში "WH Auden" - მთელ ტექსტში "W. H. Auden" უნდა ყოფილიყო. როდესაც დოკუმენტი ჩაიკითხა, თავიდან გადაამოწმა. როგორც ჩანს, შედეგმა დააკმაყოფილა. ტექსტი შეინახა და ფაილი დახურა.

დღის პირველ საათზე მან მონიტორებთან მსხდარ კოლეგებს უთხრა, სასადილოდ მივიდეთ. მათ გაუღიმეს და ხელი დაუქნიეს. ქურთუკი ჩაიცვა, ოფისის მახლობელ კაფეს მიაშურა და ფანჯარასთან მდგარ მაგიდას მიუჯდა. ცალ ხელში სანდვიჩი ეჭირა, მეორით კი "ძმები კარამაზოვების" ეგზემპლარს ფურცლავდა. ორს რომ ოცი წუთი დააკლდა, კარისკენ გაიხედა და დაინახა, რომ კაფეში ქერათმიანი მაღალი კაცი შემოვიდა. კოსტიუმი ეცვა და პალსტუხი ეკეთა. კისერზე ყურსასმენის ზონარი ეკიდა და ტელეფონით ელაპარაკებოდა ვილაცას. "დიას", თქვა მან, "სამშაბათს მაცნობეს. დაგ-

რეკავ და ყველაფერს გადავამოწმებ". როდესაც ფანჯარასთან მჯდარი ქალი დაინახა, გამომეტყველება შეეცვალა, თავისუფალი ხელი სწრაფად ასწია და მიესალმა. შემდეგ ტელეფონზე მიუთითა და საუბარი განაგრძო. "არა მგონია, რომ ასლი გადაეღო, არა". კაცმა კვლავ შეხედა ქალს და ანიშნა, მეტი აღარ შემიძლია, მოთმინება მენურებო. ქალს გაეღიმა. წიგნის ფურცელს თითებით ათამაშებდა. "მართალია, მართალია", თქვა კაცმა. "მისმინე, ახლა ოფისში არ ვარ, მაგრამ როცა მივალ, ყველაფერს დავაზუსტებ. პო. კარგი, კარგი. ნახვამდის".

კაცმა ლაპარაკი დაასრულა და მივიდა ქალთან, რომელმაც ახედ-დახედა და უთხრა, "ოჰ, საიმონ, როგორი ამპარტავნული იერი გაქვს. ამის გამო ვინმემ არ შეგიძულოს". კაცმა თავისი ტელეფონის ზონარი შეათვალიერა. "ალბათ, ამ ზონარის გამო მაქვს ამპარტავნული იერი", თქვა მან. "შენთვის ყავა ხომ არ შევეუკვეთო"? ქალმა უპასუხა, რომ სამსახურში უნდა დაბრუნებულიყო. "კარგი", თქვა კაცმა, "იქნებ, ყავა თან წავიღოთ და სამსახურამდე მივაცილო? რჩევა უნდა გკითხო". ქალმა წიგნი დახურა და კარგი, დაეთანხმა. კაცი დახლთან მივიდა, ქალი კი წამოდგა და დაიბერტყა შარვალი, რომელზეც სანდვიჩის ნამცეცები მისწებებოდა. კაცმა შეუკვეთა ორი ყავა - ერთი რძიანი, ერთიც შავი, და ხურდა ფული ჩააგდო წვრილმანი გასამრჯელოს ქილამში.

ლოლა როგორააო, იკითხა. ქალმა თვალელები შეხედა და უცნაური, ყრუ ხმა გამოსცა. "ოჰ, კარგადაა", თქვა მან. "ხომ იცი, დედაჩემი ჩამოვიდა. ხვალ საქორნიონ ტანსაცმელი უნდა შევიძინო".

კაცმა აღერსიანად გაუღივდა, თან აკვირდებოდა, როგორ ამზადებდნენ ყავას. "ნუხელ უსიამოვნო სიზმარი ვნახე, თითქოს თხოვდებოდი".

"ვანა ეს უსიამოვნო სიზმარია?"

"ჩემზე კი არა, სხვაზე თხოვდებოდი".

ქალს გაეცინა. "სამსახურში ქალებს ასე ელაპარაკები ხოლმე?"

კაცი გაცოცხებით შემობრუნდა მისკენ და უპასუხა, "ღმერთო ჩემო, არა. ასე რომ მოვიქცე, არავინ მაპატიებს. და არც შეცდებიან. ქალებს არასოდეს ვეარმიყები სამსახურში. თუმცა, ზოგჯერ ისინი თვითონ მეარმიყებიან".

"ალბათ, შუახნის ქალები არიან და სურთ, რომ თავიანთ ქალიშვილებზე დავაქორწინონ".

"შუახნის ქალების ასეთ ნეგატიურ დახასიათებას ვერ დავეთანხმები. ამ დემოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები ყველაზე მეტად მომწონს".

"ახალგაზრდა ქალებს რას უნუწებ?"

"ისინი რალაცნაირად..."

კაცი ჰერში ხელს ახტო-იქით აქნევდა. მისი ფსიქოლოგია, ალბათ, ახალგაზრდა ქალების ჭირვეულობაზე, გაუბედაობაზე, სექსუალურ უმწიფრობაზე მიანიშნებდა.

"როგორც ჩანს, შუახნის შეყვარებულები არ გყოლია", შენიშნა ქალმა.

"არც მე ვარ შუახნისა, ჯერჯერობით მაინც".

როდესაც კაფედამ გადიოდნენ, კაცმა კარი გაუღო ქალს, რისთვისაც ამ უკანასკნელს მაღლობს არ უთქვამს. "რა უნდა გეკითხა ჩემთვის?" მიმართა ქალმა. კაცმა უთხრა, რომ სურდა რჩევა ეკითხა იმ სიტუაციის შესახებ, რომელიც წარმოიშვა მის რ მეგობარს შორის. ქალი, როგორც ჩანს, კარგად იცნობდა ამ ადამიანებს, რომლებიც თავდაპირველად, უბრალოდ, ერთ ბინაში ცხოვრობდნენ, შემდეგ კი ერთმანეთთან სექსუალური ურთიერთობაც გააბეს. გარკვეული ხნის შემდეგ ერთ-ერთმა - მამაკაცმა - სხვა საყვარელი გაიჩინა, მიტოვებულ ქალს კი ნახვლა სურდა, მაგრამ არც ფული ჰქონდა და არც ბინა ეგულეებოდა, სადაც დასახლებას შეძლებდა. ეს პრობლემა უფრო ემოციურ სფეროს უკავშირდებოდა, ვიდრე ბინის ქონა-არქონასო, თქვა ქალმა. კაცი დაეთანხმა, მაგრამ დასძინა: "და მაინც, ჩემი აზრით, ალბათ, მიტოვებული ქალისთვის უმჯობესია დატოვოს ბინა, რათა ღამეღამობით მოღალატე სატოვოს სექსუალურ თამაშებს არ შეესწროს."

ამასობაში ისინი ოფისის შენობას მიუახლოვდნენ. იმ საბრალოს ფულს ხომ არ ასესხებო, ჰკითხა ქალმა. კაცმა მიუგო, რომ უკვე შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. "მართალი გითხრა, გულს მომეშვა", თქვა მან, "რადგან სულაც არ მსურს მათ ურთიერთობაში ჩარევა". ქალი დაინტერესდა, თუ რა თქვა მოღალატე თავის გასამართლებლად, კაცმა კი უპასუხრა, რომ მისი მეგობრის თქმით, მას ცუდი არაფერი ჩაუტყენია. ნინა ურთიერთობა თავისთავად დასრულდა და სამუდამოდ მარტო ხომ არ დაჯრებოდიო? "ამ საქმეს მოვავაგრებ", თქვა კაცმა ბოლოს.

ოფისის შენობის კიბეზე ისინი ცოტა ხნით შეყოვნდნენ. "სხვათა შორის, ქორნილის მოსწავვე ბარათი მივიღე", აცნობა კაცმა. "ჰო, ქორნილს ამ კვირას იხიანი", შეუპასუხა ქალი. "იცი, რომ კიდევ ერთი სტუმრის მიყვანის უფლება მომცეს?" ქალმა ისე შეხედა, თითქოს ვერ გაეგო, ხუმრობდა თუ არა. შემდეგ კი წარბები შეკრა. "რა კარგია" - თქვა მან. "ჩემთვის ის არ შემოუთავაზებიათ". "ხომ არ გასურს, რომ, სოლიდარობის ნიშნად, მარტო წავიდე?"

ჰაუზის შემდეგ ქალმა ჰკითხა: "ვინმეს წაყვანა გინდოდა?"

"ალბათ, იმ გოგოს წაყიყვან, რომელსაც ახლა ვხვდები. თუკი სანინალმდეგო არაფერი გაქვს".

"ჰმ", ჩიადლუნა ქალმა. შემდეგ დასძინა: "იმედი მაქვს, ქალს გულისხმობ".

მამაკაცს გაეღიმა.

"ნუ ბრაზობ".

"ზურგს უკან მეც გოგოს მინოდებ ხოლმე?"

"რა თქმა უნდა, არა. არაფერს გინოდებ. როდესაც გახსენებენ, უბრალოდ, ველავ ხოლმე და ოთახიდან გავდივარ".

ქალმა დაუდევრად ჰკითხა: "როდის გაიკანი?"

"ოჰ, ექვსოდე კვირის წინ".

"ახალგაზრდა სკანდინავიელი ქალია, ხომ?"

"არა, სკანდინავიელი არაა".

ქალმა სახეზე მოჩვენებითად დაღლილი გამომეტყველება აიკრა და ყავის ჭიქა ოფისის კართან, ნაგვის ყუთში ჩააგდო. კაცმა შესთავაზა:

"შემიძლია მარტო წავიდე ქორნილში, თუ ასე გინდა?"

"ყველაფერს არც ისე ვანვიცდო, როგორც გგონია", ცივად უპასუხა ქალმა.

"ღმერთო ჩემო, ეს არ მიგულისხმია".

რამდენიმე წამს ქალს არაფერი უთქვამს, უბრალოდ იდგა და თვალს ადევნებდა ავტომანქანების მოძრაობას. შემდეგ შენიშნა: "ლოლას ძალიან მოუხდა საქორნილო კაბა. შენ ხომ ეს გიანტებუტებდა."

"წარმოიდგენია".

"გმაღლობ ყავისთვის".

"გმაღლობ რჩევისთვის".

დღის მეორე ნახევარში ქალი კვლავ სხვადასხვა ტექსტის რედაქტირებით იყო გართული. ყოველი ფაილის დახურვისას, სანამ მომდევნოს გახსნიდა, გამუდმებით ამონებდა თავის გვერდებს სოციალურ ქსელებში. რა სახის ინფორმაციასაც უნდა გასცნობოდა - რეპორტაჟს სტიქიური უბედურების შესახებ, საყვარელი მინაური ცხოველის ფოტოსურათს, უურნალისტი ქალის შეტყობინებას იმის შესახებ, რომ მას მოკვლით ემოქებოდნენ, თეთრკანიანთა უზენაესობის კრიტიკას ან ტვიცნა, რომელიც რეკლამას უწევდა საკვებ დანამატებს მომავალი დღეებისთვის - არც გამოუმეტყველება და არც პოზა არ ეცვლებოდა. გარეგნულად ვერ შეატყობდით, თუ რა განცდებს აღუძრავდა ნაწახი და ამოკითხული ინფორმაცია. გარკვეული დროის შემდეგ ბრაუზერის ფანჯარას ხურავდა და ტექსტის რედაქტირებას აგრძელებდა. დროდადრო რომელიმე კოლეგა სამუშაოსთან დაკავშირებით რალაცას ეკითხებოდა და ქალი პასუხობდა, ზოგჯერ კი სასაცილო ანეკდოტებს ჰყვებოდნენ და ყველა იცი-

ნოდა, მაგრამ, ძირითადად, ოფისში სიჩუმე იყო. საღამოს 5 საათსა და 34 წუთზე ქალმა ისევ ჩაიცვა ქურთუკი და კოლეგებს დაემშვიდობა. კილდარ-სტრიტი ნასაუ-სტრიტისკენ წავიდა, შემდეგ მარცხნივ, დასავლეთისკენ აიღო გეზი. ოცდარვა წუთის შემდეგ ახალაშენებულ საცხოვრებელ კომპლექსთან შეჩერდა (ჩრდილოეთ სანაპიროზე) და შიგ შევიდა, მეორე სართულზე ავიდა და გაცრეცილი თეთრი კარი გააღო. ბინაში არავინ იყო, მაგრამ ავეჯი მივახვედრებდათ, რომ ქალი აქაურობის ერთადერთ ბინადარი არ იყო. პატარა, ჩაბნელებული სასტუმრო ოთახი ერთადერთი ფარდაჩამოფარებული ფანჯრით, რომელიდანაც მდინარე მოჩანდა, გადიოდა სამზარეულოში, სადაც იდგა ქურა და მომცრო მაცივარი, კედელთან კი - ნიჟარა. მაცივრიდან ქალმა თასი გამოიღო და მიკროტალღურ ლუმენში შედგა.

დანაყვების შემდეგ ის საძინებელ ოთახში შევიდა. ფანჯრიდან ქურა და ოდნავ ადიდებული მდინარე მოჩანდა. ქალმა გაიხაზა ქურთუკი და ფეხსაცმელი, თმიდან სარჭი მოიღრო და ფარდა ჩამოაფარა; სვიტერი და შარვალიც გაიხაზა და იატაკზე დაყარა, ბაბის მასური და ნაცრისფერი რიგებზე ჩაიცვა. შავი მბზინვარე თმის კულულები მხრებამდე სწვდებოდა. საწოლზე ჩამოჯდა და ლეტპოში გახსნა. ერთხანს ეცნობოდა სხვადასხვა მედია-მეტყობნიერებს, ზოგჯერ კი ხსნიდა და ზერელედ თვალს აუღებდა სტატიებს საზღვარგარეთ მიმდინარე არჩევნების შესახებ. დაღლილი და ფერმკრთალი სახე ჰქონდა. შემდეგ სოციალური ქსელის საკუთარ გვერდზე შევიდა და საძიებო ველები ჩაწერა სიტყვები "ვიდან ლავინი". ეკრანზე გამოჩნდა მამაკაცის თავისა და მხრების ფოტო (ზურგიდან გადაღებული). მამაკაცს სქელი შავი თმა ჰქონდა და ჯინსის ქურთუკი ეცვა. ფოტოს ქვეშ ეწერა: "ადგილობრივი სეველიანი ბიჭი. ერთი ჩვეულებრივი ბუღიკანი. შეამოწმეთ soundcloud". მომხმარებელს სამი საათის წინ გამოქვეყნებინა ფოტოსურათი ნყლის მიღზე მჯდარი მტრედისა, რომელსაც თავი გადაადებულ პაკეტში ჩაეყო. ფოტოსურათის ქვემოთ ეწერა: "ასეთივე მდგომარეობაში ვარ". ფოტოსურათი ას ოცდაშვიდ ადამიანს მოსწონებოდა. ქალმა ამ პოსტზე დაწაკაპუნა და კომენტარები გამოიწერა. ერთ მომხმარებელს, მეტსახელად "სასნაულ გოგოს", დაეწერა, მტრედ შენ გვაცხო. ეიდან ლავინის პასუხი ასეთი იყო: "მართალი ხარ, ძალიან ღამაზია." "სასნაულ გოგოს" ეს პასუხი მოსწონებოდა. ქალი "სასნაულ გოგოს" გვერდზე შევიდა. შემდეგ ოცდაათექსმეტი წუთი მოანდობა ეიდან ლავინის გვერდის თვალთვრებას; ბოლოს ლეტპოში დახურა და ლავინზე წამოწავა.

საღამოს ცხრა საათი დანაყვულიყო. ქალმა ხელით შეუღო მოსრისა. ოქროს წერილი სამაჯური ნათურის შუქზე ოდნავ ციმციმებდა. ქალს აიღონ ლაიდონი ერევა. ოცდაცხრა წლისა იყო. მამამისს, პეტს, თავისი ფერმა ჰქონდა გოლუეის საგრაფოში, აიღონ დედა, მერი, გეოგრაფიის მასწავლებელი იყო. ხილის ჰყავდა სამი წლით უფროსი და, ლოლა. ბავშვობაში ლოლა ჯანსაღი, გაბედული, ანცი გოგონა იყო, სუსტი და მგრძობიარე აიღონ კი ხშირად ავადმყოფობდა. დები ერთად ატარებდნენ ხოლმე სასკოლო არდადეგებს და თავს იმით იქცევდნენ,

რომ თხზავდნენ და წარმოადგენდნენ ხოლმე ათასგვარ თავგადასავლებს, რომლებიც მათ შეიძლებოდა თავს გადახდენოდათ ზღაპრულ, ფანტასტიკურ ქვეყნებში. ამ ამბებს ლოლა იგონებდა, აიღონ კი დას მხარს უზამდა. ზოგჯერ ამ სპექტაკლებში მეორეხარისხოვან როლებს მათი უმცროსი ბიძაშვილები, მეზობლები ან ოჯახის ახლობელთა შვილები ასრულებდნენ, მათ შორის - ბიჭი, სახელად საიმონ კოსტივანი, რომელიც აიღონზე ხუთი წლით უფროსი იყო და მდინარის გადაღმა ცხოვრობდა, იქ, სადაც ოდესღაც მეძაპულის კარ-მიღამ იყო. საიმონს - ამ კარგად აღზრდილ, თავაზიან ბავშვს - ყოველთვის სუფთად ეცვა. ერთთავად მადლობას უხდინდა ხოლმე უფროსებს. როდესაც ლოლა ან აიღონი რამეს აშავებდნენ, დედა საყვედურობდა, რომ ისინი არ ჰმბავდნენ საიმონ კოსტივანს, რომელიც არა მხოლოდ სამავალითოდ იქცევოდა, არამედ დამატებითი ღირსებაც ჰქონდა - "არასოდეს წუნუნებდა, არასოდეს არაფერს ითხოვდა". ასაკის მატებასთან ერთად, დები აღარ რთავდნენ საიმონს ან სხვა ბავშვებს თავიანთ თამაშებში, არამედ ხატავდნენ გამოგონილ რუკებს, იგონებდნენ საიდუმლო დამწერლობას და ყველაფერს მაგნიტოფონის ფირზე ინერდნენ. მშობლები მათ საიმონზე მათ აზრებდნენ ქალაღი, კალმებითა და ცარიელი ფრები, მაგრამ დიდ ინტერესს როდი იჩენდნენ გამოგონილი ქვეყნების მიმართ.

იმ ზაფხულს, როდესაც აიღონს თხუთმეტი წელი შეუსრულდა, საიმონი ჩამოვიდა, რათა პეტს ფერმამი დახმარებოდა. ოცი წლისა იყო. ოქსფორდში ფილოსოფიას სწავლობდა. ლოლას, რომელმაც ახლახან დაამთავრა სკოლა, შინ თითქმის ვერასდროს სახავდით, მაგრამ როდესაც საიმონი მათთან დადიდა რჩებოდა, გოგონა ადრე მოდიოდა სახლში და ახალ მაისურსაც იცვამდა. სკოლაში ლოლა ახლოს არ იკარებდა აიღონს, მაგრამ საიმონის თანდასწრებით აღერსიანი და მზრუნველი უფროსი დასავით იქცევოდა, აიღონს თმას უყვარცხნიდა, ტანსაცმელს უწესრიგებდა, ისე, თითქოს ის პანანა ბავშვი ყოფილიყო. მისგან განსხვავებით, საიმონი აიღონს მეგობრულად და პატივისცემით ეპყრობოდა. ყოველთვის ყურადღებით უსმენდა მის ლაპარაკს, და მშვიდად ეუბნებოდა, საინტერესოა, ძალიან საინტერესოა. ავგისტოში აიღონი დილობით ადრე დგებოდა ხოლმე და თავისი საძინებლის ფანჯრიდან უთვალთვალებდა, როდის გამოჩნდებოდა საიმონი, თავისი ველოსიპედით. მის დანახვასთანავე ქვევით წარბოდა და კართან ეგებებოდა. სანამ საიმონი ჩაიდანს ადულებდა ან ხელებს იბანდა, აიღონი ეკითხებოდა ნივნების, უნივერსიტეტში სწავლისა და ინგლისში მისი ცხოვრების შესახებ. ცოტა ხანს - ათი თუ ოცი წუთის განმავლობაში - საუბრობდნენ, შემდეგ საიმონი ფერმამი მიდიოდა, აიღონი კი თავის ოთახში ბრუნდებოდა და საწოლში წველობდა. ზოგჯერ, საიმონთან საუბრის შემდეგ, ბედნიერი იყო, სახე უყარვარებდა, თვალები უბრწყინავდა. სხვა დროს ტიროდა. ლოლამ დედას უთხრა, აიღონი სამარცხენოდ იქცევოდა. იმ დროისთვის ლოლამ თავისი მეგობრებისგან შეიტყო, რომ საიმონი ყოველ კვირა დღეს ნორვას ესწრებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მშობლები ეკლესიაში არ დადიოდნენ. ამის შემდეგ ლოლამაც და-

ინყო წირვაზე სიარული, როდესაც საიომნი ეკლესიაში ეგულებოდა. ახლა მზერი ყოველ დილას სამზარეულოში იჯდა, საუზმობდა და გაზეთებს კითხულობდა. აილინი კვლავ ჩამოდოდა ქვემოთ და საიომნი, როგორც ყოველთვის, მეგობრულად ესალმებოდა, მაგრამ გოგონა უბედურად ვაჟს და მაშინვე ადიოდა თავის ოთახში. ინგლისში დაბრუნების წინა დამეს საიომნი მათთან დასამშვიდობებლად მივიდა, მაგრამ აილინი თავის ოთახში დაიმალა. საიომნი ზევით ავიდა, აილინმა კი სკამს ნიხლი ჰკრა და საიომნის უთხრა, ერთადერთი ადამიანი ხარ, ვისთანაც ლაპარაკი შემიძლიაო. "ჩემს ცხოვრებაში ერთადერთი ხარ", თქვა მან, "და იმის უფლებასაც არ მაძლევენ, გელაპარაკო. ახლა წადი. სიცოცხლე აღარ მინდა!". საიომნმა, რომელიც გამოღებულ კართან იდგა, წყნარად უთხრა, "აილინ, ამახსნე ამბობ. ყველაფერი რიგზე იქნება, გპირდები. მე და შენ სიცოცხლის ბოლომდე მეგობრებად დავრჩებით".

თვრამეტი წლის ასაკში აილინმა დუბლინის უნივერსიტეტში ინგლისური ენის შესწავლა დაიწყო. პირველ წელს დაუმეგობრდა გოგონას, სახელად ელისი კელაჰერის, მომდევნო წელს კი ისინი ერთ ბინაში დასახლდნენ. ელისი ძალიან ხმაძაღლა ლაპარაკობდა, ულახათო ტანისამოსი ეცვა და ყველაფერს სასაცილოდ იგდებდა. მამამისი ავტომობილში კოსი იყო და ბევრს სვამდა. თურმე, ამის გამო ელისს ბავშვობა ჩამწარებოდა. თანაკურსელებს ვერ დაუმეგობრდა, ერთხელ კი უნივერსიტეტის თავკაცებთან ბიზანს საყვედური მიიღო იმის გამო, რომ ლექტორს "ფაშისტო ღორი" უწოდა. აილინმა კოლეჯი დაამთავრა. სწავლის დროს მოთმინებით და დროულად ასრულებდა დავალებებს, საგულდაგულოდ ემზადებოდა გამოცდებისთვის. თითქმის ყველა აკადემიური ჯილდო მიიღო და ეროვნული პრიზიც კი მოიპოვა საუკეთესო თხზულებისთვის. უნივერსიტეტში მეგობრები შეიძინა, რომლებთან ერთად ღამის კლუბებში დადიოდა. გულცივად ემუხრობდა თავის თაყვანისმცემლებს და ყოველ საღამოს ელისთან ერთად გახშობდა ხოლმე მათ სასტუმრო ოთახში. როდესაც მეორე კურსზე სწავლობდა, საიომნი დუბლინში დაბრუნდა იურიდიული განათლების მისაღებად. ერთხელ აილინმა ის თავის ბინაში მიიწვია სავანსებოდ და ელისის გასაცნობად. საიომნმა საუკეთესო მოკოლაიდა და თეთრი ღვინო მიიტანა. ერთ დამეს, როდესაც ელისი შინ არ იმყოფებოდა, აილინმა მას ჰკითხა, შეყვარებული ხომ არ გაყავს. საიომნმა გაიცინა და უპასუხა: "რატომ მეკითხები ამახს? ბრძენი ბერიკაცი ვარ, ხომ იცი." დივანზე წამოწოლილმა აილინმა საიომნს ბალიშს ესროლა, რომელიც ვაჟმა ჰპერწვივ დაიჭირა. "უბრალოდ, ბერიკაცი ხარ", მიაძახა აილინმა. "ბრძენი სულაც არ ხარ".

აილინი ოცი წლისა იყო, როდესაც პირველად ჰქონდა ინტიმური ურთიერთობა ინტერნეტში გაცნობილი მამაკაცთან. ამის შემდეგ გოგონა მარტო დაბრუნდა თავის სახლში. გვიანი იყო, ღამის ორი საათი სრულდებოდა. ქუჩებში არავინ ჩანდა. ელისს არ ეძინა - დივანზე იჯდა და ლუბტოპზე რაღაც ტექსტს კრეფდა. აილინი სასტუმრო ოთახის კარის წირთხლს მიეყრდნო და თქვა: "უცნაური რამ გადამხდა თავს". ელისმა თავი ასწია და ჰკითხა, "სექსს

გულისხმობ?" აილინმა ხელით მხარი მოსრისა. "მთხოვა, მთელი ამ პროცესის დროს ტანსაცმელი არ გაიხადოდა", "სად პოულობ ასეთებს?" გაიკვირვებოდა ელისმა. აილინმა მხრები აიჩქა. ელისი დივანიდან წამოდგა და მეგობარი ანუგეშა: "ეს არაფერია. ორ კვირაში ყველაფერი დაგაინჯებოდა". იმ ზაფხულს საიომნი კარიზში მუშაობდა, კლიმატის ცვლილებათა შესწავლელ საგანგებო ჯგუფში. აილინი მის მოსახალხურებად გაემგზავრა. პირველი შემთხვევა იყო, რომ სადღაც მარტო გაფრინდა. საიომნი აეროპორტში დახვდა. იმ დამეს ღვინო დღივს და აილინმა უამბო, როგორ დაკარგა ქალწულობა. საიომნის გაეცინა, მაგრამ მაშინვე ბოიმი მოიხადა ამის გამო. ისინი ერთად დაწვნენ საიომნის ოთახში. აილინმა ვაჟს ჰკითხა, ქალთან ნამყოფი თუ ხარო. არაო, უპასუხა საიომნმა ღიმილით. აილინი რამდენიმე წამს მშვიდად იწვა. "ალბათ, იმიტომ, რომ კათოლიკე ხარ", თქვა მან. ისინი გვერდგვერდ იწვნენ, მხრებით ეხებოდნენ ერთმანეთს. "მართალია", უპასუხა საიომნმა. "მაგრამ ვახსოვს, რა თქვა ნეტარმა ავგუსტინემ? ღმერთო მოწყალო, მომეცი სინამდვილე... მაგრამ ახლა არა, ღმერთო, ჯერ არა!"

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ აილინმა ირლანდიური ლიტერატურის მაგისტრის ხარისხი მიიღო, ელისმა კი კავშირი დაიწყო მუშაობა. თან რომანს წერდა. ჯერ კიდევ ერთ ბინაში ცხოვრობდნენ და საღამოობით, სანამ აილინი სადღაც ამზადებდა, ელისი ზოგჯერ ხმაძაღლა უკითხავდა მეგობრის მახვილგონიერ გამოამტკვანება თავისი რომანიდან. პარიზში საიომნი თავის შეყვარებულთან, ფრანგ ქალთან, სახელად ნატალისთან ერთად დასახლდა. სამაგისტრო კურსის დასრულების შემდეგ აილინმა წიგნების მალახიზამი დაიწყო მუშაობა, სადაც დიტიერთულ ურიკებს დაატარებდა და ბესტსელერების ეგზემპლარებზე სტიკერებს ანებებდა. ოცდაათი წლისა რომ გახდნენ, ელისმა ხელი მოაწერა კონტრაქტს ამერიკულ ფირმასთან, რომელმაც ორას ორმოცდაათი ათას დოლარად შეისყიდა მისი რომანის გამოცემის უფლება. ელისი ამბობდა, რომ ამერიკელები ბრყვიანი იყვნენ, რადგან ესოდენ დიდი თანხა გადაიხადეს, თვითონ კი ისეთი ხარბი იყო, რომ უარი ვერ უთხრა მათ. აილინი ხვდებოდა ფილოსოფიის დოქტორანტს, სახელად კევინს, და მისი შეფრთხობით მოეწყო დაბალანზალურებად, მაგრამ საინტერესო საშუალებად - რედაქტორის ასისტენტად ლიტერატურულ ჟურნალში. თავიდან მას მხოლოდ რედაქტორება ავანდებდნენ, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ უფლება მისცეს, შეეკეთა ახალი ნაწარმოებები, წლის ბოლოს კი რედაქტორმა ნება დართო, საუთარი ნაწარმოებებიც გამოეცემებინა. აილინმა უპასუხა, რომ ამისთვის დრო სჭირდებოდა. ლოლა იმხანად კონსალტინგურ ფირმაში მუშაობდა და ჰყავდა მეყვარებულს, სახელად მეითს. ერთ საღამოს მან აილინს შესთავაზა, ქალაქში ერთად ვისადლოთო. ხუთშაბათ საღამოს სამივე მათგანი ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში იცდებდა ქუჩაში (სადაც სულ უფრო მეტად ბნელოდა და ციოდა), რათა შესულიყვნენ ბურგერების ახალ რესტორანში. როდესაც - ბოლოს და ბოლოს - ბურგერები გასინჯეს, შეწონათ. ლოლამ აილინი გამოჰკითხა მისი სამომავლო გეგმების შესახებ. აილინმა უპასუხა, რომ

რომ მოსწონდა თავისი სამსახური.. "მესმის, რომ ახლა შენი სამსახურით კმაყოფილი ხარ", თქვა ლოლამ, "მაგრამ მერე რას აპირებ?" არ ვიცოი, უპასუხა აილინმა. ლოლას გაეღიმა. "ოდესმე რეალურ სამყაროში ცხოვრება მოგინდვს", თქვა მან. შინ დაბრუნებულ აილინს ელისი კვლავ დივანზე მჯდარი იდგოდა. თავის ნივთზე მუშაობდა. "ელის", განწირული ხმით მიმართა მეგობარს, "როგორ ფიქრობ, მომიწევს თუ არა ოდესმე რეალურ სამყაროში ცხოვრება?" "ოჰ, ღმერთო ჩემო, რასაკვირველია, არა. ვინ გითხრა ეს?" გაიკვირა ელისმა.

მომდევნო სექტემბერში აილინმა დედისგან შეიტყო, რომ საიმონი და ნატალი დამორბეულიყვნენ ერთად ოთხი წლის განმავლობაში ყოფილან. აილინმა ელისს უთხრა, მეგონა, რომ დაქორწინდებოდნენ. "დაიას, ყოველთვის ამას ამბობდი", უპასუხა ელისმა. აილინმა საიმონს ელექტრონული წერილი გაუგზავნა და მოიკითხა. საიმონმა მოსწერა: "პარიზში ჩამოსვლას ხომ არ აპირებ? ძალიან მინდა შენი ნახვა". ოქტომბრის ბოლოს - ჰელიოვნზე - აილინი რამდენიმე დღით გაემგზავრა პარიზში. იმ დროისათვის საიმონი ოცდაათი წლისა იყო, აილინი კი - ოცდახუთისა. ყოველდღე მუხუშუმში დადიოდნენ და საუბრობდნენ ხელოვნებასა და პოლიტიკაზე. როდესაც აილინი ვაჟს ნატალის შესახებ ეკითხებოდა, ის ორიოდ სიტყვით უპასუხობდა და საუბარი სხვა თემაზე გადაჰქონდა. ერთხელ, როდესაც ორსვეს მუხუშუმში ისხდნენ, აილინმა საიმონს უთხრა: "შენ ყველაფერი იცი ჩემ შესახებ, მე კი არაფერი ვიცი შენზე". საიმონმა უკმაყოფილოდ უპასუხა: "ოჰ, ახლა ნატალის მაგონებ". შემდეგ გაეცინა და პატივება სთხოვა. ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც ყოფილი შეყვარებულის სახელი ახსენა. დილაობით საიმონი ყავას ამზადებდა, და-ბით კი აილინს საიმონის ლოგინში ეძინა. თანაყოფის შემდეგ საიმონი დიდხანს იხუტებდა ხოლმე აილინს და ტუბებოდა მისი სახელოვით. აილინი დუბლინში დაბრუნებისთანავე დაშორდა თავის შეყვარებულს. საიმონისა დიდხანს არაფერი იცოდა. გაიცდა, როდესაც შობადღეს ვაჟი ეწვია, რათა თითო ჭიქა კონიაკი დაეღლიათ.

ზაფხულში, მეგობარი ქალის, სიერას ბინამა გამართულ წვეულებაზე, აილინმა გაიცნო ახალგაზრდა კაცი, სახელად ეიდან. სქელი შავი თმა ჰქონდა, ტილოს შარვალი და ბინძური ზუსტები ეცვა. გვიან ღამემდე ერთად ისხდნენ სამზარეულოში და თავიანთ ბავშვობას იხსენებდნენ. "ჩემს ოჯახში არასოდეს არაფერზე არ ვმსჯელობთ", თქვა ეიდანმა. "ყველაფერს ვმალავი, ვნიღბავ. ოქცა ხომ არ შეგვიკისო?" - აილინი უყურებდა, როგორ ასხამდა ეიდანის მის ჭიქაში ნოთულ ღვინოს. "ჩემს ოჯახშიც არ ვსაუბრობთ ხოლმე არსებულ პრობლემებზე", თქვა მან. "ზოგჯერ მეგონია, რომ ვცდილობთ, მაგრამ არაფერი გამოგვივს". გათენებისას ეიდანმა აილინი სახლამდე მიაცილა. "თავს გაუფრთხილდით" - უთხრა ვაჟმა, სანამ წავიდოდა. რამდენიმე დღის შემდეგ ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, რათა ცოტათოდენი დაეღლიათ. ეიდანმა მუსიკოსი და მხის რეჟისორი გახლდათ. ის უამბობდა აილინს თავისი საქმიანობის, მეზობლების, დედასთან ურთიერთობის და ბევრი სხვა რამის შესახებ, რაც უყვარდა ან სძულდა. სანამ საუბრობდნენ, აილინი

ბევრს იცინოდა. თანამოსაუბრისკენ გადახრილს, სახე უბრწყინავდა. როდესაც შინ დაბრუნდა, ეიდანის შეტყობინება მიიღო: "არაჩვეულებრივი მსმენელი ხართ! მავატიეთ, რომ ძალიან ბევრი ვილაპარაკე. შეიძლება თუ არა, რომ კიდევ ვნახოთ ერთმანეთი?"

მომდევნო კვირას ისინი შეხვდნენ ერთმანეთს. შემდეგ კიდევ შეხვდნენ. ეიდანის ბინის იატაკზე უამრავი შავი კაბელი ეყარა, სანოლის ნაცვლად კი ძირს, უბრალოდ, ლეები ეგო. მემოდგამოაზე ისინი რამდენიმე დღით ფლორენციაში გაემგზავრნენ და ერთად სიერნობდნენ გრილ ტყაძარში. ერთ ღამეს, როდესაც აილინმა ვახშმობისას წაიხუმრა, ეიდანს სიცოცხლისგან ცრემლები წამოსციკვდა და იძულე-ბული გახდა, თვალები მენამულიყვერი ხელსახოცით შეემშრალეზინა. აილინს უთხრა, მიყვარხარო. "ცხოვრებაში ყველაფერი წარმოუდგენლად ღამაზია", მისწერა აილინმა ელისს. "არ მჯერა, რომ შესაძლებელია ასეთი ბედნიერება". დაახლოებით იმხანად საიმონი დუბლინში დაბრუნდა და მემარტყველ საპარლამენტო ჯგუფში პოლიტიკურ მრჩეველად დაინსყ მუშაობა. აილინი ზოგჯერ ხედავდა მას ავტობუსში ან მაშინ, როდესაც საიმონი ქუჩაზე გადადიოდა და ამა თუ იმ სანდომიანი ქალისთვის ხელი ჰქონდა გადახვეული. შობის წინა დღეებში აილინი და ეიდანი ერთად დასახლდნენ. ეიდანმა მანქანიდან გამოიტანა ყუთები, რომლებშიც აილინის ნივთები ეწყო, და ამყავდ თქვა: "აი, რამდენს იწონის შენი ცნობი".

მომდევნო სამი წლის განმავლობაში, აილინი და ეიდანი ცხოვრობდნენ ქალაქის სამხრეთ ცენტრში, ერთობლივ ბინაში, უყურებდნენ უცხოურ ფილმებს, კამათობდნენ იმაზე, თუ როგორ უნდა გაეწინაღობინათ ბინის ქირის გადასახადი, როგორაღიბოთ ამზადებდნენ საქმელს და რეცხავდნენ ჭურჭელს. ლოლა და მეთიუ დაინიშნნენ. ელისმა ლიტერატურული პრემია მოიპოვა, ნიუ-იორკში დასახლდა და აილინს ელექტრონულ შეტყობინებებს უგზავნიდა ხოლმე. დეკემბერში აილინს საიმონმა დაურეკა და უთხრა, რომ ელისი დუბლინში დაბრუნებულიყო და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაეწვინათ. აილინი დივანზე იჯდა, ტელეფონი ეჭირა, ეიდანს კი ნიჟარასთან იდგა და თეფშს რეცხავდა. საიმონთან საუბრის დამთავრების შემდეგ აილინი ერთხანს მდუმარედ იჯდა. ეიდანსაც დუმდა. "დავიცილოდი", თქვა აილინმა ბოლოს. რამდენიმე კვირის შემდეგ აილინი და ეიდანი მართლაც დასცილდნენ ერთმანეთს. ეიდანმა ქალს უთხრა, რომ ორივესთვის უმჯობესი იქნებოდა, ცალ-ცალკე ეცხოვრათ. ეიდანს მშობლებთან დაბრუნდა, აილინი კი ორთახიან ბინაში ახალდაქორინებულ წყვილთან ერთად დასახლდა. ლოლამ და მეთიუმ გადაწყვიტეს, ზაფხულში ქორწილი გადაეხადათ. საიმონი კვლავ სწერდა წერილებს აილინს, დროდრომ სადილად პატივებდა, მაგრამ პირადი ცხოვრების საიდუმლოებებს არ უზიარებდა. აპრილში აილინის რამდენიმე მეგობარმა დატოვა დუბლინი ან მალე გაემგზავრებას აპირებდა. აილინი მუქ მწვანე ან ყვითელ კაბას იცამდა, შესაფერისი ქაქირი, და გამოსაშვლიდობელ წვეულებებზე დადიოდა. დაბალჭირიან ბინაში, სადაც ქალღმრთის აბაურები ეკიდა, მას უძრავი ქონების ბაზრის შესახებ ელაპარაკებოდნენ. ჩემი





და იენისში ქორწინდებაო, ეუბნებოდა მათ აილინი. "შესანიშნავია", პასუხობდნენ მას. "ალბათ, როგორ ვიხიარიათ". "ჰო, კარგი ამბავია", ამბობდა აილინი. "მაგრამ ბედნიერებისა რა მოგახსენოთ".

ერთხელ, ხუთშაბათ დღეს, აილინი დაესწრო ხელოვნების ცენტრში გამართულ პოეზიის საღამოს, რომლის ორგანიზატორიც მისი ჟურნალი იყო. პატარა მაგიდასთან იჯდა და ბოლო ნომრის ეგზემპლარებს ყიდდა. ირგვლივ ხალხი ირეოდა, ხელში ღვინის ჭიქები ეჭირათ და ერთმანეთს თვალს არიდებდნენ. სანამ ღონისძიება დაიწყებოდა, ხანდაზმული მამაკაცი მაგიდაზე დაიხარა და უთხრა, პოეტის თვალში გაქვსო. აილინმა გაიღიმა, თავი ისე დაიჭირა, თითქოს ნათქვამი ვერ გაიგო და თქვა, რომ, მისი აზრით, ლექსების დეკლამაცია, საცაა, დაიწყებოდა. როგორც კი ღონისძიება მართლაც დაიწყო, მან ჩაკეტა ყუთი, სადაც ფულს ინახავდა, მაგიდიდან ჭიქა ღვინო აიღო და მთავარ დარბაზში შევიდა. იქ ოცი თუ ოცდახუთი ადამიანი იჯდა. პირველი ორი რიგი სრულიად ცარიელი იყო.

ღონისძიებაში მონაწილეობდა ხუთი პოეტი, რომლებსაც აერთიანებდათ თემა "კრიზისი". ორი მათგანი კითხულობდა პირად კრიზისთან დაკავშირებულ ნაწარმოებებს, ხოლო ერთი პოლიტიკური ექსტრემიზმით იყო შთაგონებული. სათვალისანი ახალგაზრდის პოეზია იმდენად აბსტრაქტული იყო, რომ ძნელად მიხვდებოდი, ჰქონდა თუ არა რამე საერთო კრიზისის თემასთან. ბოლო გამომსვლელი იყო გრძელ შავ კაბაში გამოწყობილი ქალი, რომელიც ათი წუთის განმავლობაში საუბრობდა იმაზე, თუ რა ძნელია გამოცემის პოვნა. მან მხოლოდ ერთი ლექსის - ვართომული სონეტის ნაკითხვა მოასწრო. აილინმა თავის ტელეფონში ჩაწერა: "მთვარის სხივები იენისში კოვზზე ეტყევა". მან აჩვენა ჩანაწერი პაულას, აილინის ასაკის ქალს, რომელიც

ცენტრში მუშაობდა. პაულამ ბუნდოვნად გაიღიმა და კვლავ დეკლამატორს მიაჩერდა. აილინმა ჩანაწერი წაშალა.

ღონისძიების დასრულების შემდეგ, აილინი და სხვა თანამშრომლები ახლომდებარე ბარს ეწვივნენ. აილინი და პაულა ერთად დასხდნენ, პაულა სვამდა გრეიპფრუტიან ჯინ-ტონიკს, რომელიც უზარმაზარ ჭიქაში ესხა, აილინი კი - ყინულიან ვისკის. ისინი საუბრობდნენ იმაზე, თუ როგორ სცილდებიან ხოლმე ერთმანეთს შეყვარებული წყვილები. პაულა აღწერდა ორწლიანი ურთიერთობის გაჭიანურებულ სტადიას, რომლის დროსაც ის და მისი ყოფილი შეყვარებული ლოთობდნენ და ერთმანეთს წერილებს სწერდნენ, რასაც გარდაუვალად მოსდევდა "ცხარე კამათი ან სექსი".

აილინმა ვისკი მოსვა. "ეს ცუდია", თქვა მან, "მაგრამ იმ დროს სექსი ხომ გქონდა. გესმის? თქვენნი ურთიერთობა დამთავრებული არ იყო. ეიდანმა რომ სიმთვრალის დროს მომწეროს, ამას შეიძლება კინკლაობა მოჰყვეს, მაგრამ ვიგრძნობ, რომ ვახსოვარ". "დარწმუნებული ვარ, რომ ახსოვხარ, თქვენ ხომ ერთად ცხოვრობდით რამდენიმე წლის განმავლობაში", უპასუხა პაულამ. "სწორედ ეს მკლავს", თქვა აილინმა. "ამდენი წელი გავატარე მის გვერდით და, ბოლოს, უკვე ვეღარ მიტანდა. სწორედ ასე მოხდა. მოვებურდი. ალბათ, ეს, გარკვეულწილად, ჩემი ბრალია, არა?" პაულა მოიღუშა და არა, არაო, უპასუხა. აილინმა გაიცინა და პაულას მკლავზე ხელი მოხვია. "ყველაფერი ეს სამწუხაროა", თქვა მან. "კიდევ დაველოდო".

თერთმეტ საათზე აილინი თავის საწოლში დანვა. მოიკუნტა. თვალბეჭემე მაკაიფი ოდნავ გასთხაპნოდა. ტელეფონის ეკრანზე სოციალური მედიის პროგრამა გახსნა, შემდეგ კი უცებ დახურა, თავის კონტაქტებზე გადავიდა, შეარჩია "საიმონი" და ზა-

რის ღლიაკზე დაანკაპუნა. სამჯერ დარეკა. საიმონმა ყურმილი აიღო.

“გამარჯობა, მე ვარ”, თქვა აილინმა. “მარტო ხარ?”

საიმონი იმყოფებოდა სასტუმროს ნომერში, რომლის ფანჯარაზე სქელი კრემისფერი ფარდები იყო ჩამოფარებული. საწილის მოპირდაპირე კედელზე დიდი ტელევიზორი ეკიდა. საიმონი საზურგეს ეყრდნობოდა და ლეპტოპი მუხლებზე ედო. “მარტო ვარ”, თქვა მან, “დაიხ. ხომ იცო, რომ ლონდონში ვიმყოფები? ყველაფერი რაგზეა?”

“ოჰ, დამაინყდა. უხერხულ დროს დაერეკე? შემძილია ტელეფონი გაეთიშო?”

“არა, უხერხული დრო არაა. პოეზიის საღამოზე იყავი?”

აილინმა უამბო, როგორ გაატარა საღამო. ისიც აუწყა, როგორია მთავრე იენისში. საიმონს გაეცინა. საღამოზე ტრამპის ლექსიც წაიკითხესო, უთხრა აილინმა. საიმონმა თქვა, ამ ლექსის მოსმენას **Embrace of Death**-ს მოსმენა მიორჩენიაო. აილინმა ჰკითხა, როგორ ჩაიარა კონფერენციამ ლონდონში და საიმონმა დეტალურად აღწერა “თათბირი”, სახელწოდებით “ვეროკავშირის მიღმა: ბრიტანეთის საერთაშორისო მომავალი”. “თათბირში მხოლოდ შუახნის ოთხი სათვალისანი მამაკაცი მონაწილეობდა”, თქვა საიმონმა. “ტყუპებივით ჰგავდნენ ერთმანეთს”. აილინმა ჰკითხა, ახლა რას აკეთებო და საიმონმა უპასუხა, რომ მუშაობდა.

“ასე გვიან მუშაობა ჯანმრთელობისთვის მავნეა”, თქვა აილინმა. “სად ხარ, სასტუმროს ნომერში?”

“ჰო”, უპასუხა საიმონმა. საწოლზე იჯდა.

აილინმა მუხლები მალა ასწია. ტერფები ლეიბზე ეწყო. საბანი კარავივით ეფარა ფეხებზე. “იცო, რა გჭირდება, საიმონ?” ჰკითხა მან. “გჭირდება სათნო ცოლი. ხომ ასეა? ცოლი, რომელიც მუალამისას შენთან მოვა, მხარზე ხელს დაგადებდა და გეტყვის: გეყო, გეყო. უკვე გვიანაა. დაფიქრო?”

საიმონმა ტელეფონი მეორე ყურზე მიიღო. “სასიამოვნო პერსპექტივაა?”

“შენი შეყვარებული მივიღინებებში დაგყვება ხოლმე?”

“ის ჩემი შეყვარებული არაა”, თქვა საიმონმა.

“უბრალოდ, ქალია, რომელსაც ხვდები?”

“არ მოვსის, რა განსხვავებაა. რა განსხვავებაა შეყვარებულსა და იმ ქალს შორის, რომელსაც ხვდები?”

“არავითარი განსაკუთრებული ურთიერთობა არ გვაკავშირებს”.

აილინმა თვალები მოისრისა. ხელზე მუქი ლაქა დააჩნდა. “ესე იგი, სექსისთვის სხვა ვინმე გყავს, ხომ?”

“არა, მაგრამ ვიცი, რომ ასეთი ქალი არსებობს”.

აილინს ხელი ძირს ჩამოუვარდა. ნუთუ საიმონი მას გულისხმობდა? “მერედა, რამდენად ლამაზია ის “სხვა” ქალი?”

“წარმოდგენა არ მაქვს. რატომ კითხულობ?”, გაოცებით იკითხა საიმონმა.

“უბრალოდ, იმას ვგულისხმობ, რომ თუ ის შენზე ნაკლებად ლამაზია, არ შეეფოთდები. მაგრამ თუ შენსავით ლამაზია, მაშინ კარგი იქნებოდა, მე-ნახა.”

“და თუ ის ჩემზე უფრო ლამაზია?”

“წარმოდგენელია. შეუძლებელია.”

საიმონმა თავი უკან გადააგდო. “იმის თქმა გინდა, რომ ძალიან ლამაზი ვარ?”

“დაიხ”.

“ეს თვითონაც ვიცი, მაგრამ მაინც მითხარი”.

აილინმა სიცილით ჩასძახა: “ძალიან ლამაზი ხარ”.

“დიდი მადლობა, აილინ. შენ თვითონაც არა ვიშავს!”

ქალს კვლავ გაეღიმა - ამჯერად ცალცხად, უხალისოდ, და თმა შუბლიდან გადაინია.

“გახეხარ?”, ჰკითხა მან.

“არა, ვზივარ. იქნებ არ გინდა, რომ დავწვე, სანამ ტელეფონით ვლაპარაკობ?”

“სწორია. არ მინდა.”

“კარგი”.

რამდენიმე კვირის შემდეგ, მამის დასაწყისში, აილინი ტემპლ-ბარის გავლით დამ-სტრიტისკენ მიდიოდა. მშენიერი, ნათელი შაბათის საღამო იყო. ქალს მოჩითულ ბამბის კაბაზე ტყავის ქურთუკი მოესხა. პლისის ქურთუკებსა და ჩექმებში გამოწყობილ ქაბუკებსა და შუახნის მამაკაცებს, რომელთაც ნელში გამოყვანილი მოვანგები ეცვათ, თვალს არიდებდა და ბუნდოვნად იღიმებოდა. რვის ნახევრისთვის მივიდა ავტობუსის განჩრებაზე, ძველი ცენტრალური ბანკის მოპირდაპირე მხარეს, ხელჩანთიდან პიტნის საღეჭი რეზინი ამოიღო და პირში ჩაიღო. მალე დედამისმა დაურეკა. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ აილინმა დედას უთხრა: “მისმინე, ავტობუსს ველოდები. იქნებ, მოგვიანებით დაგირეკო?”

“მამაშენი დეირდუ პრენდგასტის ამბავმა ალაფოთა”, თქვა მერინ.

აილინმა თვალები მოჭუტა, რათა მოახლოებული ავტობუსის ნომერი გაერჩია. თან რეზინს დეჭავდა. “სამართლიანადაც”, თქვა მან.

“ამის თაობაზე ლოლას ხომ ვერ დაეღაპარაკები?”

ავტობუსმა ისე ჩაიარა, რომ არ შეჩერებულა. აილინმა ულოლავი ხელი გადაისვა. “მამა გაბრალებულია მოლაზე”, თქვა მან, “და შენ შემოგჩვივის შენ კი მე შემომჩვიე. ბოლოს გამოდის, რომ ლოლას მე უნდა დაველაპარაკო. შენა ზართი, ეს გონივრულია?”

“კარგი, დაივინე”.

ახლა სხვა ავტობუსი მოვარდა და აილინმა დედას უთხრა, უნდა წავიდე, ხვალ დაგირეკავო.

როცა ავტობუსი გაჩერდა, აილინი ავიდა და წინა კართან ახლოს დაჯდა. სანამ ავტობუსი ქალაქის ცენტრიდან სამხრეთის მიმართულებით მიდიოდა, ქალმა ტელეფონში, რუკის აპლიკაციაში, ბარის სახელწოდება ჩანერა. ეკრანზე მოციმციმე ლურჯი ნერტილი ამოძრავდა. საბოლოო დანიშნულების ადგილამდე ჩვიდმეტი წუთის სავალი იყო. აილინმა აპლიკაცია დახურა და ლოლას მისწერა.

აილინი: “გამარჯობა, დეიროდ რატომ არ დაპატივე შენს ქორწილში?”

ოცდაათ წამში პასუხი მიიღო.

ლოლა: “ალბათ, დედამ და მამამ ფული გადაგახადეს, რომ ბინძური სამუშაო მათ ნაცვლად შეასრულო”.

ამ შეტყობინების კითხვისას აილინი შეიჭმუხ-  
ნა. ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. შემდეგ დაწერა:

აილინი: «ამასადამე, ოჯახის წევრებს არ პა-  
ტივებ ქორწილში? ხვდები, რა უფუნურად იქცევი?»  
აილინი შეტყობინებების გვერდთან გამოვიდა და  
რუკა კვლავ გახსნა. მიხვდა, რომ დანიშნულენ-  
ის ადგილს მიახლოებდა და ავტოპუსიდან ჩამო-  
ვიდა. ხშირ-ხშირად უყურებდა ტელეფონს, სანამ  
ეკრანზე ლურჯი ტექსტი გამოჩნდებოდა: «დანიშ-  
ნულების ადგილას იმყოფებით». საღეჭი რეზინი  
ფოლგაში გაახვია და ნაგვის ურნაში ჩააგდო.

ნიგელი ნათურებით განათებული, დივანებითა  
და დაბალი მაგიდებით განწყობილი ოთახი, რომელ-  
შიც აილინი დახურული ვერანდიდან შევიდა, ისე-  
თივე მყუდრო იყო, როგორც - ძველებური მისა-  
ლენი დარბაზები. აილინს მამინეკი მისალმა ამ-  
დენიშე მეგობარი და ნაცნობი, რომელმაც ჩაქები  
ძირს დაანყეს და დივანებიდან წამოხტნენ. დარაქის  
დანახვისას აილინმა მხიარულად წარმოთქვა: «გი-  
ლოცვაც დაბადების დღეს!» ამის შემდეგ სასმელი  
მოითხოვა და ერთ-ერთ - ოდნავ ნებოვან - ტყავის  
დივანზე, თავისი მეგობრის, პაულას გვერდით დაჯ-  
და. ტელეფონი შეამჩნია და შეამჩნია, რომ ლოლას  
ახალი შეტყობინება გამოეგზავნა.

მან ცოტა ხანს უყურა ეკრანს. შემდეგ ტელე-  
ფონი ისევ ვიბრებდა ჩაიღო. იქვე მჯდარი ქალი, სახე-  
ვად როზინი, ჰყვებოდა ამბავს იმის შესახებ, თუ  
როგორ გატეხეს მისი ფანჯარა, რომლის შეკეთე-  
ვაც სახლის მუპატრონე ერთ თვეზე მეტი ხნის გან-  
მავლობაში უნარს ამბობდა. ამის შემდეგ ყველამ და-  
ნიყო თავ-თავიანთი ისტორიების მოყოლა. ასე გა-  
ვიდა ერთი საათი, ორი საათი. პაულამ კიდევ ერ-  
თხელ შეუცვლეთა სასმელები. გამოიტანეს ვერცხლის  
თევზები ცხელი საჭმლით: კოქტეილის ძხვებულით,  
კარტოფილით, მოლაპლაპე წვეწმი ჩანყობილი ქათ-  
მის ფრთებით. თერთმეტს ათი წუთი რომ დააკლდა,  
აილინი ადგა, აბაზანისკენ წავიდა და ვიბრებდა ტე-  
ლეფონი ამოიღო. ახალი შეტყობინებები არ მოს-  
ვლია. მან თვალის გადავალო წუნხანდელ მინერ-მო-  
ნერას საიმონთან.

- აილინი: სახლში უსაფრთხოდ ხარ?
- საიმონ: ჰო, ახლახან მოგწერე.
- საიმონ: შეიძლება საჩუქარი გიძღვნა.
- აილინი: მართლა??
- საიმონი: გაგიხარდება.
- საიმონი: ხვალ საღამოს დაკავებული ხარ?
- აილინი: კი.
- საიმონი: დარაქის დაბადების დღეა. მამაპატი.
- საიმონი: კარგი.
- საიმონი: ამ კვირაში გნახავ??
- აილინი: დიახ.

ეს ბოლო შეტყობინება იყო. აილინი საპირფა-  
რებოში შევიდა, შემდეგ ხელები დაიბანა, სარკეში  
ჩაისვდა, ტუჩსაცხი ხელახლა წაისვა. საბაზანოს  
ქარზე ვილაკამ დააკაუნა. აილინმა მიაძახა, ერთი  
წამით მაცადეთო. უახროდ იყურებოდა სარკეში.  
ხელებით სახის კანი ჩამოიწია, ისე, რომ თავის ქა-  
ლის ძვლები გამოკვეთილიყო. მკაცრი და უცნაური  
გამომეტყველება ჰქონდა თეთრი ფლორესცენ-  
ტური სინათლის სივრცეში. ის ვილაკ კვლავ აკაუ-  
ნებდა კარზე. აილინმა ჩანთა მხარზე გადაიგდო,  
კარი გამოაღო და ბარში დაბრუნდა.

პაულას გვერდით ჩამოჯდა და ნახევრად ცარი-  
ელი ჭიქა აიღო. ყინული გამდნარიყო. «რაზე ვსა-  
უბრობთ?», ჰკითხა პაულას. პაულამ უნახუსხა, რომ  
კომუნიზმზე საუბრობდნენ. «ახლა ყველა ამაზე ლა-  
პარაკობს», თქვა აილინმა. «საოცარია. როდესაც  
პირველად დავინტერესედი მარქსიზმით, ხალხი დამ-  
ცინობდა. ახლა კი ეს ყველასთვის უმნიშვნელოვა-  
ნეს საკითხად იქცა. იმ ადამიანებს, ვინც ცდილობს  
კომუნიზმი განადიდოს, უბრალოდ, ვეტყვი: «კეთი-  
ლი იყოს თქვენი მობრძანება, ამხანაგებო!». ყოველ-  
გვარი წყენის გარეშე. მუშათა კლასს ნათელი მო-  
მავალი აქვს». როიზინმა ჭიქა ასწია. დარაქამაც.  
აილინი იღიმებოდა. თითქოს ოდნავ მთვრალი იყო.  
«სად გაქრა თევზები?» იკითხა მან. მამაკაცმა, სა-  
ხელად გერიმ, რომელიც მის პირდაპირ იჯდა, გა-  
ნაცხადა: «სინამდვილეში ამ მუშათა კლასს არ არ-  
სებობს». აილინმა ცხვირი მომოსრისა. «ჰო», თქვა  
მან, მარქსი არ დაგეთანხმებოდა, მაგრამ მესმის,  
რასაც გულისხმობს».

«ადამიანებს სიაშოვნებით იმის მტკიცება, რომ  
ისინი მუშათა კლასს მიეკუთვნებიან», თქვა გე-  
რიმ. «მადრამ აქ მუშათა კლასის წარმომადგენლები  
ნამდვილად არ არიან».

«მართალია, მაგრამ ყველა მუშაობს და ბინის  
ქირას უხდის სახლის მეპატრონეს», თქვა აილინმა.

გერიმ წარბები ასწია და შეეპასუხა, «ეს არ ნიშ-  
ნავს, რომ მუშათა კლასი ხართ. მუშათა მუშათა  
კლასად არ გაქცევთ. ის, რომ ხელფასის ნახევარს  
ბინის ქირაზე ხარჯავთ, რომ არ ფლობთ არაკითარ  
ქონებსა, რომ ექსპლუატაციას განიცდით თქვენი  
უფროსის მხრივ, მუშათა კლასად არ გაქცევთ, ხომ  
ასეა?» და გალიზიანებული სიცილით განაგრძო:  
«როგორ ფიქრობთ, შეიძლება მამათქვენის BMW-  
თი იარით და მერე თქვათ, რომ მუშათა კლასის  
წარმომადგენელი ხართ, რადგან თქვენს უფროსს  
ვერ ეგუებოთ?»

აილინმა სასმელი დალია. «სხვათა შორის, თქვენ  
არ მიცნობთ. არ ვიცი, რატომ ამბობთ, რომ აქ მუ-  
შათა კლასის წარმომადგენლები არ არიან. თქვენ  
ხომ არაფერი იკით ჩემს შესახებ.»

«ვიცი, რომ მიტერატურულ ჟურნალში მუშა-  
ობთ», თქვა გერიმ.

«ღმერთო ჩემო, განა ამის გამო ბურჟუაზიას მი-  
ვეკუთვნებ?»

დარაქმა შენიშნა, რომ, მისი აზრით, ერთსა და  
იმავე ტერმინს - «მუშათა კლასი» - ისინი ორი გან-  
სხვავებული ჯგუფის აღსაწერად იყენებდნენ: ერ-  
თი მათგანია მრავალრიცხოვანი ჯგუფი ადამიანე-  
ბისა, რომლებსაც შრომითი შემოსავალი აქვთ, ხო-  
ლო მეორე - ამ ჯგუფის დატკი (ძირითდად, ქა-  
ლაქში მცხოვრები) ნაწილი, თავისი განსაკუთრე-  
ბული კულტურული ტრადიციებით. პაულამ გა-  
ნაცხადა, საშუალო კლასის წარმომადგენელი შე-  
იძლება სოციალისტი იყოსო, ხოლო აილინმა თქვა,  
საშუალო კლასი არ არსებობსო. შემდეგ საყოველ-  
თაო კამათი დაიწყო. აილინმა კიდევ ერთხელ შეა-  
მონხა ტელეფონი. ახალი შეტყობინებები არ ჩანდა.  
23:21 იყო. მან ჭიქა გამოსცალა და ქურთუკი ჩაიც-  
ვა. შემდეგ ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა სტუმრებს  
და მივიდვარო, შესაძახა. «დაბადების დღეს გლო-  
ცებ, დარაქ! მალე ისევ შეხვდებით». ისეთი ხმაუ-  
რი იყო, რომ მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა შენიშ-



ნა აილინის ნასვლა. ათი წუთის შემდეგ აილინი სხვა ავტობუსში ავიდა, რომელიც ქალაქის ცენტრში ბრუნდებოდა. ფანჯარასთან დაჯდა, ჯიბიდან ტელეფონი ამოიღო და სოციალური ქსელების გვერდზე ჩანერა "ეიდან ლავინი". შემდეგ მექანიკურად, რამდენიმე დანკაპუნებით გადავიდა "სასწაული გოგოს" გვერდზე. ავტობუსი სენტ-მერის კოლეჯთან გაჩერდა. კარები გაიღო და მგზავრები ჩავიდნენ. ავტობუსი რომ დაიძრა, აილინის გვერდით ვილაც დაჯდა. ქალმა შეხედა და თავაზიანად გაუღიმა. შემდეგ ეკრანს ჩააშტერდა. ორი დღით ადრე მომზარებელმა "სასწაულმა გოგომ" გამოაქვეყნა ახალი ფოტო, წარწერით: "შეხეთ, რა მოხდა". ფოტოსურათზე გამოსახული იყო თვით "სასწაული გოგო", რომელიც შავთმიან კაცს ეხვეოდა. მამაკაცი მონიშნული იყო, როგორც ეიდან ლავინი. აილინმა პირი დააღო, შემდეგ ისევ მოკუშა. ფოტო გაადიდა. მამაკაცს ნითელი ველვეტის ქურთუკი ეცვა. ქალი მას ლამაზი, ფაფუკი მკლავებით ეხვეოდა. ფოტოს ოცდაათი მონონება მიეღო. ავტობუსი ახლა სხვა გაჩერებას უახლოვდებოდა. აილინმა ფანჯარაში

გაიხედა. წამოდგა და გვერდით მჯდომ მგზავრს ჩაუარა. კარები რომ გაიღო, სწრაფად ჩაიარა ავტობუსის საფეხურები და მძღოლს მაღლობა გადაუხადა.

შუალამე ახლოვდებოდა. ჩაბნელებული ვიტრინების თავზე ბინების ფანჯრებიდან ყვითელი შუქი იფრქვეოდა. აილინმა ქურთუკი შეიკრა და ხელჩანთა მხარზე გადაიკიდა. სიარულისას კიდევ ერთხელ ამოიღო ტელეფონი და ხელახლა დააკვირდა ფოტოს. შემდეგ ჩაახველა. ქუჩაში ჩამიჩუმი არ ისმოდა. აილინმა ტელეფონი ჯიბეში ჩაიღო და ხელები ქურთუკზე მოისვა, თითქოს ინმენდდა. ქუჩა გადაჭრა და ნაბიჯს აუჩქარა, ბოლოს მიაღწა აგურის მაღალ სახლს, რომლის ჭიშკრის უკან პლასტმასის ექვსი სანაგვე ყუთი იდგა. ზევით აიხედა, უცნაურად გაიცინა და, ჩვეულებისამებრ, შუბლი ხელით მოისრისა. სადარბაზოს კარზე ხარი დარეკა. გავიდა ხუთი წამი. ათი წამი. თხუთმეტი წამი. აილინი თავს აქეთ-იქით აქნევდა და ტუჩებს აცმაცუნებდა, თითქოს წარმოსახულ თანამოსაუბრეს ელაპარაკებოდა. ოცი წამი გავიდა. აილინი ნასასვლედა

გაემზადა. უცერად პლასტიკური დინამიკიდან საი-  
მონის ხმა გაისმა: "ღიახ?" აიღინი შემოტრიალდა,  
დინამიკი შეხვდა და არაფერი უთქვამს. "ღიახ?",  
გაიმეორა საიმონმა.. ქალმა ღილაკს თითი დააჭი-  
რა.

"გამარჯობა", თქვა აიღინმა. "მე ვარ. მამატიე".  
"აიღინ, შენ ხარ?"  
"ღიახ, მამატიე.  
"კარგად ხარ"? ჰკითხა საიმონმა. "ამოდი, კარს  
გაგიღებ".

კარის გაღების ხმა გაისმა და აიღინი სადარბა-  
ზოში შევიდა. იქაურობას კამკამა ნათურა ანათებ-  
და. ვილაცას ველოსიპედი საფოსტო ყუთებზე მიე-  
ყუდებინა. კიბეზე ასვლისას აიღინმა გაჩქარული თმა  
ფრთხილად შეისწორა. შემდეგ დახვდა ტელეფონის  
რომელიც 23:58-ს აჩვენებდა და ქურთუკი გაიხსნა.  
საიმონს თავისი ბინის კარი უკვე გაეღო. ფეხშიშვე-  
ლი იდგა. როგორც ჩანს, დერეფნის შუეი თვალს  
სჭრიდა. ნამძინარევი და ოდნავ შესუბუებული სახე  
ჰქონდა.

"ღმერთო ჩემო, ბოდიში!", წამოიძახა აიღინმა.  
"უკვე ინიჭი?"

"ყველაფერი რიგზეა?", ჰკითხა საიმონმა.  
ეიღინმა თავი დახარა, თითქოს დაღლილობის  
ან დარცხენის გამო და თვალები დახუჭა. რამდე-  
ნიმე წამი გავიდა, სანამ თვალებს გაახელდა და უშა-  
სუხებდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო. "დარაქის  
სახლიდან მოვედიოდი და შენი ნახვა მომინდა. რა-  
ტომღაც მეგონა, რომ არ გეძინებოდა. ვიცი, რომ  
გვიანაა."

"გვიანი სულაც არ არის. შემოხვალ?"  
ეიღინს თვალები არ აუწვევია. დაძაბული ხმით  
ნაილუღლულა: "არა, არა, ნავალ. რა სულელურად  
მოვიტყვი. მამატიე".

საიმონმა ცალი თვალი მოწკურა და კიბის ზედა  
საფეხურზე მდგარ აიღინს შეხვდა. "ამას ნუ ამ-  
ბობ", თქვა მან. "შემოდი, ცოტა დაელოთ".

აიღინი მას უკან გაჰყვა. სამზარეულოში მხო-  
ლოდ ერთი ნათურა ენთო. აიღინმა ქურთუკი და  
ფეხსაცმელი გაიხსნა. შემდეგ საიმონთან მივი-  
და. შეჩერდა და თავი დახარა.

"საიმონ", მიმართა მან, "ერთი სათხოვარი მაქვს  
შენთან. თუ უარს მეტყვი, სანყენად არ დამჩრება".

"თქვი".

"შეიძლება შენთან ერთად დავიძინო ამაღამ?"

სანამ პასუხს ვასცემდა, საიმონმა წამით თვა-  
ლი შეაღწია. "ჰო", თქვა მან, "რა თქმა უნდა. დარ-  
წმუნებული ხარ, რომ ყველაფერი რიგზეა?"

აიღინმა თავი დაუქნია. საიმონმა ონკანიდან შეი-  
ქაში წყალი დაუსხა და ისინი საძინებელში მჭიდ-  
ნენ. ეს იყო კოპწია ოთახი, მუქი იატაკით. ცენტრში  
ორადგილიანი საწოლი იდგა. საბანი გადაწვეული  
იყო. საწოლთან ნათურა ენთო. კარის მოპირდაპი-  
რე მხარეს, ფანჯარაზე, ფარდა იყო ჩამოფარებუ-  
ლი. საიმონმა ნათურა ჩააქრო. აიღინმა ღილები გა-  
იხსნა, კაბა გაიხსნა და სკამის საზურგეზე გადაკი-  
და. დაწვენენ. აიღინმა ცოტა წყალი მოსვა და გვერ-  
დზე გადაბრუნდა. რამდენიმე წუთის განმავლობა-  
ში დუმდნენ. საიმონი ქალისკენ ზურგშექცეული იწ-  
ვი. მხოლოდ კეფა და მხარი უჩანდა. "ჩამეხუტე-  
ბი?", ჰკითხა აიღინმა. საიმონი წამით შეყოყმანდა,  
თითქოს რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ შემდეგ შე-

მობრუნდა და მკლავი მოხვია, თან ნაიბუტბუტა:  
"რა თქმა უნდა". მათი სხეულები ერთმანეთს შეე-  
ნებნენ... ის ღამე ერთმანეთის ალერსში გაატარეს.

ტელეფონის მალეობრამ დილის რვა საათზე  
ორივე გააღვიძა. საიმონმა იდაყვე წამოინთა ზა-  
რის გამოსართვლად. აიღინი ზურგზე იწვა და თვა-  
ლებს თითებით ისრესდა. უალუზის კიდევებქვე  
დღის სინათლე აღწევდა. "რა გეგმები გაქვს ამ დი-  
ლას?", ჰკითხა ქალმა. საიმონმა ტელეფონი კვლავ  
ტუმბოზე დადო. "ცხრა საათზე ნირვამ უნდა წავე-  
სულიყავი", თქვა მან. "მაგრამ შემიძლია მოვვინა-  
ნები წავიდე, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს".

აიღინი თვალმდებარე უქული იწვა. ბედნიერი გამო-  
მეტყველება ჰქონდა. განწილი თმა ბალიშზე ეფი-  
ნა. "შეიძლება, რომ შენთან ერთად წამოვიდე?" სა-  
იმონმა უდრალოდ უპასუხა: "რა თქმა უნდა, შეიძ-  
ლება". ისინი ერთად წამოდგნენ საწოლიდან. სანამ  
აიღინი ბანაობდა, საიმონი ყავას სარზამდა. აბაზა-  
ნიდან გამოსულ აიღინს ტანზე დიდი თეთრი პირ-  
სახოცი ჰქონდა შემოხვეული. მათ ერთმანეთი გა-  
დაკოცნეს. "რა მოხდება, თუ ნირვის დღის ცოდვი-  
ლი აზრები გამოივლებს?", ჰკითხა აიღინმა. საიმონ-  
ი კეფაზე მოეფერა, იქ, სადაც თმა ჯერ კიდევ სვე-  
ლი იყო. "წუხანდელი ღამის შესახებ? ცუდი არაფე-  
რი ჩავიგდენია". აიღინმა მხარზე აკოცა. სანამ ქა-  
ლი იცვამდა, საიმონი საუზმეს ამზადებდა. ცხრას  
რომ რამდენიმე წუთი აკლდა, ისინი სახლიდან გა-  
მოვიდნენ და ეკლესიისკენ გაემართნენ. ეკლესიაში  
გრილოდა. იქ მხოლოდ რამდენიმე დაძაინი იმყო-  
ვებოდა. ნესტის და საკმევლის სუნი იდგა. მღვედელ-  
მა ნაიკითხა ნაწყვეტი ლუკას სახარებიდან და და-  
ინყო ჭადაგება თანალობის შესახებ. ზიარების  
დროს ქაღალდი გალობდა: "აჰა, მე მივიდე ძეთა მი-  
მართ ისრაელისათა". აიღინი უყურებდა საიმონს,  
რომელიც რგში იდგა მრევლის სხვა წევრებთან  
ერთად. მრევლის უმჯანბრობა მოხვედრები იყ-  
ვნენ. გალერეაზე უხვნიდ გალობდა: "ცყო ბნელი მა-  
თი ნათლად". აიღინი ადგილს იხაცვლებდა, რათა  
დაენახა, როგორ მივიდა საიმონი საკურთხეველ-  
თან და ზიარება მიიღო, შემდეგ შეტრიალდა და  
პირჯვარი გადაიწერა. აიღინს ხელები მუხლებზე  
ენყო. საიმონი უზარმაზარ გუმბათს აჰყურებდა და  
უხმოდ ლოცულობდა. ქალი გამომცდელოდ უმზერ-  
და. საიმონი დაბრუნდა, აიღინს გვერდით მიუჯდა  
და ხელზე ხელი დაადო. მიმიბო და ძალზე უძრავი  
ხელი ჰქონდა. შემდეგ საიმონმა დაიროქა. სუვიდანი  
ან სერიოზული გამომეტყველება არ ჰქონია, უზარ-  
ლოდ, მშვიდი იყო. ტურჯებს აღარ ამოძრავებდა.

აიღინი ყურადღებით აკვირდებოდა მას. ბოლოს სა-  
იმონმა კიდევ ერთხელ გადაიწერა პირჯვარი და  
ისევ ქალის გვერდით დაჯდა. აიღინმა მისკენ ხელი  
გასწია, საიმონმა კი ეს ხელი იღო და ცერა თითით  
ეფერებოდა. ასე ისხდნენ, სანამ ნირვა დასრულდებ-  
ოდა. ქუჩაში ისინი კვლავ იღიმებოდნენ. იდუმალი  
ღიმილით. გრილი, ნათელი დღლა იყო. შენობების  
თეთრი ფასადებზე მზის შუეი ირეკლებოდა. გამ-  
ვლელური ძაღლებს ასიერებდნენ და ერთმანეთს  
ელაპარაკებოდნენ. საიმონმა აიღინს ლოყაზე აკო-  
ცა და ისინი ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

# ესპანურენოვანი პოეზიის მცირე ანთოლოგია

ესპანურიდან თარგმნა მაალ ჩხეიძემ

## ლეონ ფელიპე

### გულო ჩემო, შავგულო

გულო ჩემო, შავგულო,  
მარტოობით ნალესო,  
უპატრონოს, უკაცურს  
შავგებარ ციხე-დარბაზებს,  
სავსეს უკიდევანო საიდუმლო სიჩუმით.

გულო -  
ციხე-დარბაზო -  
დაქცეულო,  
ბებერო.

გულო - ციხე-დარბაზო -  
ნლოობით ნაპარტახალო,  
ენაამორთმეულო,  
სავსე უკიდევანო საიდუმლო სიჩუმით.  
რა ხანია, მერცხლებიც აღარ გამოჩენილან,  
ალბათ, აითვალწუნეს ჭერი შენი საბუდრად...  
რა ხანია, მაგ ტანზე პირდაფრენილ ნაპრალებს  
შესდგომია ცახცახად ლამურების ფუთფუთი.

ქრისტე  
შენ მოხველ, რათა დაგელოცა ცრემლები ჩვენი,  
არ თუ დაგეშრო.

შენ მოხველ, რათა იარები დაგესხნა ჩვენი,  
არ განგეკურნა,  
შენ მოხველ კვლავაც დასაგზუნებად ხანძრების  
ჩვენის,

არ დასაშრეტად.  
შენ მოხველ, რათა გეთქვა ჩვენთვის:  
დაე, ცრემლებმა,  
სისხლმა და ცეცხლმა  
იძინოს ქვეყნად მდინარეებად.

## ფედერიკო გარსია ლორკა

### გიტარა

ტირის გიტარა.  
იმსხვერვიან დილის თასები.  
ტირის გიტარა.  
ვინ დაადუმოს?  
რამ დაადუმოს ან იმისი მონაკენესები?  
ტირის გიტარა.  
ასე ტირიან ნაკადულები,  
ასე დასტირის ქარიშხალი ველებს თოვლიანს.  
რამ დაადუმოს ან იმისი მონაკენესები?  
ტირის გიტარა  
ამებს უშორესს,  
ტირის გიტარა  
მხურვალე ქვიშებს სამხრეთისას,

ალმოდებულებს,  
მოტრფაილებს უქათათეს კამელიათა.  
ტირის გიტარა  
გადატყორცნილო,  
დაკარგულ ისრებს.  
ტირის მიმწუხრებს  
უალიონოს,  
ტოტზე მთვლემარე  
ჩიტუნას სიკვდილს.  
ჩემო გიტარავ!  
ხუთი ხანჯლით დაჭრილო გულო.

### ცეკვა

მოდის, როკავს კარმენი  
სველიის ქუჩებში,  
დალაღდათეთრებულო,  
თვალენაპერნ კლიანი.

ჩქარა! ჩამოაფარეთ,  
გოგოებო, ფარდები!

თავზე მოუგრანია  
ოქროსფერი ასპიტი.  
ეზმანება სხვა ცეკვა,  
სხვა ჭაბუკნი სხვა დღეთა.

ჩქარა! ჩამოაფარეთ,  
გოგოებო, ფარდები!

უკაცრიელ ქუჩებში  
შუკა-შუკა მიმაღულს  
გულებს ანდალუზიურს  
კვლავაც წამოაკენესებს  
ძველი ნაეკლარები.

ჩქარა! ჩამოაფარეთ,  
გოგოებო, ფარდები!

## მიგელ ანხელ ასტურიასი

### ავლადიდება

გაცემდე, ნიშნავს გიყვარდეს,  
თუ გსურს, მორღვეს ცის კიდე,  
ჯერ წვეთ-წვეთობით დათესე,  
ნიაღვრად მერე იმკიდე.  
ჩვენც მიტომ გავწნდი ამქვეყნად,  
სულს ისე უნდა ვლესავდეთ,  
მინაზე ხნულში ვიდგეთ და  
ზღვაში ვარსკვლავებს ვთესავდეთ.  
ვინც დინანა, უფალო,



მ. ა.

ვინაც არ გასცა ყოველი და შენთან მაინც მობედა, აგე, დახედე, ცარიელ აბგად მოგართვი გულიო, შენდობას როგორ მოელის?

### ოქტავიო პასი

#### თვალდახუჭული

თვალდახუჭული შინაგანი სინათლით ელავ არადა ქვა ხარ უთვალისჩინო მე ყოველ ღამით გიჭრი ორმოს თვალდახუჭული მინდა ჩაგრგო და მინდა ჩაგთესო არადა ქვა ხარ გულგადაშლილი ვევებურთელდებით უსაშველოდ რადგან ორივე ვიცნობთ ერთმანეთს თვალდახუჭული

#### გაკრული ხელით

ნახშირით ვანერ ვანერ ცარციით ნითელი ფანქრით შენს სახელს ვანერ შენი ტუჩების სახელს ვახატავ ვახატავ შენი ფეხების კონტურს ვერჩი ამ კედელს უპატრონოს და ვერჩი ამ კარებს მივიწყებულს და ვაკანრავ შენი სხეულის სახელს დანის პირს სისხლი ჩამოსდის ღვარად მკვნესარებს ქვა და სუთქავს კედელი მკერდსა ჰგავს თითქოს ადის და ჩადის

#### ახალგაზრდობა

ყოველი ტალღა გარდასულზე უქათათესი ყოველი ნუთი გარდასულზე უხასხასესი ყოველი დილა გარდასულზე უჭაბუკესი მერე სიკვდილი

#### ნათლობის შედეგები (მადლი)

ქრისტიანი უნდა მოეყვანა ცოლად, პოდა, ამიტომაც მონათლეს ჰასანი, ბიჭი პირტიცველა.

მღვდელმა, დღეის იქით ერიკი გერქმევაო, ვიკინგი იყო თითქოს.

ასე შერჩა ჰასანს ორი სახელი და ერთადერთი ცოლი.

### პაბლო ნერუდა

#### ოდა მიტოვებულ სახლს

სახლო, ჩემო, მშვიდობით, ანდაც იქნებ ხვალამდის, ანდაც ხვალის ხვალამდის, ანდაც იქნებ მერემდის, ანდაც მერის მერემდის.

ისევ მივალ, მივდივარ, მინდა, გამოგეთხოვო, გითხრა, მიყვარს რარიგად შენი ქვებით ნაგები უტკბილესი საგულე. ჩემო უსათნოესო, შენი თბილი სამზადი, ცეცხლი ნაგიზგიზარი. შენზე ჩამომსხვრეული წვიმის ნიაღვარები, როგორც გადმოშუხარი სიმფონია ზეცისა.



გამოკეცეთ ფანჯრები, შემოგვაგადა უმაღვე ღამე კაემნისფერი ყველა კუთხე-კუნჭული შენი ითავმესაფრა.

შემოსილი წყვილით კვლავ აგრძელებ სიცოცხლეს, თუმცა დროის ტალღები თავით გეზვირთებიან, თუმცა ადნობს სინესტე შენს სულს თანდათანობით. ზოგჯერ ვირთხა გამოვა, გამოგლრნის და გამოხრავს, ზოგჯერ აიშლებიან ძველი ფოლიანტები იდუმალი ჩურჩულით, ზოგჯერ გზადაკარგული მწერი უთვალისჩინო უნებურად გამოსცდის შენი კედლის სიმტიციცეს, ზოგჯერ დაგბირიყვებს და მარტომმარტო დარჩენილს ისე გაგინვიმდება, შენი ავი ნაპრალი ხმით მოთქვამდეს კაცურით.

რას მალავენ, ვინ იცის, ჩარახული სახლები, რა უჩინარ საწუხარს? ალბათ მხოლოდ ჩრდილებმა, ალბათ მხოლოდ ქარმა და ჭერში წამონთებულმა მთვარის თეთრმა ყვავილმა.

აბა, ახლა მშვიდობით, აბა, ჩემო ფანჯარავ,

აბა, ჩემო კარო და  
 აბა, ჩემო კედელი.  
 აბა, ცეცხლო კეთილო,  
 აბა, ზედ შემომდგარო,  
 წყალო, ნაქაფქაფარო.  
 აბა, კარგად, შენ იცი,  
 ჩვენო სამზარეულოვ,  
 სანამ დაგიბრუნდებით,  
 სანამ შემოსასვლელში  
 კარის თავზე საათი  
 კვლავაც ანიკნიკდება,  
 სანამ აუტყვერდება  
 კვლავაც გული ბებური,  
 სანამ მისი ორივე,  
 ჟანგიანი ისარი  
 მკერდს დროისას, უსაზღვროს,  
 კვლავაც განენონება.



### ძალმის ამაღამ ვწერო ლექსები უმწუხარესი

ძალმის დავწერო, მაგალითად:

“ცა ღამეული და  
 უშორესი ვარსკვლავების ცისფერი კრთომა”.  
 ერჩის გრიგალი კაბადონებს, დაძრნის და მღერის.  
 ძალმის ამაღამ ვწერო ლექსები უმწუხარესი.  
 მე ის მიყვარდა, ვუყვარდი მასაც, ოღონდ ხანდახან.  
 სხვა ღამეებში, აწინდელის ტყუპისცალებში,  
 მახსოვს რარიგად ვეხვეოდი,  
 როგორ ეკოცნიდი დახარბებული,  
 როგორ გვეხურა ცა უსასრულო.  
 ვუყვარდი მას და მეც მიყვარდა, ოღონდ ხანდახან.  
 განა შემეძლო არ მყვარებოდა უზარმაზარი, უმშვიდესი მისი თვალები.  
 ძალმის ამაღამ ვწერო ლექსები უმწუხარესი.  
 ვიცი, აღარ მყავს. ვგრძნობ, რომ დავკარგე.  
 ყურს ვუვადებ ღამეს, უმისობით დაუსამანოს  
 და ლექსი ისე ედება ჩემს სულს, როგორც ცვარი ედება ბალახს.  
 რაღა აზრი აქვს. ვერ დავიფარე, ტრფობამ ჩემმა ვერ დაიფარა.  
 კვლავაც ღამეა ვარსკვლავიანი, ის კი არსად ჩანს.  
 ჰო, ეგლა არის. შორს მღერის ვილაც. მღერის ვენებით, თავდავიწყებით.  
 მიბორავს სული, უმისობის შემაცქერალი.  
 მას დაეძებენ ჩემი თვალები,  
 და გულიც ჩემი მას დაეძებს, ის კი არსად ჩანს.  
 ღამეა ახლა, ტყუპისცალი სულ სხვა ღამეთა,  
 და ხეებს ჩვენსას ავარაყებს ძველი სითეთრით.  
 ჩვენ კი ვიცვალეთ, დიდი ხანია.  
 მე აღარ მიყვარს, არა ვდავობ, არადა როგორ მიყვარდა უწინ.  
 თან დაყვებოდა, ემგზავრებოდა ჩემი ხმა ქარებს, მას დაეძებდა.  
 სხვისია ახლა, სხვისია ახლა, როგორც ოდესღაც ჩემამდე იყო, ჩემს კოცნებამდე,  
 იმისი ხმაც და სითეთრეც მისი, მისი თვალებიც უძიროები.  
 მე აღარ მიყვარს, არა ვდავობ, მაგრამ, ვინ იცის, ეგების კვლავაც მიყვარდეს იგი.  
 რა ხანმოკლეა სიყვარული,  
 რა უსაშველოდ ხანგრძლივია გადავიწყება.  
 სხვა ღამეებში, აწინდელის ტყუპისცალებში,  
 მახსოვს, რარიგად ვეხვეოდი,  
 სწორედ ამიტომ  
 მიბორავს სული უმისობის შემაცქერალი.



## ხუნ რამონ ხიმენესი

\*\*\*

ერთხელ ისე წამოცდა,  
 მუდამ, სადაც ვნახულობ, -  
 ის მისმენდა ეტყობა, -  
 თეთრი ფერი უხდება  
 ტროფობას საგაზაფხულოდ.  
 ამომხედა, ცისფერი  
 ტბები ამომანათა  
 და მწუხარე ლიმილმა  
 ბაგე ქალწულებრივი  
 წამით მოუვარაყა.

მერე ყოველ ცისმარე,  
 თუ მისი გზით მიმავალს  
 თან მზეც მახლდა მაისის,  
 გადმოდგარი პარმაღზე,  
 ვითომ არც რა ხდებოდა,  
 მაბრმავებდა უწყალოდ  
 მისი თეთრი აისი.

## მე მე არა ვარ

მე მე არა ვარ,  
 სხვა ვარ, ისა ვარ.  
 ვინც რომ გვერდზე მომყვება, მე კი მაინც ვერ ვხედავ;  
 ვისაც ხან ვესტუმრები,  
 ხანაც გადავივიწყებ.  
 ვინც დუმს აუღელვებლად, როცა ვმრავალსიტყვაობ,  
 ვინც შეუნდობს, როცა მე სიძულვილით ვიხრჩობი,  
 ვინც მოივლის უჩემოდ მხარეს, სადაც არა ვარ,  
 ვერ ნააქცევს ვერაფრით, ვისაც ჩემი სიკვდილი.

**ფეხები! მიწას რამსიღრმეზე ჩახორცებულნი!**  
**ფეხები! მიწას რამსიღრმეზე ჩახორცებულნი!**  
**ფრთები! ეჭვი, რამსიმაღლეზე აჭრილნი ზეცად!**  
**- შუაში კიდეც რამოდენა, რა უსაშველო გულისტკივილი!**

## ფერნანდო ალონსო

### უძილობა

ჩემი მადრიდი, დაახლოებით მილიონი ცხედრის ქალაქი (როგორც ამბობენ უკანასკნელ ამბებში ახლა).  
 ვბრუნდები ხოლმე ლამაზობით და ბოლთასა ცვემ აქ, აკლდამაში, სადაც ვიხრწნები ორმოცდახუთი  
 წელიწადია.

და საათობით ვაყურადებ ქარიშხლის ღმუილს, ძაღლების ღვავას, მთვარის შუქის დენას იღუმალს.

და საათობით მეც გავლმუი ქარიშხალივით, ვღაღავებ, როგორც ღვავავებენ ბნელში ძაღლები,

დავედინები, როგორც რძე დასდის უზარმაზარი ყვითელი ძროხის მხურვალე ჯიქანს.

და საათობით ვეკრებები, მითხარ, უფალო, რადა ხრწნი ჩემს სულს ასე ნელა, ასე თანდათან.

რადა ხრწნი ცხედრებს, დაახლოებით მილიონ ცხედარს, მადრიდი-ქალაქში.

რადა ხრწნი ქვეყნად მილიარდებს, ასე ნელა, ასე თანდათან.

თქეი! რა ბალი გაქვს ამისთანა, მოუპირავი, რომ ვერ გააძღე ჩვენი ლემით, ვერ ამოყორე.

პა! გეშინია? რომ დაჭკნებიან თვალწვედენელი ვარდნარები შენი დღეების,  
 რომ დაჭკნებიან სიკვდილისფერი შროშანები, უმწუხარესნი, შენთა ღამეთა!



მალხაზ ხარბეღია

მედიკონი მონაზ მელიქიძე

# შეთხზული "მე"

## მწერალი და ავტობიოგრაფია



ბაზრკილება,  
 დასაწყისი იხ. პრილი, N2, 2022

## Curriculum Vitae როგორც სტრატეგია

ჩვენი ორტომეულის ("მწერალთა ავტობიოგრაფიები", თბ. "ლიტერატურის მუზეუმი, 2013") დიდი ნაწილი რეალურად Curriculum Vitae-ბია, მოკლე CV-ები, რომელიც ამა თუ იმ მიზნით იწერებოდა. იმ ავტობიოგრაფიებსაც კი, სადაც ვრცელადაა ამბები მოთხრობილი და ნარატივების გარდა დისკურსული გადახვევები და განსჯებიც ხშირად გვხვდება, მათაც ახლავს ეს მშრალი CV-ები, ერთიან ნორმას დაქვემდებარებული, პერსონალური ინფორმაციით, ცნობებით განათლებისა და საქმიანობის შესახებ.

ლიტერატურათმცოდნეები CV-საც ყანრად მიიჩნევენ, ავტობიოგრაფიის ქვეყანრად და მასზე მხოლოდ უცხოენოვან სამყაროში თუ ვიპოვით საჭირო ლიტერატურას. საქართველოში, თუ არ ვცდები, CV ჯერ არავის განუზილავს თეორეტიკოსის თვალით.

მოკლედ რომ ვთქვათ, რა არის CV? ესაა ერთგვარი თვითრეკლამა, საკუთარი თავის წარდგენა, გნებავთ კომუნიკაციის ხერხი, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული ადამიანის წარსულის თუ მომავალი გეგმების ვაცნობას. იგი გვესაუბრება ავტორის კვალიფიკაციაზე, გამოცდილებაზე. CV-ს მიზანია ესა თუ ის პოზიცია მოაპოვების სამსახურში ავტორს, ან უკვე დასაქმებულის ბიოგრაფიული ცნობების განახლება მოხდეს. CV-ს წერისას შესაძლებლობები შეზღუდულია, ხერხები მინიმუმადეა დაყვანილი, თუმცა ავტორმა მაინც უნდა შეძლოს თავის წარმოჩენა, რაც კლასიკური ავტობიოგრაფიისგან საკმაოდ განასხვავებს CV-ს. ესაა სტრატეგიული ქმედება, რომელსაც სანდოობაზე აქვს პრეტენზია და რომელმაც ყველანაირი გამართლებების, დაზუსტებების, სქოლიოებისა თუ რეტროსპექტული თხრობის გარეშე უნდა დაგვანახოს პიროვნება. ჟანრის კანონების მიხედვით, აქ გამოირცხული უნდა იყოს მანიპულაციები, გამოგონება, ბიოგრაფიის ანარსებული ფაქტებით შევსება, თუმცა როგორც ვიცით, ყოველთვის ასე არ ხდება, მითუმეტეს მწერლების შემთხვევაში.

სტილის თვალსაზრისით გამოყოფენ რამდენიმე ნაირ CV-ს: ტრადიციულს (ფაქტების ჩამონათვლი და დეტალური წარსულისკენ), უნარ-ჩვევების CV-ს, აკადემიურ CV-ს, ვიზუალურ, ანუ ინფორმაციულ CV-ს. სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად შეხვდებით რეზიუმეების კატეგორიზაციასაც, აკეთებენ მკაცრ კლასიფიკაციებს, გამოყოფენ ტიპებს. CV-ები საკმაოდ დიდ და საინტერესო მასალას აწვდიან ფსიქოლოგებსაც და მეც ვერ ვუძღვებ ცდუნებას, რომ პირობითად არ ჩამოვთვალო ის რამდენიმე ფსიქოტიპი, რომელიც ნამყვანია ქართველი მწერლების ავტობიოგრაფი-

ებში. ყველაზე ხშირად გვხვდებიან: თავმდაბლები, მოქნილები, თვითორიონლები, დაბოღმულები, ტანჯულები, ღვანდომოსილები, შეურიგებლები, სათნონი, მრისხანენი, დაულაღენი და მრავალი სხვ.

სხვათა შორის, ანონიმური CV-ებიც არსებობს, რომელშიც არც სქესია მითითებული, არც ასაკი და არც ზოგი სხვა დეტალი, თუმცა ჩვენი საქმე ასეთი CV-ების განხილვა არაა, არამედ მკვეთრი ინდივიდუალობის მქონე შემოქმედებთან გვაქვს საქმე, რომელთა უმრავლესობასაც დიდი წარმოდგენა აქვთ თავზე.

ერთი მეცნიერი CV-ს შესახებ წერს, რომ მას, როგორც ავტობიოგრაფიას, წარსული აწმყოში გადმოაქვს და მოგონებების გაძლიერებას ახდენს, რათა მომავლის სახეები შექმნას. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, CV მომავლისთვის ზრუნავს, წარსულსა და გამოცდილების ხარჯზე. ჩვენი მწერლების შემთხვევაში ხშირად ეს პირადი მომავალი არ არსებობს, ღრმა მოხუცებულობაშია დაწერილი (ან წარმოსახვით მომავალს გულისხმობს, სახელსა და დიდებას post mortem), თუმცა ისიც არ უნდა დავავიწყდეს, რომ არსებობს დიდი მომავალი, რისთვისაც თხზავს ესა თუ ის ავტორი საკუთარ თავს, "მე"-ს. არის ცხოვრების ნახევარგზაზე დაწერილი CV-ებიც, რომელიც უფრო ტკბობაა, თვითპრეზენტაცია და არა დასაქმების სურვილი. ხშირ შემთხვევაში ეს ადამიანები უკვე დასაქმებულები არიან და საკმაოდ კარგადაც გრძნობენ თავს თავიანთ თანამდებობებზე, თუმცა გვხვდებიან ჩაგრული, უშუშევი, განაპირებული მწერლებიც, რომელთაგან ზოგი თხოვნების ჩატევასაც ახერხებს ავტობიოგრაფიებში, სხვები კი პრინციპულად არაფერს ითხოვენ.

არ უნდა დავავიწყდეს, რომ ჩვენს ორტომეულში შესული ავტობიოგრაფიები ფართო მკითხველისთვის არაა, ისევე, როგორც ზოგადი CV-ები. მათ, როგორც წესი, მხოლოდ რამდენიმე ადამიანი კითხულობს, უფროსობა, ყოიური და ა.შ. ტოტალიტარულ სახელმწიფოში ამ ინფორმაციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს სპეციფიკა არსებითი იყო. თუკი ავტობიოგრაფიულ ტექსტებში მკითხველი ბევრია, აქ შეიძლება მხოლოდ ხელმძღვანელობა ან სპეცსამსახურები ინტერესდებოდნენ ამ ადამიანების ცხოვრებით, მხოლოდ ისინი იყვნენ მკითხველები. ამ ავტობიოგრაფიებში დაბეზლებებსაც კი ვხვდებით არაერთხელ.

მიუხედავად იმისა, რომ დამკვეთმა მაქსიმალურად შეზღუდა შესაძლებლობები, რათა ავტორმა მხოლოდ საჭირო ინფორმაცია მიანოღოს თავის შესახებ (რადგან დაბეზლებისთვის დამკვეთს სულ სხვა მექანიზმები აქვს), ავტორები მაინც გადაინამ ჩარჩოებიდან, აღიზიანებთ ასეთი შეზღუდვები და ხანდახან თავს ვერ თოკავენ. ზოგიერთი კი პირიქით, კარგად ერევა ამ ფორმას, მოსონს კიდევ.

ზემოთ კომუნიკაცია ვახსენე, CV, როგორც კო-

მუნიკაცია, და უნდა დაეძინო, რომ ესაა ცალმხრივი კომუნიკაცია. აქ მხოლოდ ერთი მხარე ჰყვება თავის ამბავს, თუმცა მეორე მხარე, ის ერთეული მკითხველები (დამაქმებლები თუ სპეციალური რები) კარგად აცნობიერებენ ამ ცალმხრივი კომუნიკაციის სტრატეგიულ ბუნებას. CV-ს ავტორები ან ერთგულელებს ეფიცებიან სისტემას, ან გადარჩენას ცდილობენ და ამას წარსულის ფაქტების მოყვანით აკეთებენ, ან გაყალბებენ. ახსენებენ ყველა შეხვედრას ბელადთან თუ სხვა თანამდებობის პირებთან, ჰყვებიან თავიანთი გმირობის ამბებს. გახსენება უკვე მონიფულობის ასაკში ხდება, ამ ყმანვილურ გმირობებს კიდევ დაუბრუნდებით, მანამდე კი ბავშვობის ამბები უნდა დავასრულოთ.

**გართობა და მოგონებები - ცელქობა, ჩაგვრა, ბავშვური მელანქოლია**

შეადარებით განვრცობილ ავტობიოგრაფიებში ცხადია ბავშვობის მოგონებებისთვისაც მოიძებნება ადგილი, ავტობიოგრაფიის ერთ-ერთი ფუნქციაც ხომ ესაა, წარსულის გაცოცხლება, ტკილ-მწარე მოგონებების ხელახლა განცდა და გააზრება.

დავიწყით პირველი ტექსტებით. სოფრომ მგალობლიშვილს ბავშვობა გადამაოსეთში, სოფ. წარაში გაუტარებია, სადაც მამამისი მღვდელი-მისიონერი ყოფილა. პაიპარად ახსოვს იქაური შებენი, მთის კრიახები, ოსის ბიჭებთან ერთად ციყვივით სირბილი მთის ფრიალებზე. თუმცა, სოფ. დირბში ჩამოსახლებულს, მას შემდეგ ოსის ლაპუას (ბიჭს) ეძახდნენ. ალიზიანებდნენ. სწყინდა ეს სახელი.

ხილის ბაღებისა და ვენახების შესახებ მოგონება ყველას აქვს ბავშვობიდან, თუმცა არის მოგონებები, რომელიც უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს, ან უცნაურობის, ანაც სოციალური, საპართელბრივი, ეთნოგრაფიული, პოლიტიკური თუ სხვა თემების გამო. მაგ. ივანე როსტომაშვილის მონათხრობი გამოდგება, როცა მამასთან ერთად ცხენით მგზავრობდნენ და უცებ, ერთ-ერთი შესვენებისას რუსი სალდათი მიიღდა მათთან და ცხენის წართმევა დაუპირა. მამა გასაძლიანებია და "ზოგი დამტკრებული რუსული და ზოგიც ქართული ლაპარაკით ძლივს გააგდებინა სალდათს ცხენი ხელიდან, მაგრამ აღვირი მაინც წაგვართვა და წაიღო. ამ ამბავმა დიდად გააბოროტა ჩემი გული..."

იქვეა უმძიმესი მოგონებები მისწავლებლებზე სექსუალური ძალადობის შესახებ:

"პატარა შევირდებს მოსვენება არა გვქონდა დიდებისგან, დაკეტლინი სასწავლებელში, ესენი ქალების ადგილას გვაყენებდნენ ჩვენ და ვინც კი ცოტათი ლამაზი და სუსტი ხასიათისა იყო, გარყვნილების მორევიმ აცურებდნენ. წრეს გადასული იყო მათი ქცევა, მეტადრე ღამით, როცა დაიძუქვავენ ვირებსავე ასოს და ხან ერთს შევირდს მუშუკერდნენ და ხან მეორეს."

ჩაგვრაზე მოგონებები ხშირია, ახლა რომ ბუნდვს უწოდებენ. ჩაგვრევენ თანატოლებიც და მოზრდილებიც, მასწავლებლებიც. ბავშვებს უწუნებენ გარეგნობას, ქმედებებს, მიდრეკილებებს. გატაცებების გამო დასცინიან. უკვე 20 წლის ასაკში, როცა შიო მღვიმელი თბილისში ჩამოვიდა და ლაღალიანიანიშვილისა და შიო დავითაშვილის დახარებით ადგილი იშოვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, მაშინდელი მდივანი ("რომელსაც ცხვირი მართლა გადღიხულ ვიდელას უჯავდა და ერთხელად სურდითი ჰქონდა გამოჭედობა") მას გარეგნობას უწუნებდა, მოინტელივიგნტო სახე არა აქვსო. "რაც შეეხებოდა სახეს, ძალიან ფურმა დამწიხლა", წერდა ავტორი.

ერთიორგან გველებთან პირველ შეხვედრას იხსენებენ ("ფეხი დავადგი დაკუმშებულ გველს"), ჩიტებზე, მტრედებზე და წეროებზე ნაღერობას, თევზაობას. ერთხელ შიო მღვიმელმა მამას მარია-მობისთვის მარხვაში ჩიტებთან ერთად მოხარშული ჭიჭყინებიც აჭამა:

"დიდი მოყვარული იყო ახალი თევზისა, ალბად სულმა წასძლია და ველარ მოითმინა. ჯერ კი არა მკითხა, როცა შეექცა, მაშინლა ვახსენებდა, თუ როგორ წყალში იყო მოხარშული და რომ მიიღო აშკარა პასუხი, კარგები მომარტყა, რად შემაცდინეო."

ასევე შიო მღვიმელი იხსენებს კოჭის თამაშს, სალაობას. ბავშვობაში მჭადი ჰყვარებია თურქი და ერთ ნატეხში გამტკიცულ თონის პურს კვლიდა, მჭადს "ხილად თუ ვინმე გამოაცხობდა კეცეკში".

იქვეა ლეკების შილდაზე დაცემის ამბავიც და "გალავანში" თავის შეფარება, სადაც ერთი თვე გაატარა უფროს მძასთან და შილდედ გლხებთან ერთად შიო მღვიმელმა. იხსენებს იქაურ მშობილდობილებს, გალავნის ლხინებსა და ოხუნჯობებს, მშვენიერ კახურ ლეღესა და თერთად დამაქრულ ჩურჩხელას, თხილზე, ზღმარტლზე და ნაბლზე სიარულს. სხვა ავტორებთან ჩურჩხელისა და ნაბლის გახსენვაც გვხვდება.

პატარა შიო აღფრთოვანებულია თუ როგორ ეწევა დეკანოზი პაპიროსს, მოსწონს ორ ტოტად რომ უშვებს ბოლს, აკვირდება აბრუნშივით თამბაქოს კოხტად გახვების პროცესს, მოკივებას, მონეგას, ნაფაზებს. ერთხელაც ადგება და თავდაც იმავეს იზამს, ჩუმად, სახლის უკან: "ბოლის შესუნთქვა და ჩემი გულამა დაცემა ერთი იყო. დიდხანს ვეგდე მიწაზე და როდის-როდის ფერწახული წამოვდექი ზეზე და შევედი სახლში ძახილზე".

ბავშვობაში ხეტიალი ჰყვარებია და ამიტომ ხან "სოფელას" ეძახიან, ხან "ფანდურას", მეფანდურესავით დადიანო. იხსენებს, თუ როგორ შემოაკვდა ირემი და შემდეგ როგორ წუხდა ამაზე.

ახლა შიო არავგისპირელიც ვნახით და მისი მოგონება გემით პირველი მოგზაურობის შესახებ.



კაპიტანი გაოცებულია, რომ მასზე არანაირად არ მოქმედებს ზღვის ღელვა და მეზღვაურობასაც კი სთავაზობს მას. ახალგაზრდა მწერალი კი დარდობს, რომ ამ ღელვამ პირიქით, მადა გაუასკვცა და მთელი საგზალი შემოეჭამა. კაპიტანი ხარხარებს და პირველი კლასის სასადილოსკენ ეპატიჟება მათ:

“სადილოს დრო იყო. სასადილოში არავინ იყო. ჰკითხა რატომ არ სადილობენო? უპასუხეს: ზარი დაერეკეთ, მაგრამ არავინ მოდისო... ღმერთი ასადილებსო. - როგორ, თუ ღმერთი?! - აი, წაივით და თვითონ შენ ჰნახავი... გავიარეთ კაიუტების გვერდით და... რა ვნახე?! მომაკვდავებისავით უსირცხვილოდ ქალი თუ კაცი ერთმანეთს არწყევდნენ... კვნესა... გმინვა... წყევლა... ერთმანეთში ირეოდა”.

შემდეგ სადილსაც აღწერს ავტორი, მიმტანების ოსტატობას, გემის რყევის მიუხედავად წვეთიც რომ არ დაღვრიათ წვნიანიდან. ბოლოს კი დასძენს: “პირველმა მგზავრობამ უფრო მეტი გამოვიღებო და ცოდნა მომცა, ვიდრე სემინარიამი ექვსი წლის სწავლამ”-ო.

გვაქვს ღრმა ბავშვობის მოგონებებიც, როცა 1 ან 3 წლის ასაკის ამბებს იხსენებენ. ამ მხრივ თედო სახოკია გამორჩეული:

“ერთი წლისა ვყოფილვარ. ერთხელ კერის პირას აკვანში მარტო დავრჩენილვარ. შემოსულა დედა-ლორი და სხვა რომ ვერაფერი უპოვნია საბილი, დინჯი ახოუკრავს აკენისათვის, რომ გაეგო - შივ რა სულიერი იწვა. არტახები შეჰხსნოდა და თვითონ აკვანი შივ ცეცხლში ჩავარდნილა. ჩემს ბედზე ამ დროს შემოსულან და ვულგახებითლი ყრმა ნაადრევ ცეცხლში დაწვას ვადავურჩენივართ. დამწვოდა მხოლოდ მარჯვენა ხელის მაჯა, რომელსაც, ამ ინციდენტის მოსაგონებლად და ვასათვალისწინებლად დღესაც ატყვიან ძველებურ კოპიტის სიფართე ნაწიის კვალი.”

თედო სახოკია იხსენებს გემ “მახვილს”, პატარა გემ “ბაბუშკას”, რომელიც რიონში დაცურავდა. დღის სოფელს, ხეტას, უღაბურ ტყეში ჩადგმულ სახლს, 600-700 წლის მუხებშით გარშემორტყმულს. იქაურ ნადირს: გარეულ ღორს, მელიას, დათვს, მგელს, ტურას და აუარებელ ფრინველს, განსაკუთრებით კი ხოხობს.

თედო სახოკიასთან ვხვდებით შიმშილზე მოგონებებსაც, მარტილის მონასტერში სწავლისას:

“გვმოიდა კლასში, გვმოიდა ბინებზე. საჭმლით გაძლომა გვეღირსებოდა მხოლოდ მაშინ, როცა საშობაოთ, სააღდგომოთ და საზაფხულო არდადეგებზე შინ წამოგვიყვანდნენ ან და შე-

მოდგომაზე ჩვენ-ჩვენი მამები ქორწილებში მოგროვოდ ხორცს ან ნაკურთხეს ტაბლებს სასოვავებს ჩამოგვიტანდნენ მარტილში. ისიც თითოეულს ჩვენგანს ერის დღეს თუ გვეღირსებოდა გაძლომა, რათვან ჩამოტანილის სურსათის შეჭმაში აკტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც ჩვენი შიმშილისგან დაყმენილი ამხანაგი “ღიაკვნები”, ისე მასპინძლის ოჯახის წევრები, რომლებიც ჩვენზე უარესად იყვნენ დამწყულები”.

ხშირად იპარავდნენ კიდევ: გაზაფხულზე და ზაფხულში ხილს, შემოდგომაზე სიმინდის ტაროსა და ყურძენს. იპარავდნენ ქათამს, ინდაურს, გოჭს. ყველა ქურდობდა, ყველგან:

“ქურდობას იმდენი მომხრე და მიმდევარი ჰყავდა, რომ ბოლოსა და ბოლოს სირცხვილად, აუგად არ ითვლებოდა. პირიქით, მარჯვე, მოხერხებულ ქურდ-ღიაკვანს, გარდა იმისა, რომ სხვებთან შედარებით კარგათა სცხოვრობდა, მოწაფეთა თვალში ერთგვარი პატივისცემა და რიდი ჰქონდა. თვითონ სიტყვა ღიაკვანი ქურდობის სინონიმად იყო გადატყეული”

შემოდგომის და ზამთრის სუსხიან დამებში კამეჩებთან თებება დავით გაბრუაშვილი-ვეცილი. ბავშვი კამეჩის თბილი ზურგით იგრილებენ ყინვას. “მასზე განაოლით” ხან ერთ მხარეს ითბობს, ხან მეორეს. მასვე აქვს აღწერილი 1878 წლის კალიის შემოსევა საქართველოზე: დახოცილი კალიების სიმყრალე, მისით გამონეწეული დაავადებები. თუმცა “კალიამ მალე ფრთები შეისხა და დასავლეთით გაფრინდა. ეს ისე მრავალი იყო, რომ მხურვალე მზის ოქროს ფრად დაფერილი დედამიწა დაბნელდა, დღე ღამით იქცა.”

ბავშვებს, როგორც ზემოთაც ვთქვი, ხშირად უნევთ გადაადგილება, მშობლები საშუალო ადგილს იცვლიან და ისინიც უცხო მხარეში მიემგზავრებიან უცხო მოგონებების სატვიფრად. დიმიტრი გულის ოჯახი რუსეთ-თურქეთის ომის დროს 1877 წელს ტრაპიზონშიც კი გადაიხვენა.

ცელქობა ჩვეულებრივი ამბავია. მაგალითად, ვარლამ რუხაძე მეტად ცელქი და მოუსვენარი ყოფილა, დილიდან საღამომდე დღიეუბში თევზაობდა, მახებზე ავებდა ყანებში ან თოფით ხელში ტყეებში დაძვრებოდა. ერთხელ ეს თოფი გავარდნია და საფანტს დედის კაბის კალთაში აუვლია. დედა უნებლად გადარჩენილა, მაგრამ ამ მოვლენას მასზე იმდენად უმოქმედია, რომ იმის შემდეგ საერთოდ არ გაჰკარებია თოფს.

ნატალია აზიანი-დონდაროვა იხსენებს, “საშინელი ნერვიული, მოუსვენარი და აბეზარი ვიყავ პატარაობიდანვე”-ო. ამიტომ მშობლები თურმე მთელი ზაფხული თავიდან იშორებდნენ და ხოვ-

<sup>1</sup> მარტილის სასულიერო სემინარიამი მოსწავლეებს წინასწარ უკვე “ღიაკვნებს” უწოდებდნენ.

<sup>2</sup> “შეინძელი”, ვისთანაც ბინად იდგნენ ეს პატარა “ღიაკვნები”.

ლუმი, დეიდასთან აგზავნიდნენ, სადაც იქ თავისი ბანდა ჰყავდა და ანადგურებდნენ და აოხრებდნენ მეზობლის ბაღ-ვენახებს და ყანეში ახლადშემოსულ ძაროს. "გეი-ნატაშას" ეძახდნენ თურმე.

ძალზე ანცი და უსმენარი იყო არისტო ჭუმბაძე, ცელქი და მოუსვენარი. ჭირვეულობდა სანდრო შანშიაშვილიც, ტახტზე თოკითაც აბამდნენ თურმე. ერთხელ დედას ჩიხრთმით სასვე ქვაბი გადმოუდგამს, ის კი კაბაზე ჩამოჰკიდებია, კალთას ეგარებოდა, "ძეარაბუსა" ეთამამებოდა. პატარა შემოტრიალებულა და ქვაბში ჩაუყვია ფეხი: "ეხლაც მეტყობა მისგან ზიანი" - წერს სანდრო შანშიაშვილი. ცელქობის გამო სკოლიდან გაუარცხავთ იოსებ გრიშაშვილიც. დედამისი საყვედურობდა ხოლმე: "შენის ონავრობით ავიმტუტებია მთელი სასწავლებელი"-ო. მაგრამ ის მაინც ცელქობდა, "აუტანლად! გადასარეკად!".

ზოგი განცალკევებული, მარტოსული და განაპირებული ბავშვობაში, საკუთარ თავთან ლაპარაკი უყვარს. მელანქოლიური შემოტევებისას შეიძლება გამოიკეტონ ან სულაც ტყე-ღრეს მისცენ თავი. განაპირებული, გარიყული ბავშვი ყოფილა მკრამდი გარიყული. თავის უზარმაზარ ეზოში ცალკე სადგომები ჰქონდა თურმე და "მთელი დღეობით" განცალკევებით იყო და თავის თავს ელაპარაკებოდა.

სხვები მარტობაში წიგნების კითხვას ამჯობინებს, ზოგს კი უფროსებთან მეგობრობა ურჩევნიათ და უმცირესებს თავს არ უყადრებენ. თუ მაინცდამაინც გადაეკიდებინ, დაჩაგრავენ და ატირებულეს გააქცევენ.

კონსტანტინე კაპანელზე უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია ზღვას და ნავსადგურს. ფოთში სწავლისას ვაკეეთილების შემდეგ ყოველთვის მიდიოდა თურმე სანაპიროზე, ეცნობოდა ნავსადგურსა და გემებს. გამგზავრების, მოგზაურობის სურვილიც პირველად ამ დროს გაუჩნდა.

კონსტანტინე გამასახურდია მშობლიური მდინარე ზანათი ისევეს ავტობიოგრაფიას, ნავის, თევზისა და კიბორჩხალების ჭერას ისხენებს, "მისტიური შიშით მავსებად მისი მოშავო ტალღების დღეღუნი შემინდებისას". ისხენებს მგლებსა და ტურების სტუმრობასაც, ცხენის ურდებსაც, უიარაღო მამამისს რომ დაესხნენ თავს, რომელიც წაღდით ხელში გაჰკიდებია ქურდებს, "ეს იყო პირველი ვაკეეთილი უშიშრობისა, რომელიც მივიღე ცხოვრებაში".

კოლაუ ნადირაძე ყველაზე ენაწყლიანია ბავშვობის მოგონებების აღწერაში. 3 წლიდან უკვე ახსოვს თავისი თავი, ოლონდ სიზმრად. მაშინ ამბროლაურში ცხოვრობდნენ. 4 წლიდან კი იგი ყველაფერს ისხენებს. პირველი ვაზაფხული, სეპალებით სასვე ეზო, მინა გიორგობიანის მამული, ხალვა თეთრი თუნუქის ყუთებში, ორი უზარმაზარი ცაცხვი, "ფუტკრებით ავფუტუნებული":

"პატარა ეკლესია, მაღალი კოშკი, წყარო იშ-

ვითი, ღარიდან უხვი ნაკადით მომდინარე და მოჩუჩუხუხე და პატარა, ანკარა მდინარე კრიხულა, რომელიც რიონს ერთვის. ასეთი დარჩა ჩემთვის მინა გეორგობიანის კარ-მიდამო, რომელიც შემდეგ, მის როგორც ამბროლაური, მე არასოდეს აღბრინებავს და არც მსურს ვნახო, რომ ჩემში უცვლელად დარჩეს, სიკვდილი დღემდე, ეს, ჩემთვის უტკბესი ზღაპარი".

კოლაუ ნადირაძე ისხენებს წეროებს ყვირილს, მათ კუთხურ მწკრივებს ცაზე, ლურსმული დამწერლობასავით.

შემდეგ მისი ოჯახი გურიაში გადადის საცხოვრებლად და გურისს მოგონებების ჯერი დგება: მდინარე სუფსა, ანკესების ღორჯოების ჭერა, "ძეუნის ჩრდილებში მამასთან ერთად ცურვის სწავლა", მწყრები და ტყის ქათმები, მათი მძაფრი სურნელი.

ისიც ძალიან ცელქი და მოუსვენარი იყო, რა თქმა უნდა. 7 წლისა ცელქობის დროს ქვის კიბეზე დაეცა და ცხვირი გაიტეხა. ტვინის ანთიგისგან მამამ გადაარჩინა. ოპერაცია გაუკეთეს, "მაგრამ სახე დამახინჯებული დარჩა"-ო.

მშობლიურ სოფელ საჩინოში შვილედ-"კოდალით" შეიარაღებული შაშველს დასდევს, ლელუმი ცხრაფეხებს იჭერს, საღამოობით შუაღველთან სიმინდის ტაროს და კვასს ნვავენ, ჰყვებიან ზღაპრებს ქაჯებზე, ცხრათავიან დვეგებზე, მეფეებზე ზღვებზე და მზეთუნახავებზე:

"წივითი იწოლა ცეცხლით ნეღლი ჯირკი, რომლის ერთი თავიდან შუშხუნით წვეთავდა თეთრი, ადულეული ქაფი.

მაგონდება ქვათეთროვანზე უფროსებთან ერთად, საკურდღლეთ წასვლა; ავალივილებში გამგზავრება და მდინარე სულორში სასროლი ბადით კალმანების ჭერა; მამა საუცხოვოდ ისროდა ბადეს. მოუთმენლად მოველოდი ყურძნის შეთვალებას და ლეღვების დამწიფებას".

აქვეა ჭერში შენახული მშვილდ-ისარი, აკიდობები, ნეღლი ჩურჩხულა, ტყბილი კვერები, ცხენით მოგზაურობა, რიონის პორანი.

კოლაუ ნადირაძის ოჯახი ზაფხულს ხშირად ატარებდა ლეჩხუმში და ისიც ისხენებს კურდღელზე ნადირობისას როგორ გადადიოდნენ ლიალამიდან უცხერში, სადაც მისი ნათესავები, ჩიქვანები ცხოვრობდნენ. არჩევ ნადირობა ძმებთან, ვიქტორს და გიორგს ჩაჩხინავებთან ერთად, ლაჯახურის ხეობით ლეხერაში ასვლა.

მისი ავტობიოგრაფია 1947 წელსაა დაწერილი და 53 წლის პოეტი 1905 წლის წლის ამბებსაც ისხენებს, რუსეთ-იაპონიის ომს და რევოლუციას. ახსენდება ზარების განუწყვეტელი ხმა და ქუჩის ბარიკადები, ქუთაისის ბაღში მოკლული რუსი ოფიცერი, ზადეკი, ვისი მკვლეელიც, რუბენ გეორგაძე (გიორგობიანს, გიორგაძეს და ასეთ გვარებს კოლაუ ნადირაძე ყოველთვის ე-თი წერს) 2 წელი მათ

სახლში იმალებოდა, საჩინოში. იხსენებს, როგორ გაიპარნენ რამდენიმე მეგობარი გოჭოურას სასაფლაოზე გამართულ ფარულ კრებაზე, იხსენებს მათ სახლს შეფარებულ რევოლუციონერებს, პორტ-არტურის აღებას, ცუსიმის კატასტროფას, ზეპირად ახსოვს ყველა დამარცხებული რუსი გენერლისა და ადმირალის გვარი და ყველა გამარჯვებული იაპონელი გენერალი: იოაბა, კუროკი, ოკუ და ა.შ.:

*“რევოლუციონერად განწყობილი მოწაფეობა და ხალხი იმეორებდა ამ სახელებს რაღაც ფარული სიამოვნებით, თითქოს შურისძიების გრძნობით გამტკვალული”.*

სხვათა შორის, 6 წლის გოგლა ლეონიძესაც ოჯახის წევრები იაპონიის ომის ამბებს აკითხებდნენ “ცნობის ფურცლიდან”.

1905 წლის მოვლენებს შეეხება გიორგი ლომთათიძის მოგონებაც, ვინაც დილას პროკლამაციების გავრცელების შემდეგ საღამოს ყანას მიაშურა სამუშაოდ და იქ საფანჯარიანი თოვით ფეხში დაჭრა მეზობლის ზოქმა, რომელიც ცნობილი იყო “ბავშვობიდან ხულით ავადმყოფად”. საავადმყოფოში (ბათუმში) მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გადაუყვანიათ. ჭრილობა გართულებია და ექიმ ფილიკინშვილის ფეხის ამპუტაციის ოპერაცია ჩაუტარებია<sup>3</sup>.

ზღვის სიყვარული არ ასვენებს სერგო კლდიაშვილს, რომელიც ბათუმიდან გამოჰყვება: “მოგონება თავზეხელაღებულ მეზღვაურების და დიდი გემების...”. იქ მამამისი მსახურობდა როგორც ვითი. 13 წლის ასაკში ის და მისი ორი მეგობარი შორეულ ქვეყნებში წასვლასაც დააპირებენ, გემით გაპარვა უნდათ. სცადეს კიდეც, ნავით შესცურეს ზღვაში, თუმცა შემდეგ დიდი ღელვა ატყდა და უკან დაბრუნდნენ.

თავის პირველ სიყვარულსაც იხსენებს სერგო კლდიაშვილი, 9 წლის ასაკში. “მიყვარდა ერთხელ”, წერს იგი და იხსენებს დროს, როცა ღმერთს სთხოვდა სიზმარში ენახებინა ის გოგო და ღმერთმა სურვილი ერთხელაც არ შეუსრულა: “*შეიძლება, ამიტომაც იყო, რომ ბავშვობიდან ღმერთი არ მწამდა და ზიარებაზე ვანზრახ მაძლარი მივდიოდი*”.

სერგო კლდიაშვილს ბავშვობაში არ მოსწონს მამის მოთხრობები. ყაზბეგი, ილია და აკაკი ურჩევნი.

სიზმარივით გაიარა ზემოსხენებულმა რევოლუციურმა წელმა 8 წლის დემნა შენგელაიას ბავშვურ გონებაში. ახსოვს: რევოლუციური წითელი მილიცია, პროვოკატორი დამოკესკი, ტერორისტები, მიტიჩნები, ყაზახები, წითელი დროშები, სროლა, ნაძალადევის ტყეს შეხიზნული მომიტინგეები,

ჩირგვეტიდან გამომხტარი ორი დამფრთხალი კურდღელი. ხატებით სვლა ლილოში, გლდანში, ერთმანეთში არყოფილი რევოლუციური და ყაზახური სიმღერები, რომელთან ბავშვები დიდი ხალისით მღეროდნენ. იხსენებს თავის პირველ წიგნს, რომელიც დედაც წაუკითხა, დე ამიჩის “დედა-შვილის თავგადასავალს”. ბერი უტრიაა ამ წიგნზე. თავისი კი პირველად ღელაო აღნიშავილის რომელიღაც წიგნაკი წაუკითხავს: “ამ წიგნმა მომზამლა მე”.

გიორგი ლეონიძის ერთ-ერთი პირველი მოგონება ილიას მკვლელობა, ვისაც პანაშვიდიდან დაბრუნებული დედა უყვება, რომ “ილიას გახვრეტილ შუბლზე, ნატყვიარზე, მუხის ფოთოლი აფენიაო”.

არწონელი (ალექსანდრე ბურდილაძე, დ. 1901) იხსენებს როგორ ჩააგდო თონეში საყვარელი ცინდალი, “ლაძაზი და სანდომიანი”:

*“თორენ ვახურებული ყოფილიყო: ბიკოლაჩემს ის-ის იყო პურები ამოეყარა და სახურავის გადაფარება დაიწყო. ჩემი საბრალო ცინდალი სულმოთად ვატრუსული ამოიყვანეს თორიოდა. ეს იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი ცოდა. ბევრი ვიტირე თურმე, მაგრამ მკვდარ ვილა ვააცოცხლებდა. ეს სამწუხარო გაკეთილი ჩემს სიცოცხლეში გულიდან ვერ მომიცილებია. ამის შემდეგ არასოდეს ქათამიც არ დამიკლავს, ჩიტის ბუდე არ მომიწნია, ჭიანჭველას რომ ჭიანჭველაა, მისთვის ფეხი არ დამიდგამს. მუდამ ვცდილობდი იმას, რომ კეთილმოქმედებით ვამომესყიდნა ეს უნებლიე დანაშაული. შემიწინდოს უფალმა!”*

იგივე მთხრობელი შემდეგ გვერდზე უკვე სახატრელ ჩუსტებს ვეფრება. სიზმარში.

ძალზე ვერცლად იხსენებს ბავშვობას ალიო მირცხულადა. ერთხელ ხობისწყალზე ნავი გადაუბრუნდათ თურემ მას და მამამისს და 500 ფუთამდე სიმინდი წყალში ჩაგვიცივიდაო<sup>4</sup>. ძლიერი ოჯახი ყოფილა, ეს დანაკარგი საერთოდ არ დასტყობია, სამაგიეროდ იმ წელს ნავის გადაბრუნების ადგილას უმარავი თევზი გაჩენილა და დიდი თევზობა გაჩაღებულა. ამაზე სოფლის მეღექსეს, ეფრემ კაკულის ლექსიც გამოუთქვამს:

*“ნეტავი, დამაჭრინა ხის მოვრეხილი კავებით ჩვენი ანდრიას სიმინდით ვასუქებული ღლავეები”.*

ლექსი მეგრულად ყოფილა დაწერილი და ალიო მირცხულავას თავისი გადმოქართულიებული ვერსია მოჰყავს ტექსტში.

იგი იხსენებს ყულევიდან ხობისწყალში შემოსულ აფრიან სანდლებს, რომელთა გამოჩენა ძალბან ართობდა და ახარებდა სოფლის ბავშვებს:

3 შესაძლოა ზოგისთვის საინტერესო იყოს, გიორგი ლომთათიძეს 1936 წელს სამხარეთმცოდნეო საზოგადოების დაგეგმვით მასალები უგროვებია ძველ ქართულ ფიზკულტურაზე.  
 4 ზემოსხენის დაუჯერებელია ეს რთოდნობა, რადგან 8 ტონა სიმინდზეა საუბარი, თუმცა დაზუსტებით შემიძლია გითხრა, რომ ეს ციფრი სიტყვებით წერია, “ზუთას ფუთამდე”.

“სანდალი რამდენიმე დღით გაჩერდებოდა ხობისპირად, ეკლესიის წინ, წიაღაჭრებდა და გედვიით კვლავ აფრას გაშლიდა და ნელ-ნელა გაუდგებოდა გზას აღმა, ხობისაკენ”.

აღიო მირცხულავას შინაურობაში “დურჩეს” ეძახდნენ თურმე, რაც თერთთავას ნიშნავს. რა თქმა უნდა, ისიც ძალიან ანცი და დაუდევარი ხასიათისაა. საყვარელი გასართობი რიკტაფელა და ბურთაობაა. ბურთის თავად აკეთებდა ბენვისგან. დაოსტატებული იყო მშვილდისა და “თახვანტიას” გათლაში. “თახვანტია” ლერწმის იარაღი იყო, რითაც რკოს ისროდნენ “ზუმპის საშვალეებით”: “ზოგიერთ თახვანტიას ნამდვილი რევოლვერის ხმა ჰქონდა და მისგან გასროლილი “ტყვია” კამეჩსაც კი ააფუცხებდა”.

უხმო იარაღებიდან პოეტი შურდულს ასახელებს, მაგრამ იგი იშვიათი იყო, რადგან რეზინი არ იშოვებოდა.

ზამთარში ეზოს უკან რაგვის დაგება უყვარდა, ბელურებს ტყეუებდა. ზაფხული კი რა თქმა უნდა ხობისწყალთან იყო დაკავშირებული. ბავშვები გაღმა-გამოღმა ვაცურვაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ოღონდ ჩაყვინთვა ეზარებოდა, ოდნავი შიში ჰქონდა წყლისა. ერთხელ ჩაყვინთვისას თურმე ნაპირზე მდგომ ტივეტქემ მოექცა და ბავშვებმა ძლივს გამოათრიეს, “წყლით ვაგუდული და გონდაკარგული”. ეს შიში ახლაც დამყვავი, წერს ავტორი და ზღვაშიც შორს შესვლას ვერ ბედავს, მიუხედავად იმისა, რომ კარგი ცურვა იცის.

იხსენებს აბასთუმნის (სოფ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში) გზას და ე.წ. “ჩამქრალ ვულკანს”, ღრმულს, სადაც ერთხელ თოკით ჩაუშვიათ კატა და უკან მხოლოდ გადაშვარი თოკი ამოვლიათ. არ ჰყვარებოდა ეს ადგილი მაშინაა ალიო მირცხულავას და როცა მიუახლოვდებოდნენ აქაურობას, გზას ყვირილით გაირბენდა ხოლმე.

ჩიტებზე ნადირობა და თევზაობა მასაც უყვარდა სხვა მოზარდებივით, ცხენზე შეჯდომა კი თავიდან უჭირდა. უზანგში მარჯვენა ფეხს უყრიდა და ცხენს პირუკუ მოექცეოდა ხოლმე, მაგრამ მალე გაიწავა.

აღიო მირცხულავა იხსენებს თეოფილე კვალანდარისას თხას, “ზიბლიური წვერით”, რომელიც მონველის დროს ყოველთვის სახლის სახურავზე ადიოდა და იქიდან დიდი ვაი-ვაგაღახით ჩამოჰყავდათ.

ცელიყო ფოფილა შალვა რადიანიც, თუმცა მისი ერთი მოგონება უფრო ცელქობამდელ ასაკს უკავშირდება. როცა ერთი წლის იყო, გურიას კრილოვის სადამსჯელო რაზმი “ესტუმრა”, მისი ოჯახი სოფელ აჭში “ქართველ მაჰმადიანებთან” გაქცეულა. მდინარეზე გადასვლისას, მამამისი ნაქცეულია და ბავშვი ხელიდან გაეპარინა. წყალს ნაუღია, მაგრამ გადავირჩენიათ. იხსენებს 1918 წელს “თათრების” შემოსვლასაც ოზურგეთში, მთავრობის დარიგებულ ქვასავით ნამცხვარს, ჭიებიანს.

როგორც ერთ-ერთი წინა თავში დავსწერე, ავტობიოგრაფიებში ხშირია და-ძმების გარდაცვალება, ამიტომ ყურს ხვდება და გასაგებიცაა, როცა ერთ-ერთ ტექსტში (სიმონ წვერავას ავტობიოგრაფიაში) ობლად დარჩენილი და-ძმის შესახებ ვკითხულობთ: “შვიდივე ცოცხლები ვართ”.

სამუელ მოძღვრისთვის ერთი მოგონება ძალიან საინტერესო. მოხრობელი რვა წლისაა, საქართველოში საბჭოთა არმია შემოვიდა, მიმდინარეობს ქვეყნის ანექსია, შორიდან ისმის ბათქა-ბუთქის ხმა, სამტრედიიდან მომავალი ნითელ ჯარისკაცს კი დედამისი (“წყესიერი მანდილოსანი, მალღონიჭიერი და ინტერნაციონალური სულის ადამიანი”) პურს ანოდებს და ხონისკენ მიმავალ გზას ასწავლობს.

მასიამ გარიყული ოჯახურ ამბებს იხსენებს, თავის დედას და ბიძას, ვისთანაც სტუმრად მათი მეგობარი მაგალობელი მოდიოდნენ და “ზამთრის გრძელ ღამეებს ათენებდნენ, ბუხარში ცეცხლს აძლიერებდნენ და მღეროდნენ. ბებია შემოგუზავნიდით ცხელ ხაჭაპურებს, შემწვარ გოგრებს, ვაშლს, კომშს და წითელ ღვინოს”.

დავით კასრადე თავის უფროს ძმებს და მათ კლასელებს, ლადო კეცხოველს და სოსო ჯულაშვილს იხსენებს, დიდად დაკვირვებულ და კვიბიტ ბიჭს. ვინმეს რომ იქნებოდა, მაშინვე ზედმეტსახელს მოუგონებდა თურმე. დავით კასრადის ერთი ცხვირს ეძახდა, მეორეს ფოფრუა სენ-ილერს. ერთხელ უკითხავს დავითს მომავალი სტალინისთვის, თუ რას ნიშნავდა ფოფრუა სენ-ილერი, რაზეც მას უპასუხია: “ეს ფრანგულ ენაზე ნიშნავს სანდრო ილარიონის-ძე კასრადეს”. შემდეგ გვერდებზე ავტორი ლენინთან შეხვედრასაც აღწერს, 10-იანი წლების დასაწყისში, სადაც იგი ძალიან აქებს კობა სტალინს.

ერთი საყურადღებო ისტორია გვხვდება ჩვენს ავტობიოგრაფიებში, გიორგი ქუჩიშვილის ტყევიების ამბავი და მის გარეშე არ გამოვა მოგონებების თავი, სრული არ იქნება. ეს რეოლოგის ტყევიანაცნობ ბიჭს უჩუქებია ქუჩიშვილისთვის და მას ერთხელაც ამ ტყევიების გადნობა გადაუნყვეტია ოთახში გაჩაღებულ მაყაღში. წვეს ლოგინში, იქვე ცეცხლი გივჩენებს, დედა სამუშაოდან წასული, არც ძმები არიან სახლში. მოკლედ სრული თავისუფლება აქვს და გადაწყვეტს ტყევიის გადნობას. იღებს “პატრონას” და სოკოსავით დასავამს ნაკვერჩხალზე, იმ იმედით, რომ “ტყვია ჩადნებოდა თავის მასრაში, გადმოვევრიდი იქიდან და ვნახავდი შიგთი მასრაში, თუ რა მსახლა იყო კიდე, ჩაჭედო ტყევიის გარდა”. ხომ ხვდებით რაც მოხდებოდა?:

“ტახტიდან გადმოყუდებული დავყურებდი ცეცხლზე დასმულ “პატრონას”. თავი ავწიე თუ არა, ბუჰ-ბუ, იფეთქ ტყვიამ და ჭერი გავვრტყა. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ ნალვერდლები ზედ ლოგინზე გადმომყარა. გულვა-



ხეთილი წამოვარდი და საცვლების ამარა ვე-  
ცი კარებს. მეზობლები რომ არ მომშველებოდ-  
ნენ, იქაურობა მთლიანად გადაიბუგებოდა. შემ-  
თხვევით თავი მაღლა რომ არ ამელო, ტყვია  
შიგ შუბლში მომხვდებოდა, ისე პირდაპირ დაე-  
ყურებდი მას."

ძალზე საყურადღებოა სანდრო შანშიაშვილის  
დაკვირვება ქალაქზე და ქალაქელებზე, ქალაქურ  
ცხოვრებაზე. თბილისში პირველად ჩამოსულს სრუ-  
ლიად უცხო სამყარო დახვდა. იგი 12 წლის ასაკში  
საყვარელმა მასწავლებელმა, გიგო კანდელაკმა ჩა-  
მოიყვანა ("შემდეგ მან თავი მოიკლა. ვგონებ ცო-  
ლის შერთვაში მოატყუეს" ს.შ.). რატომღაც ეჩვე-  
ნებოდა, რომ ყველა კუბოვან იყო წამომდგარი, გა-  
ფითრებული, უსისხლო. მათი ქართულიც არ ესმო-  
და, ორ-სამჯერ უნდა გაემორებინათ ნათქვამი,  
რომ რამე გაეგო:

"მეჩვენებოდა აგრეთვე, რომ ყველა ლაბა-  
რაკობა ჩემი, თითქოს ჩურჩულებდნენ. რა-  
ღაცეებზე იკლაკნებოდნენ, თავზაბობდნენ  
და მე ეს ბუნებიდან მოგლეჯილს, მეუცნაურე-  
ბოდა. ვასანთლულსა და დაკრიბებულ იატაკ-  
ზე ფეხი მისხლტებოდა და ჯავრი მომიდოდა,  
როდესაც უნებურად წაივქცეოდი და ჩემზე იცი-  
ნოდნენ."

არიან ისეთებიც, ვინც ბავშვობიდან ინიშნავდა  
სოფელში უზუცესებისგან თუ ტილ-ამხანაგებისგან  
გაკონილ ამბებს და შემდეგ ნაწერებში იყენებდა.

გიორგი ლეონიძე იხსენებს პოეზიის დიდას, ზუ-  
ბალოვის სახალხო სახლში (დღევანდელ მარჯანიშ-  
ვილის თეატრში), 1913 წელს, როცა აკაკიმ "მთან-  
მინდა" წამოიწყო სცენიდან და რამდენიმეჯერ გა-  
ჩერდა, სტრიქონები ავიწყებოდა. შემდეგ ვაჟ-  
ფშაველასაც ნაუკითხავს თავისი ლექსები. ასევე  
გამოსულან ია ეკალაძე, ნარკანი (ნიკოლოზ კურ-  
დელაშვილი), სანდრო შანშიაშვილი და იოსებ გრი-  
შაშვილი. სანდრო შანშიაშვილის პოეზიას იგი ეთავ-  
ანებოდა და შერის ხიდზეც გააცოლა საყვარელი  
პუნტი. ლეონიძე იხსენებს ასევე თვამანინა-  
საც, ესენინს (მასთან კონფლიქტიც უქონია), მაია-  
კოესკის, იანკა კუპალას.

არ მინდა ბორის ჩხვიძის (დ. 1904) ერთი მოგო-  
ნება გამომჩივს. როცა 5 წლის ასაკში დედა გარდა-  
ეცვალა, იმ დღიდან სულ მამასთან იყო. ზემოთაც  
ვახსენე, რომ 12 წელი მამას არ მოსცილებია გვერ-  
დიდან, თუმცა ამ დროის მანძილზე მისგან თორმე-  
ტი სიტყვაც კი არ გაუგია. ერთხელ წითელა ბატო-  
ნერი დაემართა და მამამ არ იცოდა როგორ დალა-  
პარებებოდა, როგორ ენუგუგებინა ან ესაძმოვნებინ-  
ა და სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ზაქი მიუყვან-  
ა. ეს ზაქი დიდი გაიზარდა, კარგად ინახავდნენ,  
შეჰოჯდებოდა ქედზე, ჩაავლებდა რქებში ხელებს  
და საჭიდად მიჰყავდა.

## ავტოფიქცია და სელფის დაბადება

გადაწყვიტე მორიგი თეორიული კვეთა ამ ად-  
გილას შემესრულებინა, რადგან ეს სახე ბორის ჩხე-  
იძის ავტობიოგრაფიიდან, სადაც ბიჭი კამეჩს ქედ-  
ზე მოქცევია და ერთად საბრძოლველად მიდიან, არ  
უნდა იყოს ურიგო ხიდი ავტოფიქციაზე სასაუბრად.  
შესაძლოა ბორის ჩხვიძის ავტობიოგრაფია კარგად  
ვერ ეთანხმებოდეს სერჟ დუბროვსკის ფსიქოანა-  
ლიტიკურ თხრობას (ან საერთოდ ვერ ეთანხმებო-  
დეს), მაგრამ ცნება ავტოფიქციის წარმოსადგენად  
არაა ცუდი ეს სახე. დარწმუნებული ვიყავდა რა-  
ღაცა მითოლოგიური დაუდგება თვალწინ, ნიქარა  
და ა.შ. და მიუხედავად იმისა, რომ ავტოფიქცია უფ-  
რო დემითოლოგიზაციად აღიქმებოდა წლების მან-  
ძილზე, იგი მაინც გამონაგონის ფარგლებში რჩება.

ავტოფიქცია გამონაგონიცაა და ავტობიოგრა-  
ფიაც და ჟანრის თვალსაზრისით ერთგვარ პარა-  
დოქსს წარმოადგენს. ნეოლოგიზმი სერჟ დუბროვ-  
სკის (1928-2017) ეკუთვნის და განმარტებულია, რო-  
გორც "შაკარად რეალური მოვლენებისა და ფაქ-  
ტების გამოგონება; გნებავთ - ავტოფიქცია". ასეთ  
განმარტებაში დუბროვსკისთვის არანაირი წინააღ-  
მდეგობა არ არსებობდა, რადგან ავტოფიქცია მჭიდ-  
როდ იყო დაკავშირებული მის პოეტუკასთან, ფსი-  
ქოანალიზიდან განვითარებულ ეგზისტენციალურ  
თვითპრეზენტაციასთან, საკუთარ თავზე წერას-  
თან. ტერმინი "ფიქცია" აქ "გამონაგონს" კი არ უკავ-  
შირდება, "გამონაგონს" ამ სიტყვის კლასიკური გა-  
გებით, არამედ ამით იგი წინასწარ დაგვემოდ სუბი-  
ექტურობას გაუარბის, ერთგვარ ავტობიოგრაფიულ  
მოცემულობას. დუბროვსკის ტექსტები რომანები,  
რომელიც ავტორის რეალურ ბიოგრაფიულ (მწერ-  
ლურ) გამოცდილებას გადმოგვცემს და ეს ავტორი  
მტკიცებულად აცნობიერებს, რომ მისი საკუთარი  
თავი მიუწვდომელია და ამიტომ მიმართავს fils des  
mots-ს, სიტყვათა ქსელს, სიტყვათა ძაფებს, სადაც  
ეს "მე" ხორციელდება.

ზოგიერთი თეორეტიკოსის აზრით ავტოფიქ-  
ცია შეიძლება ეწოდოს ნებისმიერ ტექსტს, სადაც  
ავტორი და პროტაგონისტი ერთი და იგივე ადამიან-  
ია. შესაძლოა მარტივად უფერს ეს ახსნა, თუმცა  
დროთა განმავლობაში ნელ-ნელა გართულდა ცნე-  
ბა. ფრანგების ხელში, მითუმეტეს ბარტის ავტო-  
რის სიკვდილის შემდეგ გაჩენილ კონცეფციაში ყვე-  
ლაფერი დალაგებულად ვერ იქნება.

ავტოფიქციაზე საუბრისას ხშირად იხსენებენ  
დანტეს, გოეთეს, დიურასს, უელბეკს, სულ ახლა-  
ხან ქართულად ითარგმნა (თარგმნა მაია ფანჯიკი-  
ძემ) მაც ფრანკის ავტოფიქცია "მონტკოცი", ასევე  
იმრე კარტუსის "უბედობა". კიდევ ბევრი ნაწარმო-  
ების დასტავლება შეიძლება. ცნებაში ყოველდღიუ-  
რობაშიც შეაღწია და ლექსიკონებშიც მოხვდა.  
Larousse-ში ვკითხულობთ: "ავტოფიქცია - ავტო-  
ბიოგრაფია, რომელმაც ნარატიული ფორმები მხატ-  
ვრული ლიტერატურიდან ისესხა". Le Robert: "თხრო-

ბა, სადაც გამოწვევები და ავტობიოგრაფია ერთმანეთში ირევა...".

დუბროვსკისთან სიტყვების თამაშიც გვხვდება, "autofiction", "autofiction" (ავტობიოფიქციონი). მასთან პირველი პირის მთხრობელი თვითნაწილობისა და იქცევა, ხოლო ფსიქოანალიზის სხვაგვარი ენისა და სუბიექტურობის გადაჯაჭვულობას გვაჩვენებს, ეს კი უმნიშვნელოვანესია ავტობიოფიქციონალიზის განსაზღვრად. ამ შემთხვევაში მშობლიური და უცხო ენის მონაცვლეობა განსაკუთრებულ როლს თამაშობს. ბილინგვიზში, უცხო ენიდან მშობლიურზე გადმორთვა და ა.შ.

ამ თემაზე საუბრისას ყოველთვის ხაზს უსვამენ, რომ სუბიექტურობა და ცნობიერება ენასთანაა კავშირში და ამის განცდა მწერალსაც შეუძლია და ფსიქოანალიტიკოსსაც, ამიტომ დუბროვსკისთვის ლექსისეული პაქტი მნიშვნელოვანი აღარაა, მწერალსა და მკითხველის შეთანხმება ტექსტის ნამდვილობის თუ მისი გამოწვევის შესახებ აზრს კარგავს. მთავარია ენის სიმბოლური ფუნქცია, გამოცდილების სიტყვებად ქცევა, რის შედეგადაც რეფერენციული, რეალური ფაქტების სიტყვებად, შესაბამისად კი ფიქციად გარდაქმნა.

მოკლედ, დუბროვსკისთვის ავტობიოფიქცია პარადოქსი არაა, როგორც ზემოთ აღინიშნა, არამედ ენისა და სუბიექტურობის ფაქტიური ურთიერთობა, წერა, სადაც მხოლოდ საკუთარი თავის აღნიშვნა შესაძლებელი. გარკვეული თვითნაწილობის შემდეგ იგი თავის კვალს ტოვებს, რომელიც, შეიძლება ითქვას, ფაბრიკაციაა, მთლიანად შეთხზულია, მაგრამ ამავე დროს ყველაზე ნამდვილი და სანდოა. ერთი სიტყვით, ფაქტები ფიქციად იქცევა.

ასევე ავტორს არ შეუძლია კლასიკური ავტობიოგრაფია დაწეროს, აირეკლოს თავი, რადგან იგი ვერ მოიხვედრება თავს, არ აქვს მასზე წვდომა, ამიტომ ამჯობინებს რომანის ფორმით, ავტობიოფიქციით მოვეს თავისი ამბავი. სწორედ მოუხელთებლობის, ტრავმების, აუხსნელი მოვლენების გამოა, რომ საქმეში გამოწვევანი ერთობა, ნამდვილი, რეალური გამოწვევა. დუბროვსკი წერს, რომ ხშირად ისეთ სიტუაციაში ვვარდებით, როცა დანგრეული ცხოვრება, დიდი განსაცდელი ლიტერატურაში შეიძლება დიდ წარმატებად იქცეს.

ამასთან დაკავშირებით ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ერთს დავიმორწმნებ, იმრე კერტისის "უბედობას", სადაც იგი 1944 წლის ამბავს გვიყვება, როცა 14 წლისამ ჯერ უშუიციში, შემდეგ კი ბუხენვალდში, ურთულეს პირობებში გამოიარა. იგი მძიმედ იყო ავად და ავტორი და პროტაგონისტი ასეთ რამეს ამბობს:

"რა გაეწყოა, უნდა ვაღიარო: ზოგიერთ რამეს ახსნას ალბათ ვერასდროს მოუძებნი; და ვფიქრობ, არა მარტო მე; როცა ადამიანი მოვლენებს წინასწარ განსაზღვრული პოზიციიდან უყურებ, სურათის აღქმას წესებისა და გონების მეშვეობით ცდილობ, ერთი სიტყვით, საერთო ცხოვრე-

ბისა და ბუნებრივი კანონზომიერების პოზიციიდან ამოღობარ - ყოველ შემთხვევაში, იმდენად რამდენადაც მე მესმის ეს კანონზომიერება - მათ ახსნას დაახლოებითაც კი ვერ ახერხებ<sup>5</sup>.

მოგვიანებით დაიწყეს ავტობიოფიქციის ფართის განსაზღვრა და ინტერპრეტირებაც და ძირითადად რომ მიმართულება გამოიკვეთა. ერთნი ფიქრობდნენ რომ ესაა ტრანსისტორიული ფენომენი, ერთგვარი ნარატიული პროცესი, სადაც საკუთარი თავის ფიქციონალიზება, ბიოციფიქცია ხდება, მეორეთა აზრით კი (ესენი ძირითადად ავტობიოგრაფიის თეორეტიკოსები არიან) ავტობიოფიქცია პირობული ფენონია და იგი ავტობიოგრაფიული პარადიგმის განსაზღვრას ემსახურება ან სრულიად ახალ ფართს წარმოადგენს. ლექსის აზრითაც ავტობიოფიქცია გარდა მავალი ეტაპია ავტობიოგრაფიულ რომანისა და ავტობიოგრაფიის შორის. მას მიაჩნია, რომ სრულიად შესაძლებელია ბელოტიზაცია და რეფერენციულობის, რეალურის გარჩევა, რის გამოც მას ხშირად აკრიტიკებდნენ. ამ კრიტიკოსებისთვის ავტობიოფიქცია "კლასიკური ავტობიოგრაფიის განსაზღვრა", დაწვრილი ფართისთვის ახალი ძალის მინიჭება, ფართისთვის, რომელსაც კლასიკური კრიტიკა არასერიოზულად უყურებდა.

შესაბამისად, ავტობიოფიქცია დეცენტრალიზებული სუბიექტურობის (ფრიიდი, ლაკანი) კონცეპტუალური კონტექსტში ხვდება და ახალ *ecritures du je*-დ "თვითწერად" ["self-writings"] იქცევა, რომელიც მარტო პრუსტის, ჟან ჟენეს, მიშელ ლევირის შემდეგ გაჩნდა და ძირითადად ტრავმების შესახებ გვიყვება.

ძალზე მნიშვნელოვანია ავტობიოფიქციის ანალიზისას თანამედროვე ტექნოლოგიები, სოციალური მედია და ა.შ. აი სად იხადება ნამდვილი ავტობიოფიქცია. ბოლო ათწლეულის მანძილზე ბევრი განხილავს, თუ როგორ თხზავს თავის თავს. ისტორიკოსმა, სოციოლოგმა და მწერალმა რეგინ რობინმა *Cyberspace* ცნება შემოიტანა, ["Cyberself"], ანუ "კიბერმე", "კიბერთვითება".

ავტობიოფიქციის ეს მედია ასპექტი ბოლო წლებში ძალიან განვითარდა და რაც დრო გადის, სულ უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება წერას. წინა პლანზე გამოდის ვიდეო, ვიდეო. "სელფის" ცნება ამის საუკეთესო მაგალითია, კოვიდის წლებში კი საერთოდ ავტობიოფიქციის ხანდა აქცია თანამედროვეობა. და საერთოდაც, როგორც ადრეც ვთქვი, მე-ს გუფუნი დღეს ყველაფერს ფარავს. უკვე ნებისმიერს შეუძლია თავისი ისტორიის მოყოლა, თუნდაც იმის გაუცნობიერებლად, რა მოხდა სინამდვილეში მის თავს, რამ გამოიწვია ესა თუ ის მოვლენა ან რა შედეგი აქონდა მას. სწორედ ამ გაუცნობიერებლობისას ერთება საქმეში ენა, ტექსტის ქსოვილი, ეს კი უკვე ავტობიოფიქციაა.


ბაბრქილაშვილი შიშველი ნიკოლოზი

5 ანა აბულაშვილის თარგმანი / იმრე კერტისი, უბედობა, თბ. სულაკაურის გამომცემლობა, 2019.

სალმან რუმდი

# ღურჯი აღმოსავლეთი

ინგლისურიდან თარგმნა ბექა მარგველაშვილმა



დღესდღეობით, პაკისტანში, ინტერნეტმომხმარებელთა 60%-ზე მეტი სტუმრობს სხვადასხვა პორნოსაიტს. ინტერნეტთან წვდომა თავისუფლად შესაძლებელი ათასობით ინტერნეტკაფეში მთელი ქვეყნის მასშტაბით, ერთი საათით მოხმარების ღირებულება კი, საშუალოდ, სულ რაღაც 10 ცენტს შეადგენს. 2003 წელს, პაკისტანის ხელისუფლებამ 1,800-ზე მეტი პორნოგრაფიული ხასიათის ვებგვერდი დაბლოკა, ზემოხსენებულის მიზეზად კი "გარყვნილება და ბოროტი ზეგავლენა" დასახელდა. გასაკვირი არაა, რომ მოხმარებელთა უმეტესობას ახალგაზრდა ბიჭები წარმოადგენდნენ. მსგავსი ღონისძიებების ჩატარების სირთულე, უნებლიედ გამოაშკარავა პაკისტანური ტელეკომუნიკაციების ხელმძღვანელმა - ზაჰირ მოჰამად ხანმა, რომელმაც განაცხადა, რომ მსგავსი ვებსაიტები მუდმივად ბლოკირების ობიექტი იქნებოდა, რაც იმის ცალსახა და უტყუარი დასტურია, რომ ახალი პორნოსაიტები ზუსტად იმ სიხშირით იქმნება, რა სიხშირითაც იბლოკება ძველი. შიმშილი შიმშილია, მშვიერი კი აუცილებლად დაპურდება. სულ ახლახან, ფეშავარში (რომელიც ყველაზე კონსერვატორული და თალიბანური ქალაქია პაკისტანში) ამერიკული 70-იანების პარდექორ პორნოს ჩვენება გაიმართა, სახელწოდებით - "ინგლისური კინოსადამი". კინოთეატრის მფლობელი ამტკიცებდა, რომ მისი ჩვენებები პაკისტანელ ახალგაზრდობას "აღ-ქაიდას" მსგავს

ორგანიზაციებში განვერიანების სურვილს უქრობდა. "თუკი ეს კინოთეატრი დაიხურება, მათ გონებაში კვლავაც გაღვივდება ტერორიზმის დაუძლეველი ჟინი" - აცხადებდა იგი. "როდესაც მსგავსი ტიპის ფილმებს უყურებენ, მათში კმაყოფილების შეგრძნება ჩნდება". პორნო მშვიდობისთვის! საინტერესო სლოგანია... თვით უფრონალ "ჰასლერის" დამფუძნებელ ლარი ფლინტსაც კი მოეწონებოდა.

კონსერვატიულ ისლამურ ქვეყნებში პორნოგრაფიასთან ბრძოლის მექანიზმები სულ უფრო და უფრო ძლიერდება და ინტენსიურ ხასიათს იღებს, თუმცა სრულიად უშედეგოდ. ირანში პორნოგრაფია მოლათა ნინაამდგე წამოწყებულ რევოლუციასთან ასოცირდება (პორნო თავისუფლებისთვის! ლარი ფლინტს ეს უკანასკნელი კიდევ უფრო მეტად მოეწონებოდა). ირანის ხელისუფლება რეგულარულად ზღუდავს წვდომას ისეთ ვებგვერდებთან, რომლებიც შეიცავს "პორნოგრაფიას და ანტი-სახელისუფლებო რიტორიკას". 1979 წელს ხომეინიმ ირანის მმართველობა გადაიბარა, ხოლო მისმა სახალხო მსახულეებმა, მათ შორის, 2003 წელს გარდაცვლილმა ხალხალიმ, სხეულით მოვაჭრე უამრავი ქალი გაასამართლა და შემდგომ ჩამოაზრნო. დღეს კი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ "პორნოს დედოფლები" ყველაზე ცნობილ დისიდენტებს წარმოადგენენ და ოპოზიციის უმთავრეს იდეოლოგიურ ფლაგმანად გვევლინებიან. 2002 წელს, ირანულ

პროვინცია ჰაემდანში, რომელიც ულტრამემარ-ჯვენე აქტივიზმის აკვნად მიიჩნევა, მავანმა მოახერხა ისლამური ნიუსების ქსელში შეღწევა და მთელი მოსახლეობისთვის ეჩვენებინა სამი წუთის ხანგრძლივობის პორნოგრაფი, რომლის მწახველებიც შემდგომში ზემოთ ხსენებულს აღწერდნენ, როგორც: “ყველაზე უხამს და მოკისმომგვრელ კადრებს, რაც ოდესმე უნახავთ”. წარმოადგინეთ, რაკალიბრის სიმამაცეს საჭიროებად მსგავსი სატელევიზიო მიმართულებები, რომელიც ირანში სექსუალური რევოლუციის ერთ-ერთ პირველ გაეღვებას წარმოადგენდა. დღესდღეობით, ირანში პორნოგრაფიის გავრცელება არის დანაშაული, რომელიც სიკვდილით ისჯება. მიუხედავად ამისა, არალეგალური პორნოგრაფიის ნიაღვარი არ ჩერდება. ნიუ იორკ თაიმსმა მარტინად აღწერა ისლამისტიზმის წარუტყდელობით გამოწვეული სასოწრკვეთა, რაც კარგად გამოიხატა აიათოლა ხამენეის თანამოაზრის, ერთ-ერთი გაზეთის გამომცემლის, სიტყვებში: “ეს კედლიდან კიბის მოშორებას ჰგავს, იმისთვის, რომ ჩიტო სახურავზე ვერ აფრინდეს”.

ბუნებრივია, ინდოეთი ბევრად უფრო ღია საზოგადოებით გამოირჩევა, ვიდრე ირანი და პაკისტანი, თუმცა სექსუალობა აქაც ტეზორულია. პორნოგრაფია ინდური კინოდუსტრიის მზარდ სექტორს წარმოადგენს. ინდოეთის უამრავ ქალაქში არსებობს კინოთეატრი, სადაც “ზრდასრულებისთვის” განკუთვნილ ფილმებს საიდუმლოდ და, ძირითადად, დილაობით, აჩვენებენ. ახლახან, კულტურულად კონსერვატორების გასაოცრად, ინდური ტენზურის მეთაურმა ნამოაყენა წინადადება ინდური პორნო ფილმების სრულ ლეგალიზაციასთან დაკავშირებით, კინოთეატრებში ღია ჩვენებების ჩათვლით. ამ რადიკალი ჯენტლმენის სახელი ვიჯაი ანანდია, რომელიც ფილმების სერთიფიკაციის ბორდის თავმჯდომარე გახლავთ. BBC-ის ერთ-ერთ სტატია მას აღწერდა, როგორც “საზოგადოებრივი მორალის დაუღალავ დევცელს, რომელიც ყველა რეჟისორს სახურავ, თავიანთი ფილმიდან ამოქვრათ ძალადობისა და სიშიშვლის შემცველი თითოეული კადრი”. მისტერ ანანდმა განაცხადა: “პორნოგრაფიის ჩვენება დაფარულად მიმდინარეობს მთელი ინდოეთის მასშტაბით, ხოლო საუკეთესო ხერხი მსგავსი ხარისხის ფილმების პოპულარიზების შესამცირებლად, მათი ლეგალიზებაა. ფაქტია, რომ ინდოეთში არსებობს მოთხოვნა პორნოგრაფიაზე და ჩვენ ვირუსული ვიდეოების დაუსრულებელ ნიაღვარს ვერ ვაკონტროლებთ. მსგავსი კინოთეატრების მოწყობა გააჩნებს მინოდებას მოთხოვნით სავაზარზე. ამასთან ერთად, ეს მისცემს კინოთეატრებს შესაძლებლობას, კონკურენციაში ჩაებან სატელევიზიური და საკაბელო ტელევიზიების პროვაიდერთან”.

ვაიჯენტიმალა ბალის, ძველი ინდური კინოს დეოფალს, რომელიც ახლა ინდოეთის პარლამენტის წევრია, სჯერა, რომ ინდოეთს აღარ სჭირდება უფრო მეტი “ღიაობა” სექსუალობის თემატიკასთან დაკავშირებით. თუმცა, გამორიცხვით არ არის, რომ ლეგენდარული ქალბატონი ცდებოდეს, რამდენადაც ღია საზოგადოებებში პორნოგრაფია ნაკ-

ლებად მოთხოვნილი პროდუქტია და იაფფასიანი ფილმების წინააღმდეგობის, რევოლუციისა და მშენებლობის სიმბოლოდ ქვეყნის საჭიროებაც აღარ დგება. თუკი რამე ჰქონდათ ზემოთქმულ სიტორიებს საერთო, პირველ რიგში, თითოეული ქვეყნის ანტი-ლიბერალური დოქსის წესრიგი. ბუნებრივია, პორნოგრაფია ყველგან არსებობს, თუმცა ისეთ საზოგადოებებში, სადაც რთულია, გოგომ და ბიჭმა გააკეთოს ის, რისი კნედაც, როგორც წესი, ბიჭს და გოგოს მოსწონთ, ჩნდება დეფიციტი, რომლის დაკმაყოფილების ალტერნატიული გზაც პორნოგრაფიაზე გადის. საკმარისია, სექსუალობაზე დაწესებული სიკვდილით ტაბუს გაქრობა და მასთან ერთად შემცირდება მოთხოვნა პორნოზე.


პორნოგრაფიის მახინჯი ბიძაშვილი - პროსტიტუცია, ნაკლებად განხილვად, თუმცა არანაკლებ რელევანტური თემა ჩაკეტილ საზოგადოებებში. ბომბეიში მცხოვრები ქალების 10%-ზე მეტი ჩართულია სხეულით ვაჭრობაში. კამათურას წითელი შუქების უბანი კი, ინდოეთის პროსტიტუციის მექას წარმოადგენს. ნახეთ მარი ელენ მარკის ფოტოები, რომლებზეც ინდოელი მეძაბეები არიან აღტყდილი, შვიდილით უყურით მირა ნარის ფილმს “სალამი, ბომბეი”. თუმცა საუკეთესო გზა ზემოთ მოყვანილი სტატისტიკის მიზეზებსა და სიზუსტეში დასარწმუნებლად, ინდოეთის ამ უბანში უშუალო სტუმრობაა. გაიხედეთ ნეონით მოკაშკაშე სახლების მიღმა და დაინახავთ ნარჩენების და ბიჭური კარვების ოკეანეს. მაშინვე მიხვდებით, რომ მათგან დასხივებული უკუენით არანაკლებ კამკაშებს, ვიდრე ბორდელზე განთავსებული ნეონის მანათობლები. ამ კარვებში, ძირითადად, ცხოვრობენ ადამიანები, რომელთაც საკუთარი თავის მოვლა არ შეუძლიათ: ძალიან მოხუცები ან ძალიან ახალგაზრდები, ხეიბრები, სნეულები და უშემეცრები-ქმრები, ქალიშვილები, ბიძაშვილები, ბებიები და ჩვილი ბავშვები, რომლებიც ქალის წიაღით ნაშთენი ფულით გამოკვებას ელიან. “პორნო კეთილდღეობისთვის!” - კიდევ ერთი აბურავია დაიბადა ისეთი საზოგადოების ფუნდამენტზე, სადაც ყველა სუსტისა და გაჭირვებულის არსებობაზე საზოგადოება თვალს ხუჭავს და სექსუალობის შემზღვევლი დამბების მშენებლობით არის დაკავებული.

ირანში მოღები იძულებული გახდნენ, დაეშვათ “დროებითი ქორწინება” კონკრეტული თანხის სანაცვლოდ, ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ შენიბაში, რომელსაც გარყვნილ დასავლეთში უბრალოდ ბორდელს ვუწოდებთ. წარმოდგენაც კი შემზარავია, ამ ქალების რა ნაწილი ავადდება სხვადასხვა ვენერული თუ სქესობრივი გზით გადამდები დაავადებით, რომ არაფერი ვთქვათ, მათ “დროებით ქორწინებზე”. როცა ადამიანი თავს არწმუნებს, რომ პრობლემა არ არსებობს, ამ პრობლემის გადაჭრა კიდევ უფრო რთული ხდება.

თუკი დასავლური პორნოგრაფია სიმპტომია დასავლური დეკადანსის, მაშინ აღმოსავლური პორნოგრაფია აღმოსავლური რეპრესიონიზმის გვირდოთი ეფექტია. პორნოგრაფია თითქმის ყოველთვის ეფექტია ან დრამატული სიმპტომი - არასოდეს მიზეზი.

გუგა მგელაძე

# დათო ქარდავას ურბანული პათანატომია



დათო  
ქარდავა  
მეორადი ჰომეროსი  
(ინფანტარმი და სხვა ლექსები)

თავისი ცნობილი ციკლის - "ჩანაწერები ერთი კვირისათვის" - სამშაბათ დღეს (ლექსი კვირის დღეებადაა დაყოფილი) ნობელის პრემიის ლაურეატი გიორგოს სეფერიის ამ ფრაზით იწყებს: "დავიკარგე ქალაქში". მიუხედავად იმისა, რომ სეფერიისივე ული ქალაქი მეტაფიზიკური უფროა და მასში კონკრეტული დრო-სივრცული ნიშნების პოვნა შეუძლებელია, ლირიკული სუბიექტის ეგზისტენციალური ხეტიალი (გნებავთ, ბოდიალი) მოშლილი საკომუნიკაციო ენის, ტოტალური გაუცხოებისა და ტკივილის სიცარიელის შემადრწუნებელ შეგრძნებებს ბადებს. ეს "გადაგდებულობა" (სულიერი ლტოლვილობა), სხვა სიტყვებით კი, საკუთარი "ბედისწერიდან გადმოხტომა" (ემილ მიშელ ჩიორანი) კრიზისულ ეპოქის ცნობიერების უარსებითი მახასიათებელია.

არსებული რეალობის მოხელთებას (მთელი თავისი დეფორმირებული ნახანაგების გათვალისწინებით) პოეტი შესაქმის წესრიგის იმიტაციით ახერხებს. შედეგად, ამ ტექსტის აგრესიული ფრაგმენ-

ტულობა, მისი თემატური გრადაცია (კონტრასტი) ყველაზე მკაფიოდ სწორედ მათემატიკური სიზუსტით აგებული კონსტრუქციის შიგნით უფრო ჩანს.

დათო ქარდავას პოეტური კრებული "მეორადი ჰომეროსი" ("ზიარი", 2022 წ.) ყურადღებას სწორედ თავისი უჩვეულო არქიტექტონიკითაც იწვევს. ბოლო წლების ქართული პოეტური კრებულების ანალიზის შედეგად საქმე ძველი და ახალი ლექსების (ზოგჯერ პირიქითაც) მონაცვლეობის ან ნიგნის გარკვეულ თემატურ რკალებად დაყოფის მცდელობებთან უფრო გვაქვს, თუმცა მე იშვიათად მახსენდება "მეორადი ჰომეროსის" მსგავსად მონეს-რიგებული კრებული (რამდენიმე ბრწყინვალე გამონაკლისის გარდა), რაც, თავისთავად ცხადია, დათო ქარდავას (იგივე ჯიმშერ რეზეიაშვილის) გემოვნებასა და ტექსტის ორგანიზების განსაკუთრებულ უნარზე მეტყველებს.

დათო ქარდავას მოთხრობებს პირველად "არილ-ში" გადავანყდი და ძალიან მომეწონა მისი სოციალური გროტესკი. მერე უკვე "ესავის ხელებიც" ნაკვითხე ("ინტელექტი", 2015 წ.), ხოლო ლექსების პუბლიკაციებს "არილსა" და "ახალ საუნჯეში" ვადევნებდი თვალს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ხშირად აქტიური პროზაიკოსების პოეტური მცდელობები კრახით სრულდება ხოლმე (პირიქით - ნაკლებად), თუმცა დათო ქარდავას სახით თანამედროვე პოეზიას (სპეციალურად არ ვმიჯნავ კონვენციურ ლირიკას და ვერლიბრს) ირონიით, სარკაზმითა და აუტანელი სევდით რეკონსტრუირებული სტილის მქონე ურბანისტი პოეტი-დამკვირვებელი შეემატა.

დავსვათ სავსებით ლეგიტიმური შეკითხვა: რაშია ამ კრებულის ხიბლი? დაიწყით სათაურად გამოტანილი ფრაზის დეკონსტრუქციით. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ამ სახელწოდების ლექსი კრებულში ვერ შეხვდებით, თუმცა სამშაბათის განყოფილებაში (ისევე სამშაბათი!) მოთავსებული "ტვიდის პიჯაკი" ასე სრულდება:

*"წარღვნის შემდეგ სამყაროც ხომ მეორადია, ყველა მწერალი, პოეტი და ტექსტის მჩხიბავი თვალახელილი მეორადი ჰომეროსია, და დუბლინიდან გაუსვლელი ლეოპოლდ ბლუმიც, Second hand - ი ულისე და ოდისევსია!"*

ხორხე ლუის ბორხესის მიხედვით, არსებობს სიუჟეტის აგების მხოლოდ ხუთი არქიტექტურული მოდელი, რომელთაგან ორი სწორედ ჰომეროსის პოემებთან იღებს სათავეს. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, ყოველი შემოქმედი ჰომეროსის სიმულაქ-

რია (გახსენეთ მერლინ მონროს იმიჯის უნიკალური პოლიტიკური "ასლირება" და ა.შ.). აქედან გამომდინარე, ბიბლიური შესაქმნის სექსის იმიტაციით და ასევე ჰომოეროსიან პირდაპირი თუ დამხრებით დაქსელული ინტერტექსტუალური მიმართებების შემთხვევებით "მეორადი ჰომოეროსი" თვისობრივად ახალი, ერთგვარი ბეტონის პადესის და ამ პადესში მოხტილი "ზოგრაფიების" ამბებს ყვება.

სოფლმშენებლობრივი თვალსაზრისით, დათო ქარდავს კრებულის შვიდი დღე ანტიკური სამყაროს გმირის ფათერაკებიანი მოგზაურობის ერთგვარი პაროდირებული, "დამინებული" ვარიაციაცაა. ამით იმის თქმა მინდა, რომ პოეტი მხოლოდ კი არ აკვირდება, არამედ თავადაცაა ჩართული ქალაქის კაეფონიის, ხმების, ბუდის, კატასტროფულად დაჩქარებული დროის ფერულში.

ამ ლექსების ლირიკული სუბიექტის ხეტიალი ფსიქიკის მღვიმეებში მოგზაურობას ჰვავს, რადგან არის აქ, როგორც ეგზისტენციალურად აქტუალური ("ქიმიის გაცდენილი გაკეთილები", "ნათურა დღისით", "თევზებს წაართვის დამხრავალი გემი" ...), ასევე მტიკინებულად ბიოგრაფიული ლექსები ("ბავშვობის დატირება", "ფოტო წარწერით", "მავთულით შეკრული კუბი" ...).

ორმაბათის ლექსები "ბალიდან გაქცევით" იწყება, რომელიც ყველა დაქვევების ელფენება ადამიანსა და ვეგს ჩათვლით. სათავარი, ცხადია, მკითხველში ედების ბალის ასოციაციებს წარმოშობს, თუმცა ეს მოლოდინი კითხვის პროცესშივე ქრება. ლექსი კონკრეტული ბალის (ქალაქის მტვრის ოკეანის მწკნევი კონცხის) გავერანებას ასახავს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ კრებული ბალიდან გაქცევით და ედემად გარდასახულ სააუდომოფოში (სტერილური სამოთხე?) მოხვედრით სრულდება.

*"როცა გაჭრილი შენი სხეული ტკივილს გრძნობს მხოლოდ, როცა ობობას ქსელში ვამბულ ბუზს ჰვავებ - ზონდებით, წვეთოვნებით, კათეტრებით... წყალსაც ვერ ყლაპავ, ვული გერევა და თითქოს, ადამი იყო, ვინც ხის ნაყოფი ამოაწიხია,*

*აღარ გრცხვენია!"*  
"მეორადი ჰომოეროსის" დრო ციკლურია და არა წრფივი. აქ რეალურად არც არაფერი სრულდება. სასრულობა უქმდება იმდენად, რამდენადაც საავტორული დატოვება ხელახალი ხეტიალის, კვლევის, საკუთარი წარსულის "ჩაქექვის" წინაპირობაა. ერთი შესვლით, მკითხველმა შეიძლება ჩათვალოს, რომ საქმე მხოლოდ ქალაქის პოეტთან გვაქვს (ესაა უწყალოდ მცნარეების ქალაქი, ქალაქი, სადაც ფიჭვებს და ნაძვებს კორის ხსნარის თეთრი გეტრები აცვიათ, ქალაქი ლოკალური წარდგნის საათებით, ქალაქი, სადაც მზიან დღეშიც კი ყველაფერი ნაცრისფერია, ქალაქი, სადაც მრავალსართულიანი კორპუსის სადარბაზოსთან ანთებული მიწველი ნათურა სიკვდილის შემზარავ სხედ ტრან-

სფორმირდება), თითქოს, ამისკენ გვიბძებებს უზუსტესად შერჩეული ყდაც: ნაცრისფერ კედელზე აწულდებული სავეკუპაციო კიბე, რაც გადარჩენის ასოციაციას ბადებს, თუმცა განგაზობს ძნელად ასახსნელ, თათლად მოსახელთებელ შეგრძნებასაც იწვევს. რთულ, "მეორადი ჰომოეროსის" ავტორი ქალაქის ეროგულულ, მგრძობიარულ სივრცეებთან ერთად მის მაცხოვრებლებსაც აკვირდება (სოციალური ლუზერ მენებს, რომელთა ხმებზე ქალაქის გულზეა კაკაფონიამი არ გვესმის). კრებულის ეს ნაწილი ცრემლნარევი ირონიითაა სავსე ("ინდენარმე", "მალიარის კიბე", "სანტექნიკოსის სავა" და ორი შედეგური "ლეღი და მუშა" მეუზოვის მარტილობა"). ზუთმაბათის ერთ-ერთ ლექსი კი უმკაცრესი განაჩენით სრულდება:

*"და ისეთ ხალხში, სადაც ჯარბის ფასი აქვთ ბავშვებს  
არ ღირს სიცოცხლე, მკედრითი აღდგომაც."*

ამ ყველაფრის ფონზე გასათვალისწინებელია ერთი მტად საგულღისხიმ გარემოება: "მეორადი ჰომოეროსი" არ არის მხოლოდ დეფორმირებული თბილისის რეკვიემი. აი, მაგალითად, პარასკევის ციკლში ქარდავა დაუნერგლ ლექსებზე, პოეტის ფუნქციასა და წერის პროცესზე ფიქრობს.

დავაკვირდეთ ერთ-ერთი ტექსტის ფინალს: "არ გავიწყდება ლექსის იდეა, არ გავიწყდება არცერთი სიტყვა და როგორც მკვლელი რაღაცაა მთელი ცხოვრება ვიწმალავს სხეულს, რადგან ვერდაქერილი ლექსის წარწერი, როგორც ურანი არ რადიუმის ათასწლოვანი ნახევარდაშლის პერიოდებით, არასდროს ქრება, სულ ზემოქმედებს!"

\*\*\*  
კონსტანტინოს კავაფისის "მეორე ოდისეა" ასე იწყება:  
*"მეორე, დიდი ოდისეა,  
იქნებ, პირველზეც დიდებულნი  
მაგრამ ვაი, რომ  
ახლა უკვე ჰომოეროსის გარეშე და  
უქმსამეტროდ."*

ფინალისკენ კი ამბობს: "მუდამ შენში იყო ისთაკა".

ფიქრობ, ეს ფრაზა დათო ქარდავს პოეზიის გაგების ერთ-ერთ ინსტრუმენტადაც შეგვიძლია გამოვიყენოთ. საკუთარ ქალაქში ხეტიალი ხომ დარგული ფასეულობების ძიების, სივრცის ემოციური ენერჯის შეცნობისა და საკუთარი ადგილის პოვნის საშუალებაა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დათო ქარდავს "მეორადმა ჰომოეროსმა" ღირსეული ადგილი დანიკავა მთავარი ურბანისტების: გიგი რუთაკაურის, ნუგზარ ზაზანაშვილის, ზვიად ხალაიანის, დათო ბარბაქაძის და ანდრო ბუჩაიძის პოეზიის გვერდით.

რომან





„რომელ იცინოდა“ ერთი უცნაური და დაუჯერებელი ბედის მქონე ახალგაზრდა ვაცის ცხოვრებაზე გვიყვება.

მოთხრობების ორი კრებულის ავტორი, რატი რატიანი ამჯერად რომანით წარდგება მკითხველის წინაშე. „რომელ იცინოდა“ სასტიკი ტექსტია, რომელიც მკითხველს მზერას ისეთი რაღაცისკენ მიაპყრობინებს, რისი დავიწყება ან არღანახვა უნდა.





# სულაკაურის წიგნის მაღაზია

SULAKAURI BOOKSHOP



- ქაჯვაძის გამზ. 15
- ცინცაძის ქ. 2
- „გალერია თბილისი“, -1 სართული
- „რუსთავი მოლი“ - შარტავასა და ლომოურის ქუჩების კვეთა

- „სითი მოლი საბურთალო“, 1-ლი სართული
- „ისთ ფონითი“, მთავარი მოედანი
- „გლდანი მოლი“, 6 სართული
- „აქსის თაუერსი“, -1 სართული



## დაგროვების ბარათები

გახსენი „სულაკაურის წიგნის მაღაზიაში“ დაგროვების ბარათი და დაიბრუნე გადახდილი თანხის 5%. გარდა ამისა, მიიღე სპეციალურად შენთვის განკუთვნილი შეთავაზებები, მათ შორის 25%-იანი ფასდაკლება შენს დაბადების დღეზე. დაბრუნებული თანხის დახარჯვა შესაძლებელია ნებისმიერ წიგნზე ნებისმიერ დროს.